

ახალსაუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№4 (46)

აპრილი, 2017 წელი

ფასი
2 ლარი

Daniel Pennac

ნომრის ავტორები
გაქა ახალაია & დანიელ პენაკი

ნომრის თემა: პატარსონი

პოეზია

გონა სხილაძე

ნანა ქალუხიძე

თანამედროვე ქართული ხალხური პოეზიის მცირე მოზაიკა
შემდგენელი ღურმიშხან ტაბატაძე

პროზა

ზურაბ გომიძე

კრიტიკა/ესეისტკა

ბელა წიფურიცა - თამაზ გაქალუაზა

მაკო ჯანჯიგუსხაშვილი - უგვარტო ეკოს „საცდელ ნომარზე“
ლევან ბელაშვილი - „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც სამაგიჟო თამაშზე

პიზიტი

ნანა გომოლაშვილი - ოლივიე როლანი თბილისში

ახალი თარგმანები

ალისტარ კროული

ეპიკანი ეპტუშენკო



№4 (46) აპრილი, 2017 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წონკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე,
დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი,
დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, ბექა ახალაია,
მანანა ბოსტოლანაშვილი, ლელა კოდალაშვილი, დალილა
გოგია, გოჩა სხილაძე, ნანა ქელეხიძე, დურმიშხან
ტაბატაძე, ზურაბ გოგიძე, ბელა წიფურია, მაკო
ჯანჭიბუხაშვილი, ლევან გელაშვილი, ნანა გოგოლაშვილი,
დავით ჩიხლაძე, ვასილ გულეური

გამომცემლობა «საუნჯე»

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;

www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ეკა ქევანიშვილი

ბექა ახალაიას ასფურცლიანი რვეული

ამ ჩვევას ალბათ ვერასოდეს გადავეჩვევი – ყველა ლიტერატურული გამოცემა იმ გვერდზე გადავშალო, სადაც ახალი ლექსებია დაბეჭდილი. პროფესიული ამბავია თუ აკვიატება, არ ვიცი, მაგრამ ასეა – კარგი, ცუდი, ყველაფერი უნდა წავიკითხო. ვინც უცვლელად მიყვარს, იმ პოეტების ახალ ლექსებს სულ ველი, მაგრამ არის კიდევ სხვანაირი მოლოდინი, ახლის აღმოჩენის, ახალი ავტორის პოვნის. შეუდარებელი შეგრძნებაა, უცებ რომ იგრძნობ, რომ ტექსტში რაღაც გაკრთა, რაღაც ისეთი, რაც მის შემდეგ ლექსს წაგაკითხებს, რაც სტალკერივით აგადევნებს ავტორზე და მან რომ არ იცის, ისე ათვალიერებ, კითხულობ და აფასებ. ასე ვიპოვე ბექა ახალაია.

ამ ინტერვიუს აღდგომის დღეებში ვწერთ და რიტუალებზე გკითხავ თავიდანვე, საფლავზე კვერცხის გადაგორებაზე კი არა, უფრო ზოგადად, შენს რიტუალებსა და მათ მიმართ შენს დამოკიდებულებაზე.

ქრისტიანული რიტუალების მიმართ ისეთივე დამოკიდებულება მაქვს, როგორც ყველა მორწმუნე ადამიანს. რაც შეეხება წარმართულ რიტუალებს, რომლებიც ბლომადაა შემორჩენილი სამეგრელოში, პატივს ვცემ. მათში ვხედავ პოეზიას და ძველი ადამიანის მიერ მეტაფიზიკური სამყაროს შეცნობის და მასზე ზემოქმედების სურვილს, რაც, თავისთავად, უაღრესად საინტერესოა. ბავშვობაში, როცა ბატონები დაგვიბრძანდებოდა, მოჰყავდათ «მახვამერი» («მლოცველი», «მახვენარი»), რომელიც ბატონებს შესთხოვდა ჩვენს ჯანმრთელობას, სთხოვდა მათ, რომ მიეღოთ ძღვენი. თან ნაკურთხ წყალს საცობგახვრეტილი

ბოთლიდან აპკურებდა მამალს ან ცხვარს. როცა ისინი ტანს შეიფერთხავდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბატონებმა ძღვენი მიიღეს. ეს ძალიან საინტერესო საყურებელი იყო. კიდევ, ძალიან მიყვარდა კალანდის მეორე დილა, როცა ბაბუაჩემი მეკვლეობის რიტუალს ატარებდა. როგორც ამბობდნენ, კარგი ფეხი ჰქონდა და ნახევარი სოფელი წინასწარ სთხოვდა, რომ მათი მეკვლეც ყოფილიყო. ალბათ, ოთხი-ხუთი წლის ვიქნებოდი, როცა კალანდას, ანუ «კუჩხა» ღამით, მოამზადა დილისთვის საჭირო ყველა აუცილებელი რამ: სინზე დაყრილი ღერღილი, სურო, ხურდა ფული და ტკბილეული. იმ შუალამით ბაბუაჩემი გარდაიცვალა. როცა წამოვიზარდე, მეკვლე მეც არაერთხელ ვყოფილვარ.



შენი ცხოვრების ყველაზე დიდი რიტუალი რა ყოფილა ან რა არის?

გურამ დოჩანაშვილივით გეტყოდი, სანამ წერას დავიწყებ, ფანქრებს ვთლი-მეთქი, მაგრამ არც ამ მხრივ და არც სხვა მხრივ არანაირი რიტუალი არ მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ახლა არაფერი მახსენდება.

აღდგომაზე სოფელი გამახსენდა. წელს იყავი ჩხორონყუში? როგორია შენი

პატარა ქალაქი?

არც საახალწლოდ და არც ამ აღდგომას, სამწუხაროდ, ჩხორონყუში არ ვყოფილვარ. მეხუთე კლასამდე

ქვედაჩხორონყუს სკოლაში ვსწავლობდი და იშვიათად მიწევდა დაბაში გასვლა. მერე ჩხორონყუს გიმნაზიაში გადავედი და შაბათ-კვირის გარდა, ყოველთვის რაიონის ცენტრში ვიყავი. სხვათაშორის, როგორც პროფესიონალი ხალხისგან მსმენია, ჩხორონყუს ცენტრი სამეგრელოს ქალაქებსა და დაბებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა დაგეგმარების მხრივ. მოკლედ, ლამაზი და კოხტა დაბაა. სულ მახსენდება ხოლმე, მე და ჩემი ძმაკაცი, გაკვეთილების შემდეგ, ორმოცდაათ თეთრად ნაყიდი პურით და ლიმონათით დავნაყრდებოდით, მერე პარკში, სადაც პირველი ქართველი მფრინავის, ბესარიონ ქებურიას ბიუსტი დგას (ჩემი რაიონელი იყო) ვსხდებოდით და ხუთ საათს ველოდით, რომ ყოფილი რესტორნის ყოვლად უცნაურ შენობაში «რა? სად? როდის?» გვეთამაშა. კარგი დრო იყო.

რამე მომიყევი იმ დღეებიდან, რაც ახლა უცებ გაგახსენდა. ერთხელ. ათას ცხრაას რალაც წელს, ანაც მერე, წელი შენ აარჩიე.

2001 წელს გადმოვედით თბილისში საცხოვრებლად. მაისში ჩემი მშობლები წამოვიდნენ, მე და ჩემი და მამიდასთან და ბებიასთან დავრჩით. აგვისტოს ბოლოს მამაჩემი ჩამოვიდა და წამოგვიყვანა. ნისლიანი დილა იყო. მამიდაჩემმა სოფლის ბოლომდე გამოგვაცილა, მერე დიდხანს იდგა და გვიყურებდა, სანამ თვალს არ მივეფარეთ. არასდროს მიკითხავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ტიროდა. რომელიმე შთამბეჭდავი ფილმის ეპიზოდით ჩამრჩა ეს კადრი.

მამაშენს რომ წერილი მიწერე, ლექსად, გამეცინა მაგაზე, ნაცნობი განცდა იყო. შენც შრომობდი მიწაზე თუ ნაკლებად?

ბარვა მიყვარდა. ადესის მწკრივებს შორის ნაადრევ სიმინდს ვთესავდით და პატარა ვენახში მიწის დაბარვა მე მებარა. ახლაც მახსოვს, ხელისგულების დამსკდარი ბებერები ოფლისგან როგორ მეწვოდა ხოლმე, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი ჯიუტად. თოხნითაც მითოხნია, მაგრამ არასდროს მიყვარდა, მურტალი სამუშაოა. თხილის მოგროვებაც არანაკლებ მურტალია, მაგრამ ერთი გრანდიოზული პლუსი ჰქონდა: ხუთ-ექვს კილო თხილს ბაზრობაზე რომ გაიყოლებდი, ორი კაცისთვის გუჯას დუქანში საქეიფოდ სამყოფ ფულს ორ წუთში იშოვიდი კაცი.

13 წლის როგორი იყავი და რას აკეთებდი?

მერგელისგან (დანალექი ქანია ასეთი, რომ დაასველებ, ადვილად მუშავდება) პატარა ქანდაკებებს ვაკეთებდი და პასტელით მზის ჩასვლებს ვხატავდი. ძალიან მიყვარდა დაისის ხატვა.

შენი შვილი გახსენებს შენს თავს რამით? შენ თვითონ როგორი ბავშვი იყავი, რა გიყვარდა, რა – არა, დედა რაზე გიჯავრდებოდა?

ჩემი შვილი მხოლოდ თმის და თვალის ფერით მგავს. მე მორიდებული და ჩუმი ბავშვი ვიყავი, ის კი ისეთი ცელქი და დაუდგრომელია, ხანდახან მიკვირს, საიდან აქვს ამდენი ენერჯია. რაც შეეხება კითხვის ბოლო ნაწილს, ბავშვობაში ინგლისურში ვემზადებოდი მეზობელ უბანში. არცთუ იშვიათად გზიდან გადავუხვევდი, ჩაის პლანტაციის ვლურთავდი თავს და რამე წიგნს ვკითხულობდი. სახლში ეგონათ, რომ მასწავლებელთან ვიყავი. მერე ჩემი მასწავლებელი სადმე დედაჩემს გადაეყრებოდა და აღმოჩნდებოდა, რომ კვირაზე მეტი იყო, რაც არ მივლია. ამაზე იყო დიდი ჩხუბები.



როგორი გგონია, რა მოგცა და რა დაგაკლო იქ ცხოვრებამ, დედაქალაქიდან შორს ყოფნამ?

დაკლებით არაფერი დაუკლია, მოცემით კი ბევრი რამ მომცა, უპირველეს ყოვლისა ის, რასაც ბუნებასთან და მიწასთან სიახლოვე და მათი სიყვარული ჰქვია. სულ მახსოვს, ჩვენს ხეხილის ბაღში აყვავებული ალუჩის, ტყემლის და ატმის სურნელი და საერთო საყანე

მიწებიდან ნიავს მოყოლილი ახლადმოხნული მიწის სუნი. შეიძლება ბანალურად და პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ ის იყო პოეზია, თუ იყო.

მაშინაც ვწერდი?

კი, მაშინაც ვწერდი.

ვინ იყო შენი პირველმკითხველი, ვინ გაქებდა და პირიქით... ან როდის მიხვდი, რომ უნდა გეწერა?

ერთხელ, ალბათ, მეშვიდე კლასში ვიქნებოდით, ჩემმა მეგობარმა თავისი ლექსი წამაკითხა. ვუთხარი, მეც ვწერ და ხვალ ჩემი ლექსების რვეულს მოგიტან-მეთქი. ასფურცლიანი რვეული იყო, ყდაზე ის გულისმომკვლელი ეპიზოდი იყო აღბეჭდილი «ტიტანიკიდან», როცა ლეო ჯენტლმენურად იყინება, ხოლო კეიტ უინსლეთი ორთქლს უშვებს პირიდან. რვეული ღია ცისფერი მელნით დაწერილი ლექსებით იყო გამოტენილი. ჩემს მეგობარს იმდენად მოეწონა ჩემი ლექსები, რომ ფიცმაც არ გაჭრა და

მანამ არ დამიჯერა, ჩემი დაწერილი რომ იყო, სანამ არ დავიგინე. მერე სულ მას ვაკითხებდი ხოლმე პირველად.

ხშირად ვეკითხები პოეტებს. და შენც, რას გინაცვლებს წერა? რა არის, რას შეადარებდი, და ის რომ არ იყოს შენს ცხოვრებაში, რა იქნებოდა, როგორ გგონია?

წერა არის შრომა, ოღონდ, სხვა ყველა სამუშაოზე ბევრად რთული. ეს შეიძლება ვილაციისთვის სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ჩემთვის ასეა. იმდენი ენერგია არცერთ ფიზიკურ სამუშაოს არ წაურთმევია, რამდენსაც თუნდაც ერთ-ორ საათიანი წერა მართმევს. რომ არ ვწერდე, ალბათ, რამე ბიურგერული სამსახური მექნებოდა, სადაც, ცხადია, იმაზე მეტ ფულს გამოვიმუშავებდი, ვიდრე წერას მოაქვს, და ყველა კმაყოფილი იქნებოდა. ზარმაცი არ ვარ და იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ კონკრეტულ სფეროში დიდი წარმატებისთვისაც მიმეღწია.

როგორ ხვდები ხოლმე, რომ ლექსი გამოვიდა, ტექსტი გამოგივიდა?

ხანდახან წერის პროცესში ვხვდები, რომ ტექსტი არ გამოდის და თავს ვანებებ, თუმცა მეორე წუთს ან მეორე დღეს შეიძლება მომეჩვენოს, რომ კარგია და ვაგრძელებ. საკუთარი ტექსტების უაღრესად მკაცრი შემფასებელი ვარ, ამიტომ რამდენიმე დღის მერე, ცივი გონებით წაკითხული, თუ მომეწონა, ეს იმას ნიშნავს, რომ გამოვიდა და გამოსაქვეყნებლად ვარგა.

ისეთი მწერალი თუ გყავს, ვისი წაკითხვის მერეც დიდხანს აღარ მოგდომებია წერა?

არა, ასეთი მწერალი არ მყავს. წიგნს, რაც არ უნდა არ მომწონდეს, ბოლომდე მაინც ვკითხულობ. სულ ერთი-ორი შემთხვევა მექონია, ისიც, ამ ბოლო დროს, როცა იმდენად

სულელური მომეჩვენა, რომ ბოლომდე ვერ მივიყვანე. ცუდი წიგნი გასწავლის, როგორ არ უნდა წერო, კარგი კი – როგორ უნდა წერო, ანუ, რაღაც მომენტში, ორივე ინსპირაციაა ჭკვიანი კაცისთვის (ქალისტვისაც, ცხადია).



შენი და მწერლების, წიგნების თავგადასავალი მაინტერესებს – ვინ როგორ აღმოაჩინე და ვინ როდის რა გავლენა მოახდინა შენზე – თუ გახსენდება ასე, მოსაყოლ ამბად, რომელიმე გამორჩეულად?

ბავშვობაში ტარიელ ხარხელაურის სადებიუტო კრებული «წყალი საკალმახე» ვნახე ქვედა ჩხორონყუს ბიბლიოთეკაში. მანამდე ძია ტარიელზე არაფერი მსმენოდა.

ბავშვობის საყვარელ წიგნებთან, ზოგადად, განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს და მოზრდილ ასაკში გადაკითხვისას აღმოჩენილ სისუსტეებზე სუბიექტურად ვხუჭავთ თვალს, მაგრამ «წყალი საკალმახე», ჩემი მოკლე ჭკუით, ამ გადასახედიდანაც, ქართულ ენაზე გამოცემული ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური კრებულება, დაწერილი სრულიად უჩვეულო ვერსიფიკაციით, პოეტური მეტყველებით და ტროპებით. მოკლედ, ეს იყო წიგნი, რომლის წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტე წერა, ეს იყო პირველი და ერთადერთი (ჯერჯერობით) შემთხვევა, როცა ავტორს შეგნებულად ვბაძავდი.

შენი წიგნი რომ გქონოდა, ძალიან გინდოდა? რატომ გვინდა ხოლმე წიგნების გამოცემა?

ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა წიგნის გამოცემა. ადრე, რამდენიმე კეთილ ადამიანს შემოუთავაზებია ფინანსური დახმარება წიგნის გამოსაცემად, მაგრამ ყოველთვის უარი მითქვამს, რადგან ვთვლიდი, რომ ის ლექსები საწიგნოდ არ ვარგოდნენ. მხოლოდ მაშინ, როცა ჩემს წიგნში შეტანილი მასალები მომიგროვდა, გადავწყვიტე, რომ ეს ტექსტები წიგნად უნდა დაფიქსირებულიყო, როგორც რაღაცის დასაწყისი. ოცდაათი წლის ასაკში კი უნდა გამოსცეს ავტორმა სადებიუტო კრებული.

სანამ «ამ ვალმოხდილი ფოთლებისათვის» გამოვიდოდა, შენი სადებიუტო კრებული, ბევრჯერ გადაარჩიე ლექსები? საბოლოოდ რა გინდოდა რომ ამ კრებულით გეთქვა, არის რაღაც მთავარი სათქმელი, რაც ამ წიგნს მოჰყვება?

არაფერი გადამირჩევია. ამ წიგნში ორი წლის მანძილზე დაწერილი ტექსტებია შესული. თავიდან მინდოდა ცოტა ადრინდელი რამდენიმე პოემა და ლექსების ციკლი შემეტანა და რედაქტორმა, თემურ ჩხეტიანმა, ისინიც დამირედაქტირა (ამაო შრომისთვის ბოდიშს ვუხდი თემურს), მაგრამ შემდეგ ისინიც ძველი ლექსებივით გადავყარე და დავტოვე კომპოზიციურად შეკრული ეს კრებული. მინდოდა, ერთი მთლიანი ტექსტის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. კონცეპტუალურ მხარეს რაც შეეხება, ვერ ვიტყვი, რომ რამე გამოკვეთილი სათქმელი მქონდა, უბრალოდ, მინდოდა არქაული, რელიგიური, ფიზიკური, მეტაფიზიკური თუ კოსმიური ელემენტების სინთეზირებით შექმნილ სამყაროში ღირიკულ გმირთან ერთად ემოგზაურა მკითხველს და ამისთვის შესაფერისი

ენობრივი ქსოვილიც შემექმნა. წიგნში გამოყენებულია უამრავი მეგრული და მივიწყებული ქართული იდიომი, რომლებსაც წლების მანძილზე ვაგროვებდი. წიგნის ენას სიძველის ელფერი დაჰკრავს, მიზანი სწორედ ეს იყო.

შენი ლექსები მოგწონს?

არის რამდენიმე ლექსი, რომელიც სულ მომწონს. უმეტესობა კი ხან მომწონს, ხან არა, განწყობის მიხედვით, როგორც ხდება ხოლმე.



და ახლა, როცა ეს წიგნი უკვე არსებობს, როცა კითხულობ, შლი, რას ფიქრობ, როგორ აფასებ?

არ ვშლი, იმიტომ, რომ არ მაქვს, მაგრამ რომც მექონდეს, მაინც არ წავიკითხავდი, რადგან განვლილი ეტაპია. საბედნიეროდ, ყოველთვის წინ ვიყურები, ყოველ შემთხვევაში

–ლიტერატურაში.

ყველაზე სასიამოვნო კომპლიმენტი როგორია შენთვის, როგორც პოეტისთვის? უთქვამთ ასეთი?

ერთხელ საერთო ძმაკაცთან ვსვამდით მე და შალვა ბაკურაძე. მე დაღლილი ვიყავი, ადრე დავთვერი და დივანზე წამოვწექი. შალვას ეგონა მეძინა და თქვა, რომ ჩემს თაობაში საუკეთესო პოეტი ვარ. ეს, რა თქმა უნდა, ასე არაა, მაგრამ მე მაინც მესიამოვნა.

რითმიანი ლექსებიდან თავისუფალ ლექსებზე როდის და რატომ გადახვედი?

როდის გადავუდო, არ მახსოვს, მაგრამ მიყვარს სხვადასხვა სალექსო ფორმაში წერა და, თუ თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, საკმაოდ კარგადაც ვფლობ. არ ვეთანხმები აზრს, რომ თავისუფალი ლექსი და თეთრი ლექსი უფრო ადვილი დასაწერია. მათი წერისას იმდენივე ენერგიას ვხარჯავ, რამდენსაც კონვენციური და კანონიკური ფორმებით დაწერილი ლექსების დროს.

სხვადასხვა პერიოდის ლექსები წავიკითხე შენი – რაც ელექტრონულ სივრცეშია. მგონია, დიდხანს ვეძებდი შენს თავს – ბევრნაირი ხარ. ყოველ წელს ლამის სხვადასხვა – არ ვიცი, რამდენად სწორი დაკვირვებაა, მაგრამ შთაბეჭდილება კი ასეთი დამრჩა, დადიხარ, დადიხარ, ბეჯა ახალაიას დაეძებ თითქოს. როგორ ფიქრობ, იპოვე?

სწორი დაკვირვებაა, დიდხანს ვეძებდი, წლების მანძილზე, და, მგონი, ვიპოვე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ და ზეგ კიდევ სხვანაირი არ ვიქნები. რაც შეეხება ინტერნეტში მიმობნეულ ჩემს ძველ ლექსებს, რომ შემეძლოს, დიდი სიამოვნებით გავაქრობდი მათ ინტერნეტიდან და ზოგიერთი მკითხველის ცნობიერებიდან. ხანდახან რომელიმე მეგობრის მიერ ფეისბუქზე დადებულ ჩემს ძველ ლექსს რომ ვაწყდები, ვერ ვცნობ და არ მომწონს, ბოლოში ჩემს სახელს და გვარს რომ ვკითხულობ, სირცხვილით ვინვები, ისინი მართლა სუსტებია. თუმცა რას იზამ, ყველამ გაიარა რაღაც ეტაპები.

რას უფრო აქცევ ხოლმე ყურადღებას – ვინ გაქებს თუ რამდენი გაქებს?

რა თქმა უნდა, იმას უფრო ვაქცევ ყურადღებას, თუ ვის მოსწონს. კითხვით ჩემს ლექსებს ცოტა კითხულობს.

ერთხელ ვთქვი და გავიმეორებ: იმდენი მკითხველი მყავს, რამდენი მეგობარიც. ფეისბუქმეგობრებს არ ვგულისხმობ.

ერთხელ შენი ის ლექსი წავიკითხე, მოკლულ ძაღლზე, ბავშვობაში რომ ჩაქოლეთ, და მერე რომ ინანე. ბევრია ისეთი რამ, რის გამოც გინანია ცხოვრებაში და მერე ლექსი დაგიწერია?

კი, რამდენიც გინდა, მაგრამ მალე დამვიწყებია ლექსთან ერთად. რაც შეეხება ჩაქოლილი ძაღლის ისტორიას, რომ მახსენდება, დღემდე მძულს ჩემი თავი.

მოგისმენია ალბათ შენი თავისთვის. მოგწონს შენეული დეკლამაცია? რას გაგონებს ხოლმე შენი ხმა? ყველა პოეტს კითხვის თავისი მანერა აქვს – დიდი ხანია ვაკვირდები, ზოგი თითქოს ტირის, ზოგი მღერის, ზოგი ძველი ბიჭივით კითხულობს, ზოგი პათეტიკით და გზნებით...

სიმართლე გითხრა, ჩემი წაკითხული არცერთი ლექსი არ მომისმენია ბოლომდე, რადგან საშინლად, მეტიც – უსაშინლესად ვკითხულობ. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, როცა უარის თქმა არ შემიძლია, ან აუცილებლობა მოითხოვს, გამოვდივარ საღამოზე და ბოლოს ათას ბოდიშს ვუხდი მსმენელს საშინელი დეკლამაციის გამო.

გაქვს შეგრძნება, რომ ვიღაც სხვა პოეტი გადაამღერე? ძალით კი არა, ისე, თავისთავად.

გადაამღერება არა, მაგრამ ბევრი პოეტის ინსპირაციით თუ გავლენით ვწერდი, ვწერ და დავწერ კიდევ მომავალში, რადგან ამის გარეშე წერა წარმოუდგენელია, უბრალოდ, ქართველ მწერლებს და პოეტებს არ უყვართ ამ თემაზე საუბარი. ოღონდ გავლენას და ეპიგონობას ერთმანეთში

ნუ ავურევთ. საკუთარ გავლენებზე მხოლოდ ის საუბრობს ღიად, ვისაც იმაზე ნაკლები წამოულია სხვისგან, რამდენიც თვითონ გაუცია შემოქმედებაში. ნებისმიერ ავტორს აქვს ვიღაცის გავლენა ნებისმიერ ასაკში, თუნდაც თავისზე უმცროსის, ან თუ გნებავს, თავისზე ბევრად სუსტის.

რამდენად გყოფნის გამბედაობა, ან, იქნებ, სხვა სიტყვა უფრო მოუხდებოდა იმას, რასაც გეკითხები, მაგრამ მაინც – მეგობარ პოეტებს უთხრა, რომ მათი ლექსი არ მოგეწონა?

ზოგიერთი ქართველი ავტორისთვის ტექსტის დაწუნება პირადი შეურაცხყოფის ტოლფასია, არადა, საერთოდ არ მიმაჩნია ჩამოყალიბებულ ავტორად ის, ვისაც განსხვავებული აზრის მოსმენა მშვიდად არ შეუძლია, ისე, რომ ამას ადამიანური ურთიერთობები არ გადააყოლოს. როცა კრიტიკულ აზრს ისმენ ან კითხულობ, შენ ყოველთვის გრჩება ერთი გადამწყვეტი უფლება – არ ეთანხმებოდე, ოღონდ მხოლოდ გულში, რადგან არაფერია იმაზე უფრო უხერხული სანახავი, ვიდრე ავტორის მიერ საკუთარი შემოქმედების დაცვა.

როგორ ფიქრობ, რატომაა, რომ საქართველოში უმრავლესობის საყვარელი პოეტი გალაკტიონია?

დიდი პოეტები ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ის, ვინც ვერსიფიკაციის ძირეული გადახალისება მოახდინა და ის, ვინც არსებულ სალექსო საზომებში კომფორტულად გრძნობს თავს. გალაკტიონი პირველ კატეგორიას მიეკუთვნება. კაცმა, სხვა ინოვაციებთან ერთად, ათეულობით ახალი საზომი შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში. ამ მხრივ მისნაირი პოეტი სხვა არ გვყოლია. რაც შეეხება მეორე კატეგორიის დიდ პოეტებს, რომლებმაც თემატური ინოვაციები შემოიტანეს, რამდენიმე გვყავდა და გვყავს. ბროდსკი ამბობს ერთგან:

დიდპროექტობა ისაა, როცა ყბადაღებულ სალექსო საბომში შენი ინტონაცია იგრძნობაო. ესეც მართალია. გეთანხმები, რომ გალაკტიონი თითქმის ყველას საყვარელი პოეტია, მაგრამ მათ უმეტესობას გალაკტიონი ან სულ არ წაუკითხავს, ან ისეთი სუსტი ლექსების გამო უყვარს, როგორცაა «მერი», «მესაფლავე», «მე და ღამე» და ა.შ. მის რეალურ სიდიდეზე წარმოდგენა არა აქვთ. კიდევ იმაზე მეცინება, გალაკტიონმა ქართული ლექსის შესაძლებლობები ამოწურაო, რომ ამბობენ. ქართული ლექსის შესაძლებლობებს ერთდროულად ასი გალაკტიონი ვერ ამოწურავს.

**როგორ გგონია, პოეზია მკვდარია, ცოცხალია, ცოცხალ-
მკვდარი, თავიდან იბადება, ინერციით მიდის თუ,
საერთოდ, რას შვრება საქართველოში დღეს?**

მეოცე საუკუნის მანძილზე ვილაცებმა პოეზია არაერთხელ გამოიგლოვეს, მაგრამ ის მაინც ცოცხალია და ასე იქნება, სანამ ადამიანი იარსებებს. ათზე მეტი ბრწყინვალე თანამედროვე ქართველი პოეტის დასახელება შეიძლება, ვისითაც ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა.

**სკოლის მერე სად ისწავლე, საით და როგორ წავიდა შენი
არჩევანი? დღეს მაგ არჩევანით ცხოვრობ? ოჯახი,
შემოსავალი, კომუნალური გადასახადები... მოკლედ,
რუტინა.**

მე სამხატვრო აკადემიაში მინდოდა ჩაბარება, მაგრამ მშობლების სურვილით სოხუმის უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩავაბარე ექსტერნად. აი, რომ ამბობენ ხოლმე, სტუდენტობა უბედნიერესი ხანააო, მსგავსი არაფერი. მხოლოდ ორი რამ მახსოვს. პირველი: უნივერსიტეტიდან ორ ნაბიჯში ვცხოვრობდი და მაინც ყოველდღე

ვიგვიანებდი, დაგვიანებულ სტუდენტებს კი კარისკაცი არ უშვებდა პირველ ლექციაზე და ისევ სახლში ამოვბრუნდებოდი ხოლმე. აივნიდან ჩემი აუდიტორია ჩანდა და როცა ჩემი კურსელები აიშლებოდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ პირველი ლექცია მორჩა და ისევ წავიდოდი. და მეორე: ყოველ პარასკევს ლექტორებს ფეხბურთს ვეთამაშებოდით პურმარილზე. ძირითადად ვუგებდით. რაც შეეხება ოჯახს, ამჟამად მე და ჩემი ცოლი, ანა დროებით ცალ-ცალკე ვცხოვრობთ. იმასაც ვიტყვი, რომ, როცა გაიზრდება, ჩემს შვილს სრულ თავისუფლებას მივცემ პროფესიის არჩევაში.



ყოველდღიურ ცხოვრებაშიც პოეტად რჩები?

კი, სამწუხაროდ.

ლურსმნის მიჭედება შეგიძლია?

ბავშვობაში მაგის მეტი რა მიკეთებია. ცხონებულ ბაბუაჩემს ერთი პატარა სკამი ჰქონდა, ჰოდა, დავიდებდი ამ

სკამს წინ და ვაჭედებდი ლურსმნებს, როცა ზედ დაჯდომა შეუძლებელი გახდა, ბაბუაჩემმა ბებიაჩემს ბალიში შეაკერინა, რომელსაც სკამზე აფენდა. ძალიან უყვარდა, ეტყობა, და ვერ ელეოდა. ახლაც გვაქვს ის სკამი, დიდებული სანახავია.

რა გიყვარს, რა არ გიყვარს? პატარა სიხარულებზე გეკითხები.

მიყვარს წიგნი, კინო, ლუდი, ჩაი. არ მიყვარს უტაქტობა,

თუნდაც უცნობის მხრიდან უცნობის მიმართ უტაქტობას რომ ვაწყდები, სიკვდილი მინდება, მთელი დღე ცუდად ვარ.

სულ რამდენჯერ გიყვარდა? რას აკეთებ ხოლმე, როცა გიყვარს? შენ ელოდები თუ შენ გელოდებიან, როგორც წესი?

რამდენჯერ მიყვარდა, არ დამითვლია, მაგრამ იყო ადრე, ყმანვილკაცობაში, რამდენიმე შემთხვევა, როცა მართლა ვგრძნობდი რაღაცას. რაც შეეხება ნამდვილ სიყვარულს, ჩემს ცოლთან მივხვდი, რა არის ნამდვილი და დიდი სიყვარული.

ავტორიტეტებს აღიარებ? ადამიანებს ვგულისხმობ, მიხვდებოდით...

კონკრეტული სფეროს ავტორიტეტებს პატივს ვცემ, მაგრამ მეც თუ ვერკვევი იმ სფეროში, ვიტოვებ უფლებას, რომ ბრმად არ დავეთანხმო ყველაფერში.

შენთვის რა არის ყველაზე მთავარი პრინციპი ცხოვრებაში?

გავაკეთო მაქსიმუმი ჩემს სფეროში.

როგორ წერ ხოლმე, რა გარემოში, რა მაგიდასთან, რა ხმაურში ან სიჩუმეში?

საწერად სიჩუმე მჭირდება. ჩემი მაგიდა არ მაქვს, მაგრამ მაგიდას ვინ ჩივის, მთავარია, სიჩუმე იყოს და ლოგინზეც დავწერ.

ვინ არიან შენი გმირები, რა ხალხია, რა ამბავი, რა ემოცია?

ძალიან იშვიათად, რომ ჩემი ლექსის ლირიკული გმირი მე თვითონ ვიყო. ზოგადად მიყვარს პოეტურ ტექსტში

პლანთა, პერსექტივათა მონაცვლეობა, ამიტომ ერთ ლექსს შეიძლება სამი-ოთხი ლირიკული გმირი ჰყავდეს.

ბექა კიკო ახალია პეტერეცი რატომ დაირქვი ფეისბუქზე?

საინტერესო არაფერი. კიკო პეტერეცი რობაქიძის დაუმთავრებელი რომანის «ფალესტრას» ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟია. ფეისბუქზე სახელის შეცვლა მინდოდა და უცებ გამახსენდა რატომღაც.

ყველაზე დიდი გარდატეხა, რაც შენში მომხდარა, რა ყოფილა?

ჩემი შვილის დაბადება, უფრო სწორედ, ის მომენტი, როცა პირველად ვნახე. ეს საოცარი, არამიწიერი შეგრძნება იყო.

რადიკალურად შეგიცვლია რამეზე აზრი?

კი, ადრე ინგმარ ბერგმანის ფილმებზე ვგიჟდებოდი, ახლა საერთოდ აღარ მომწონს.

არის ხოლმე რამე ისეთი, რაც სულ გინდა, გკითხონ და არასოდეს გეკითხებიან?

რისი კითხვაც მინდოდა, ყველაფერი მკითხე, რისთვისაც მადლობელი ვარ შენი.

ბექა ახალაია

სვანური ღუმელი

რკინის რებერვუარი
ღობესთან ახლოს გვედგა,
რომ ნავთმზიდი მანქანა
ადვილად მისდგომოდა
და მის სარქველში გადმოეწვდინა
მკლავის სიმსხო დრეკადი შლანგი.
ღობესავით,
რებერვუარიც ლურჯად იყო შეღებილი.
დიდი იმპერიის დაშლის შემდეგ
ნავთმზიდი აღარ მოდიოდა
და ღობეც და რებერვუარიც ისე გახუნდნენ,
როგორც ცა შემოდგომისას.
ივსებოდა წვიმის წყლით
რებერვუარი,
მის ოდნავ ჩაზნექილ ბედაპირზე
პატარა გუბე გროვდებოდა,
მაგრამ გამოანათებდა თუ არა მზე,
გახურებული რკინა უცებ აორთქლებდა წყალს.
როცა დასჯილი ვიყავი
და ეზოდან გასვლის უფლება არ მქონდა,
რებერვუარზე ვიჯექი და ვუყურებდი
უფროსების ფეხბურთს,
რებერვუარზე ვიჯექი და ვსწავლობდი გაკვეთილებს,
ან უბრალოდ განოლილი ვიყავი და ავყურებდი ცას,
ან – შემოუსვლელი ნაყოფით დახუნძლული კივის
გადმოშვერილ ტოტებს.
ვდარდობდი წინილაზე,
რომელსაც შემთხვევით დავაბიჯე,
სულ თვალწინ მედგა,

როგორ ტრიალებდა
ბეტონზე დასრესილი თავის ირგვლივ.
დიახ, ვდარდობდი,
მეორე წუთს კი
იმ წინილის დედმამიშვილ წინილებს ვიჭერდი
და ვაგდებდი რეზერვუარის ვინრო სარქველში,
ბატის ჭუკს ვიჭერდი და ვაგდებდი
რეზერვუარის ვინრო სარქველში,
გუბის ბაყაყს ვიჭერდი და იმასაც ვაგდებდი,
ხის ბაყაყს ვიჭერდი და – იმასაც...
ისინი იქიდან ვერაფრით ამოვიდოდნენ.
ერთხელ, აივნის შუშის აბაჟურში
მერცხალი ჩავარდა,
დავიჭირე და ისიც ჩავაგდე,
მერე მისი ბუდე ჩამოვანგრე
და მისი ბარტყებიც ჩავყარე,
იმიტომ კი არა,
რომ დედასთან ყოფილიყვნენ,
არა, უბრალოდ ასე მინდოდა.
ვინ თქვა, რომ ბავშვი ანგელოზია?!
სარქველს თავი დავახურე,
რომ მერცხალი არ ამოფრენილიყო,
მესმოდა მისი ხმა,
რომელსაც ჟღურტულთან ცოტა რამ ჰქონდა საერთო,
მესმოდა, როგორ ეხეთქებოდა
და ფრთებით ფხაჭნიდა რკინის კედლებს,
ვხვდებოდი, როგორ გრძნობდა
გარდაუვალ განწირულობას,
და იმასაც ვხვდებოდი,
რომ ფეხზე ეკიდა ფსკერზე ჩაყრილი ბარტყების
მოთქმა-გოდება,
რომლებიც ალბათ მას უხმობდნენ.

არ მიხაროდა,
რომ დისონანსი შევითანე ბუნების ჰარმონიაში,
რომ გამოცდა მოვუწყვე დედაშვილობას,
და რომ ეს გამოცდა სამნუხარო შედეგით დამთავრდა.
არ მიხაროდა,
უბრალოდ ვფიქრობდი,
რომ ეს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო.
სამშენებლო ბლოკებზე შემოდგმულ რეზერვუარს
ქვევით ონკანი ჰქონდა დატანებული,
მოვუშვებდი ხოლმე ონკანს,
ბიდონის ნაცვლად ყურს შევუშვებდი
და იქიდან მორაკრაკებდა
გაუნმენდავი წივწივი,
განმენდილი ჟივჟივი,
სატრაქტორო ყიყინი...
როცა ხმა მიწყნარდებოდა,
სარქველში ფანარს ჩავანათებდი
და ვცდილობდი ჩახედვას,
მაგრამ არაფერი ჩანდა.
იქიდან არასდროს ამოდებოდა
ლეშის სუნი,
მხოლოდ ნავთის თავბრუდამხვევ სუნსდა ვგრძნობდი...
ერთხელ მამაჩემმა
სვანური ღუმელის გაკეთება გადაწყვიტა
და ელექტროშემდუღებელი აპარატით
რეზერვუარის დაჭრა დაიწყო.
მე დავიმალე,
რადგან ვფიქრობდი,
რომ ამით ჩემს დანაშაულებათა სერიას ფარდა
აეხდებოდა.
შორიდან ვუცქერდი,
როგორ ცვლიდა სახეზე დამცავაფარებული მამაჩემი

ჩამწვარ შესადულებელ ჩხირებს
და რალაციტ უცხოპლანეტელს ჰგავდა.
ბოლოს მოჭრა ერთი კედელი,
შიგნით შეიხედა და მეორე კედელს მიადგა.
მე გამიკვირდა და ნელა მივუახლოვდი...
იყო მხოლოდ წლების მანძილზე მზეუნახავი,
ნავთით გაპოხილი რკინის კედლები
და სხვა არაფერი...
შემდეგ, როცა სკოლიდან გათოშილი ვბრუნდებოდი
და სვანურ ღუმელთან ვთბებოდი,
მეჩვენებოდა,
რომ შიგნით ცეცხლი კი არა,
მათი სულები ხმაურობდნენ
და ეს იყო მათი სამოთხე.
მეჩვენებოდა,
რომ ჩემთვის აცხოვდნენ
ჰაერღუმელში მჭადპურას,
ჩემთვის ადულებდნენ ჩაის,
ჩემთვის ხარშავდნენ ლობიოს
და აკეთებდნენ ღომს...
ღამით ხშირად მესიზმრებოდა,
დაპატარავებული,
როგორ ვვარდებოდი რეზერვუარის სარქველში,
როგორ ვიზრდებოდი შიგნით
და ვერაფარით ვახერხებდი ამოსვლას.
ვყვიროდი და არავის ესმოდა,
ვტიროდი და არავის ესმოდა,
ვდუმდი და არავის ესმოდა.
მელვიძებოდა ოფლში განურულს,
და ღუმელში ცეცხლს ვანთებდი,
რომ მათ სულებს არ მოეწყინათ,
და ეს იყო ჩემი ბოდიში.

მე გავხდი მათი მეგობარი,
ისინი კი ვერაფრით გახდნენ ჩემი მტრები,
რადგან არც არასდროს ყოფილან.

ვფიქრობდი:

საკუთარი ძვლები და ბუმბული
იმიტომ გააქრეს რეზერვუარიდან,
რომ მე არ დავსჯილიყავი,
და სწორედ მაშინ შეაბიჯეს უკვდავებაში.

გადარჩენისთვის

რა ჰქვია შენს გულისტკივილს,
რა სახელი აქვს,
ან რა დავარქვა შენს გულჩვილობას
და უსაზღვრო გულუბრყვილობას?!

სხვა ნერგებივით,
შენც დაგნათიან ვარსკვლავები,
შენც გიცავს მზრუნველი
წყვილი ხე,
იმ განსხვავებით,
რომ შენი ხეები
ცალ-ცალკე დგანან
და შენ ამას ბუნდოვნად ხვდები.
სუსტი ტოტებით ებლაუჭები
ორივე ხის ჩამომტყდარ ტოტებს
და ეწევი ერთმანეთისკენ.

კვირა საღამოს
სულ გატყუებ,
თითქოს გასართობ ცენტრში მიმყავხარ,
და შენც მორჩილად,
მხიარულად მიჩერდები,
და თბილად გაცმევ,
ამ დროს კი დედას უნდა შევხვდეთ,
რომ წაგიყვანოს,
რადგანაც ჩემი შენთან ყოფნის საათები
ამოიწურა.

ყველაზე უფრო გულსაკლავი
იცი რა არი?!

რომ ყოველ ჯერზე
ერთსა და იმავე ტყუილს იჯერებ.

შალვა ბაკურაძე „პლენციონის“ ახალ გამზირზე

ქალაქი... მაგრამ ეს ქალაქიც
მხოლოდ წარსულით
სუნთქავს. წვიმები, თოვლი, ქარები,
ცვლიან ერთმანეთს, მაგრამ ისე
უინტერესოდ,
თვალეებს დახუჭავ, რომ არ უყურო.
ქალაქი, მხოლოდ ის ქალაქი, ჩემი, ზღვისპირა,
რომელიც ბევრჯერ დედაჩემმა თვალში იტირა,
რომელიც ერთხელ მამაჩემმა გულში იტირა,
1. რომელიც წლებში ჩაიფშვნა და იქცა კენჭებად.

სახლები... მაგრამ ეს სახლებიც
ფერად ნიღბებქვეშ
მხოლოდ უსახურ ნაკვთებს მალავენ,
და ცოტა ხანში ძველებურად
გახუნდებიან,
და დაეტყობათ ისევ სიძველე,
2. ჯერ კი ფერები, ეს ფერები ეიმედებათ,
ჯერ კი ამაყად დასცქერიან გზას და ტროტუარს,
და გზაც ახედავს ბორბლებიდან (ცოტა დრო თუ აქვს),
და ტროტუარიც – ფეხებიდან (ცოტა დრო თუ აქვს),
ლამით ერთმანეთს ძილში ხედავენ.

ბავშვები... მაგრამ ეს ბავშვებიც
გაიზრდებიან,
ანგელოზობას მიივინყებენ,
და დაუნდობლად დაუშენენ
ტალახს ერთმანეთს,
და ეს თამაშად მოეჩვენებათ.
საკუთარ თავში დუღილისგან მაინც თუ ჩაშრი,

მაშინ მე, შალვა ბაკურაძე, ვდგავარ ქუჩაში,
მაშინ მე, შაკო ბაკურაძე, ვდგავარ ქუჩაში,
1. და ნახევრამდე საკუთარი ხორციით აგავსებ.

ქალები... მაგრამ ეს ქალებიც
მიიჩქარიან
სახლებში, სადაც მათი სითბოა,
ან იქნებ მათი სიცვივა,
მაგრამ ისინი
შინ ბრუნდებიან მაინც ჯიუტად.

2. და ჩანს კაკტუსი, ანთებული ფანჯრის რაფაზე,
და ვილაც მთვრალი ტელეფონს რომ კედელს მიაფშვნის,
მაშინ მე, შალვა ბაკურაძე, ვდგავარ წვიმაში,
მაშინ მე, შაკო ბაკურაძე, ვდგავარ წვიმაში,
და ლამპიონის წვეთებს ავყურებ.

ხეები... მაგრამ ეს ხეებიც
ჩამოხმებიან,
ვინმე მოჭრის და ცეცხლს შეუკეთებს,
მანამ კი ყრიან ყვითელ ფოთლებს,
როგორც სამდურავს,
ღვინის სარდაფის ყავისფერ კართან.
გესიზმრა, როგორ მოდიოდა ბაბა თვარაძე,
ხოლო შენ კარი ჩარაბე და მაგრად ჩარაბე,
და შენ ფანჯარა ჩარაბე და მაგრად ჩარაბე,
1. მას კი ეჭირა გაკვირვება, როგორც გიტარა.

სიტყვები... მაგრამ ეს სიტყვებიც
აზრის ზღუდეებს
გადასცდნენ, უკვე კარგა ხანია,
ვერ ასრულებენ დაკისრებულ
მოვალეობას,
ანუ ვერაფერს გამოხატავენ.

2. რადგან იტირებ, რადგან ტირი, რადგან იტირე,
რადგან შენ ითმენ სიყვარულს, თან – ასე თუ ითმენ,
მე ვთარგმნი შენთვის, მხოლოდ შენთვის, უოლტ უიტმენს,
მოვუხმობ შენთვის, მხოლოდ შენთვის, უოლტ უიტმანს,
როგორც დილის მზეს – სველი ბალახი.

ბალახი... მაგრამ ეს ბალახიც
მხოლოდ ბოლია!

ბაგების სტუდენტის საბაგროს წყვილი ვაგონი

იმ შუადღეს,

მზემ რომ გაითქვა სითბო

და ჩვენს მოკლე გზებზე დაგვკიდეს –

იქიდან დაიწყო ყველაფერი.

ვერცერთმა

საკუთარი სქესი რომ ვერ გავარკვიეთ –

იქიდან დაიწყო.

სამუშაოს შემდეგ,

ხრამისთავზე რომ ვეკიდეთ გვერდიგვერდ

და ერთმანეთის სინთლეს ვგრძნობდით –

იქიდან.

ქარი რომ ამოვარდებოდა

და ერთმანეთისკენ ვინევდით –

იქიდან.

თოვლი რომ ჩამოთოვდებოდა

და დაგვეხურებოდა –

იქიდან.

წვიმა რომ ჩამოწვიმდებოდა

და გვჟანგავდა –

იქიდან.

ხევის სულში,

პატარა მდინარე რომ გაგიჟდებოდა და,

ლოდებთან და მოთხრილ ხეებთან ერთად,

ჩვენი ჟანგიანი წვეთები მიჰქონდა –

იქიდან.

შუადღეს,

მზემ რომ სითბო გაითქვა –

იქიდან დამთავრდა ყველაფერი...

წიხლებს რომ გაჭერენ –

ისეთი ყოფილა სიყვარული.
დაუკითხავად რომ შედიან შენში
და გამძიმებენ –
ისეთი ყოფილა.
ძვირფასს,
ერთადერთ შენნაირს თვალსაწიერზე,
ხევის თავზე რომ ჩაუვლი –
ისეთი.
როცა შენთვის სულერთია,
პროფესორს ეკუთვნის ფეხი,
სტუდენტს თუ ობივატელს –
ისეთი...
თქვენ გეხსომებათ ჩემი სიმსუბუქე,
ან იქნებ აღარც გახსოვთ.
მე თქვენში გოგო ვნახე
და მას მოკლე კაბა ეცვა,
მე თქვენში გოგო მომეწონა
და მას შორტები ეცვა,
მე თქვენში გოგო შემეყვარდა
და მას ჯინსის შარვალი ეცვა,
მე თქვენში ის გოგო დავკარგე
და მას ჩემი სტუდენტობა ეცვა.
ვინ ცინიკოსმა შეგატყუპათ ერთმანეთზე,
სიკვდილის წინ,
ჯართის მთის ჩრდილში?!
როცა მოვკვდები,
მეც მინდა, თქვენსავით,
საკუთარ თავში ჩამასვენონ,
რომ ხე არ მოჭრან ჩემი კუბოსთვის.
მესმის სიკვდილი სხვისი სიცოცხლისთვის,
მაგრამ
რა საჭიროა სიკვდილი სხვისი სიკვდილისთვის?!

ამონარიდები (შოთა იათაშვილი, ნინო სადღობელაშვილი)

ბექა ახალაიას «ამ ვალმოხდილი ფოთლებისთვის» სულ ცოტა ხნის წინ გამოიცა და ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პოეტის ესთეტიკაც უფრო თვალსაჩინო გახადა. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ წიგნი რალაცნაირად თავის თავში ჩაკეტილი გამოვიდა, წიგნის ორ მესამედზე მეტი ერთი ინტონაციის ტექსტებია და ბოლოსკენ – სონეტები. არადა, ბექა ახალაიას აქვს სხვადასხვა სახის ძიებები, მისი პოეზია რეალურად გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ამ კრებულში ჩანს. უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს კონცეპტუალური გადაწყვეტილება იყო, ავტორმა ფორმების სიჭრელეს თავი აარიდა და, სავარაუდოდ, შემდგომი კრებულისთვის გადაინახა.

როგორია ის სალექსო ფორმა, რომელიც ამ კრებულში დომინანტურია? ესაა ექვს, შვიდ თუ რვასტრიქონიანი სტროფები, სადაც პირველი და მესამე სტრიქონი მეორდება ან მხოლოდ ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისგან. ექვსსტრიქონიან სტროფებში პირველი და მესამე სტრიქონი მეხუთესთან ირითმება, მეოთხე და მეექვსე კი – ერთმანეთთან, შვიდსტრიქონიანში – მეოთხე მეშვიდესთან და მეხუთე მეექვსესთან, ანუ ამ შემთხვევაში, რეფრენული სამსტრიქონიანი შესავლის შემდეგ, ავტორი რკალურ რითმას იყენებს და არა ჯვარედინს. ხოლო პოემაში «რკინის მაგიდა», რომელიც ოთარ ჭილაძეს ეძღვნება (სადაც რკინის საწოლი, იქაც რკინის მაგიდაო), უკვე არა პირველი და მესამე სტრიქონი მეორდება, არამედ პირველი და მეოთხე და მეორე და

მესამეც ირითმება, ანუ აქაც რკალურ გარითმვასა აქვს ადგილი. და შემდგომი ოთხი სტრიქონიც ასეთივეა, იმ განსხვავებით, რომ ის უკვე რეფრენის გარეშეა. თუმცა ბეჯა ახალაია ამ თავის ფორმებს ზედმინწევნითი სიზუსტით არ მიჰყვება, ხანდახან რალაცას ცვლის, მოდიფიკაციას უკეთებს, შემდეგ ისევ უბრუნდება საწყის ფორმატს. რაც შეეხება ამ განმეორებებს, ისინი ექოს ეფექტს ქმნიან, მაგრამ ამდენი ექოს მოსმენა თანდათანობით დამღლელი ხდება. მრავალჯერ გამოყენებული ფორმა აქტუალურობას კარგავს. ლექსიკა ბეჯა ახალაიას მდიდრული აქვს, მეტაფორები, სახეები, შედარებებიც – ეფექტური, თუმცა არცთუ იშვიათად – საკმაოდ ბუნდოვანი და არის ჩავარდნებიც, როცა იგი უცებ ძალიან გაცვეთილი პოეტური ენით იწყებს მეტყველებას.

შოთა იათაშვილი

ბეჯა ახალაიას ლექსები დიდი ხანია, ჩანს ინტერნეტსივრცეში, პოეზიის სადამოებზეც, თავისი სრულიად განსაკუთრებული, გამორჩეული ხმა ჰქონდა ხოლმე ამ ადამიანს და ყოველთვის იქცევდა მსმენელის, მკითხველის ყურადღებას, მაგრამ საინტერესო იყო ის, რომ გავიდა წლები და მას წიგნი ჯერ არ ჰქონდა. თავს იკავებდა, ყოყმანობდა და რალაც პერიოდის მერე, რედაქტორთან დიდი ბრძოლების და მუშაობის შედეგად, ძალიან დაწურული, კომპოზიციურად აგებული, მთლიანობაში შეკრული კრებული გამოსცა და ეს ფაქტი, პირადად ჩემთვის, მკითხველისთვის და გულშემატკივრისთვის იყო ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იმისა, რა პასუხისმგებლობით ეპყრობა ის თავის პოეზიას, ზოგადად პოეზიას და ამ პოეზიის მიმართ დამოკიდებულება ჩანს კიდევ მთელ წიგნში.


მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ციკლის ლექსებია შესული ამ წიგნში, თითქოს ეს არის ერთი მთლიანი, გაბმული, ლირიკული პოემა, რომელსაც აქვს თავისი ძალიან ფარული დრამატურგიული ხაზი და ეს ხაზი ემთხვევა ადამიანის და, გნებავთ, კაცობრიობის ცხოვრების დრამატურგიას: დაბადება, ვნება, – და ეს ვნება შეიძლება გავიაზროთ, როგორც თამაში ღრმა ტკივილებში გადმოცემული ჯვარცმის მისტერიით, – სიყვარული, სიკვდილი, მერე აღდგომა და ყველაფერი ისევ თავიდან იწყება... მთლიანობაში, დრამატურგიულ ხაზში ჩემთვის რალაცა ისეთი, განსაკუთრებული შესაგრძნობელი, მაინც დაბადების მისტერია იყო, რომელზეც ის ძალიან ბევრს წერს, როგორც მამა, როგორც შვილი და, საერთოდ, როგორც ადამიანი, რომელმაც ეს განიცადა და რომელიც ამას მუდმივად განიცდის. ყველა ლექსში თითქოს არის ხელახლა შობის, რალაციდან გამოსვლის, რალაცამდე მისვლის და მერე ისევ დაბადების საიდუმლო. და ეს ყველაფერი არის თან ძალიან ქართული და თან ძალიან უცხო, უშორესი, ღრმა და მითოსურიც. და რალაციით მაგონებდა ნიკო სამადაშვილს. როგორც მას შეუძლია ქრისტეს და ღვთისმშობლის შესახებ ისაუბროს ქართლის ეზოების ატმოსფეროდან, თითქოს ისიც, უფრო კოლხური განწყობით მოდის ჩვენი დასავლეთი. ეს შეიძლება განვაზოგადოთ და სამყაროს დასავლეთი მხარე წარმოვიდგინოთ ამ ყველაფერში.

ერთი არის კიდევ, სტიქიების თემაზე წერს. ოთხი ციკლი არის სტიქიების თემაზე და მთლიანობას ესეც კრავს თითქოს. ძალიან საინტერესოდ ზის ამ კომპოზიციურ ჰარმონიაში სტიქიების თემა, ბუნებასთან მუდმივი კავშირის მცდელობა, ამ კავშირის რღვევა, ძალიან

ადამიანური შეკითხვებით და ადამიანური პასუხებით
ნაგრძნობი ბუნება.

ნინო სადღობელაშვილი

დანიელ პენაკი



დანი
ელ
პენაკ
ის,
ერთ-
ერთი
საუკე
თესო
თანა
მედრ
ოვე
ფრან
გი
მწერ
ლის
რომა

ნები ირონიული დეტექტივისა და ჯადოსნური ზღაპრის ფანტასტიკური კოქტეილია.

დანიელ პენაკის (ნამდვილი სახელია დანიელ პენაკიონი, წარმოშობით კორსიკელია) საკმაოდ საინტერესო ცხოვრება ძირითადად იმან განაპირობა, რომ 1944 წლის 1 დეკემბერს კასაბლანკაში, მაროკოში, კოლონიური არმიის ოფიცრის ოჯახში დაიბადა. მამასთან ერთად ოჯახი, რომელშიც დანიელი მეოთხე ბიჭი იყო, საცხოვრებლად გადადიოდა აფრიკაში, აზიაში, ევროპაში, და ბოლოს – საფრანგეთში, სოფელ კოლ-სურ-ლუში დასახლდა. მამის გახსენებისთანავე ასეთი სცენა აგონდება: «ჩემთვის კითხვის სიამოვნება დაკავშირებულია კვამლის

ფარდასთან, რომელშიც მამა ეხვეოდა ხოლმე თავისი წიგნების კითხვისას. იმასლა ელოდა, რომ მის გვერდით მოვკალათებულყავით და ერთად წაგვეკითხა. ასეც ვიქცეოდით». დანიელი სკოლა-ინტერნატში სწავლობდა და მხოლოდ სემესტრის ბოლოს ბრუნდებოდა სახლში. იმ წლებზე გვიამბობს: «ცუდი მოწაფე გახლდით. დარწმუნებული ვიყავი, სკოლას ვერც დავამთავრებდი».

და მაინც, ინტერნატში გატარებული წლების წყალობით, კითხვა შეუყვარდა. ბავშვებს კითხვის უფლებას არ აძლევდნენ, ის კი მალულად კითხულობდა. «რომანის აღმოჩენას დაუმორჩილებლობის გზება ემატებოდა...».

ლიტერატურის შესწავლამ პედაგოგობამდე მიიყვანა, 1969 წლიდან 1995 წლამდე, ჯერ კოლეჯში, მერე კი ლიცეუმში, სუასონსა და პარიზში. მისი პირველი წიგნი, დაწერილი 1973 წელს სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, არის პამფლეტი, რომელიც უტევს ეროვნული სამსახურის ძირითად დიდ მითებს: თანასწორუფლებიანობას, ვაჟკაცურობას, მოწიფულობას. სწორედ მაშინ ის ხდება დანიელ პენაკი, სახელს იცვლის, რათა მამის, იმ დროს უკვე გენერლის, სამხედრო კარიერას არ ავნოს. ბრაზილიაში გატარებული ორი წელი (1979-80 წწ.) ოცდასამი წლის შემდეგ გამოქვეყნებული რომანის შთაგონების წყარო გახდება: «დირექტორი და ჰამაკი». დეტექტივების ჟანრის პირველი რომანი «კაციჭამიათა საბედნიეროდ» 1985 წელს გამოქვეყნდა. დანიელ პენაკი ცნობილი გახდა რომანებით მალოსენების ოჯახზე. მალოსენის საგა შვიდი რომანისგან შედგება: «კაციჭამიათა საბედნიეროდ» (1985 წ.), «ფერია კარაბინით» (1987 წ.), «პროზის გამყიდველი» (1989 წ.), «ბატონი მალოსენი» (1995 წ.), «ქრისტიანები და მავრები» (1996 წ.), «ვნების ნაყოფი» (1999 წ.), «დამიძახეთ

მალოსენი» (2000 წ.) და ერთსა და იმავე პერსონაჟებზე გვიამბობს.

ავტორი გადმოგვცემს ბენჟამენ მალოსენის ოჯახისა და მისი მეგობრების სევდითა და ხალისით აღსავსე ცხოვრებას ტრაგიკული მოვლენების ფონზე. განვითარებული მოვლენების საშუალებით პენაკი გვიჩვენებს თანამედროვე, ვითომდა ნოვატორული საზოგადოების ცდუნებებსა და უთანასწორობას. ავტორი ირონიულად აღწერს მომხმარებელთა საზოგადოებას და გვივლენს ადამიანთა უსუსურობასა და უუნარობას, მიიღონ მტკიცე გადაწყვეტილებანი და იკისრონ პასუხისმგებლობა თავიანთ ქმედებებზე, მათ სურვილს და აუცილებლობას – ჰყავდეთ განტევების ვაცი, ვინმე, ვინც დაისჯება, თუკი მოვლენები ცუდად განვითარდება, რათა საზოგადოებამ თავისი ძალაუფლება დაამტკიცოს. მთავარი გმირის ამბავი კარგად გვიჩვენებს საზოგადოების გავლენას ინდივიდზე, როდესაც პროფესია მის მეორე ბუნებად იქცევა. ის თავის თავზე იღებს სხვის ცოდვებს, თანაც – საკუთარი სურვილით. ციტატა რენე ჟირარის კვლევიდან («განტევების ვაცი») რომანის მთავარ არსს გვიხსნის: «...მორწმუნენი იმედოვნებენ, რომ საკმარისია, წმინდანი გამოჩნდეს მათ შორის, და მათ ნაცვლად ის დაისჯება». აქ რამდენიმე განსხვავებული თემაა: სიყვარული, თავდასხმა, ოჯახური სოლიდარობა, მოულოდნელად დაბადებული ბავშვები, აქტუალური სოციალური თემები. მოქმედება ხდება 1980-იან წლებში და ეხება აგრეთვე ვითარებას მეორე მსოფლიო ომის დროს, ასევე ულტრამემარჯვენე ნაციონალისტების ტერორს. დეტექტივივით დაწერილი ეს წიგნი უფრო დრამატულია. ავტორი ისე კარგად ერთობა სიტყვებით და თხრობით, რომ ჩვენც პირველივე გვერდებიდან აგვიყოლიებს და ინტერესს გვიღვივებს. იგი

კომიკური პერსონაჟების პორტრეტებს წარმოგვიდგენს მათივე სასაცილო და ზუსტი კომენტარებით. და ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ სინამდვილეში, ბავშვები კი არ უნდა გაიზარდონ და მაგალითი აიღონ უფროსებისგან, არამედ თვითონ მოზრდილები უნდა შეეგუონ ბავშვებს და მათი სამყარო შეინარჩუნონ, და ისინი უფროსი ასაკის საფრთხეებისგან დაიცვან.

ბავშვებისთვის შეთხზული სხვა ტეტრალოგიით პენაკმა მკითხველთა წრე გაზარდა. მხატვრულ ლიტერატურას ემატება სხვაგვარი თხზულებები: ესე კითხვის შესახებ, «რომანივით საკითხავი», ფოტოგრაფ რობერ დუასნოსთან თანამშრომლობით შექმნილი ორი თხზულება და კომიქსი «დებოში» ჟაკ ტარდისთან ერთად. 1995 წლიდან თავი დაანება მასწავლებლის პროფესიას და თავი სრულიად მიუძღვნა ლიტერატურას. და მაინც აგრძელებს ურთიერთობას მოსწავლეებთან.

2007 წელს თხზულებისთვის «სკოლის სევდა» რენოდოს პრიზი მიიღო.

2016 წლის ბოლოს გამოვიდა მალოსენის საგის ბოლო რომანი «მალოსენის საქმე. მათ მომატყუეს», სულ მალე კი მის მეორე ტომს ველოდებით.

კატრინ ვენსანის ინტერვიუ დანიელ პენაკთან

ჟურნალი «ლე მონდ», 12.02.2017

(ფრანგულიდან თარგმნა მანანა ბოსტოლანაშვილმა)

აქამდე ვერ მოვიდოდი, რომ არა...

...საშინელი მოსწავლეობის ხანა რომ არ გამომეწლო. და ვერ გადავიტანდი, რომ არ მყოლოდა მამა, რომელიც ამას ტრაგიკულად არ აღიქვამდა. და უფროსი ძმა, ვისაც ვალმერთებდი და რომელმაც, ერთგვარად, აღმზარდა. მამაჩემის ალერსიანი ირონია, ჩემი ძმის ანგელოზისებრი მფარველობა შფოთვას მიმცირებდა.

ძალიან გიმძიმდათ ცუდ მოსწავლედ ყოფნა?

ეს იყო დანაშაული! ჩემი სასკოლო დღიურები ამას ყოველი თვის ბოლოს მიდასტურებდა: მხოლოდ ჩემი ბრალი იყო, თუ კრეტინი ვიყავი. აქედან გამომდინარეობდა საკუთარი თავის სიძულვილი, არასრულფასოვნების კომპლექსი და, განსაკუთრებით, დანაშაულის შეგრძნება – ეს კატასტროფული თვალსაზრისი, რომელიც ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ, როდესაც ფიქრობენ, რომ მათი პიროვნულობა ძირითადად სკოლაში მიღებულ ნიშნებზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით, არარაობა ვიყავი. თავი არარაობაზე ნაკლებად მიმაჩნდა, რადგან ერთმანეთის მიყოლებით მიმეორებდნენ მასწავლებლები, «ვინც არაფერშია კარგი, თვითონაც არაფერია...» და მეც ვერავითარ მომავალს ვერ ვხედავდი, თავი მოზრდილად ვერ წარმომედგინა. არა იმიტომ, რომ არაფერი მსურდა, არამედ იმიტომ, რომ თავი სრულიად უუნარო მეგონა.



«სკოლის სევდაში» (რენოდოს პრიზი, 2007 წ.), თქვენს ყველაზე ავტობიოგრაფიულ წიგნში, ამბობთ, რომ რამდენიმე პროფესორმა და კითხვამ გადაგარჩინათ...

ბავშვობაში ზღაპრებს არ მიკითხავდნენ. ოთხ ბიჭში ყველაზე პატარა ვიყავი, დედაჩემს უამრავი საქმე ჰქონდა, გადაქანცული იყო და ეს არ ახასიათებდა. მაგრამ როდესაც პანსიონატში შემიყვანეს, ოჯახში ჩადენილი დანაშაულის გამო (სახლის სეიფის გახვრეტა ვცადე), კითხვა გახდა ფარული ბედნიერება; «მოპარული» კითხვა საღამოს, საძინებელში, საბნის ქვეშ, ანთებული ნათურის შუქზე. იმ დროს ბევრს ვკითხულობდი: ალექსანდრე დიუმას – რომანტიკულობისთვის, კიპლინგს – ზღაპრებისთვის, დიკენსს -თავისი ირონიის გამო, რაც ძალიან მიყვარდა. ბავშვობაში, პანსიონატამდე, ორმა წიგნმა მოახდინა შთაბეჭდილება: «ბატონი სეგენის თხამ» – რა თქმა უნდა, მე ვიყავი თხა, მარტოდმარტოდ დარჩენილი წინასწარ წაგებულ ბრძოლაში; ალბათ, მგელი წარმოადგენდა სკოლას, უფროსებს; და პროსპერ მერიმეს «მატეო ფალკონემ», მამის ამ შემზარავმა ამბავმა, რომელიც ათიოდე წლის ვაჟიშვილს კლავს იმიტომ, რომ მან შეარცხვინა. ამაში გამოიხატებოდა ჩემი უკიდურესი შიში მოზრდილთა სამყაროს წინაშე.

ორიოდე სიტყვით კიდევ გვიაშბეთ ამ მტკივნეულ პერიოდზე.

ტყუილი. ისეთი ზარმაცი ბავშვი, როგორც მე ვიყავი, იძულებულია, სიცრუეს შეაფაროს თავი. ყოველთვის:

როდესაც კლასში შედის და თავი უნდა გაიმართლოს, თუ რატომ არ ისწავლა გაკვეთილები; და როდესაც სახლში ბრუნდება და უნდა ამტკიცოს, რომ სკოლაში ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მაგრამ მოსწავლემ იცის, რომ დადგება დღე, როდესაც მასწავლებლები და ოჯახის წევრები ერთმანეთს შეხვდებიან. ერთ-ერთი ყველაზე რთული გონებრივი სამუშაო ჩემს ბავშვობაში იყო ის, რომ სახლში ნათქვამი სიცრუე ფიქტიურად შეწყობოდა სკოლაში მოგონილს. მოგვიანებით, ამგვარი ცოდნა ძალიან გამომადგა, როდესაც მასწავლებელი გავხდი.

მწერალი არა?

უფრო – როგორც მასწავლებელს. თავდაპირველად მასწავლებელი ვიყავი. კოლეჯში და ლიცეუმში სწავლების ოცდაშვიდი წლის განმავლობაში მრავალი მოსწავლე მყავდა, ვისაც სწავლა უჭირდა. და ვიცოდი, რომ ისინი უდიდეს ენერგიას ხარჯავდნენ, რათა თავიანთი ტყუილები თანმიმდევრული გაეხადათ. ჩემი სამუშაო იმაში მდგომარეობდა, რომ ეს დაკარგული ენერგია აღმედგინა, რათა მათ მთელი ძალისხმევით შეეძინათ ცოდნა.

როგორ გახდით მასწავლებელი?

შემთხვევით. ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ოჯახისგან დამოუკიდებლად უნდა მეშოვა საარსებო საშუალება. 1969 წელია, 25 წლისა ვარ (ბაკალავრიატი 21 წლისამ დავამთავრე, ისეთი სწრაფი ვიყავი), და ესნში, სუასონის კერძო სასწავლებელში შემომთავაზეს თანამდებობა. და მე აღმოვჩნდი – მეორე შემთხვევითობა – ჩემნაირ რთულ მოზარდებთან. მოწოდება რამდენიმე საათში ვიგრძენი.

ცუდი მოსწავლისთვის ბედის წყალობაა, მასწავლებლად რომ ყოფილი ზარმაცი ჰყავდათ?

შეიძლება ითქვას, ძალიან სწრაფად მივხვდი, რომ მე გამაჩნდა კულტურა, რაც სხვებს არ ჰქონდათ. ვიცოდი, რას გრძნობს ცუდი მოსწავლე. ვიცოდი რეაქციების ჯაჭვი: შიში, მარცხი, შეფერხება, სიცრუე, სირცხვილი, ძალადობა და ა.შ. ვიცოდი, რომ უპირველეს ყოვლისა, მოზარდი თავისი შიშისგან უნდა განმეკურნა, და ეს უნდა მომეხერხებინა მხოლოდ იმ საგნის საშუალებით, რომელსაც ვასწავლიდი – ამ შემთხვევაში, ფრანგულის ენისა. ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის გარეშე, ისე, რომ არ მეცადა იმის გარკვევა, თუ რატომ დაემართა ეს. რადგან სინამდვილეში, მიზეზებს არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ერთადერთი რამ არის მნიშვნელოვანი – როგორ რეაგირებს ყმაწვილი. თუ მოახერხებ მის დაინტერესებას ლიტერატურით, მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძებას გრამატიკის მიმართ, შიში გაუქრება. ეს შიში, სიღრმისეული შეფერხება, ჩემთვისაც კარგადაა ნაცნობი... წინასწარ ვიცოდი, რომ ისეთ შეკითხვებს დამისვამდნენ, რომლებსაც ვერ ვუპასუხებდი, თუმცა იქამდე სწორად ვპასუხობდი ბერნარს! რადგან როდესაც მას გაკვეთილს ვუყვებოდი, ყველა პასუხი ვიცოდი! მეორე დღეს კი, მასწავლებლის წინაშე... აღარაფერი.

ეს უფროსი ძმა, ბერნარი, რომელთანაც ასე ახლოს იყავით...

ის ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო. ერთ ოთახში გვეძინა ჩემი დაბადებიდან იქამდე, სანამ 11 წლის გავხდებოდი (სეიფის ასაკამდე). მხიარული იყო, მზრუნველი და გულწრფელი, მმფარველობდა, მაგრამ არ მთრგუნავდა... ეს ძალიან უცნაური იყო: ბერნარს საერთოდ არ გააჩნდა

ფლობის სურვილი. ძმურ წყვილს ვეძინდით. ერთად, მაგრამ ყველასგან განცალკევებით, უკიდურესად წყნარად ვიყავით, ძალზე ღრმა მეგობრობა და ჰარმონია გვქონდა, ურთიერთგაგება, იუმორი... თითქმის 10 წელია, რაც გარდამეცვალა, და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მივხვდით, რომ არასდროს გვიკამათია. ერთხელაც არა – 60-ზე მეტ წელიწადში! უწყინრადაც კი არ გვიკამათია, პოლიტიკის გამოც კი არ დაგვიტუქსავს ერთმანეთი. არჩევნებზე სხვადასხვა მხარეს ვიყავით, ერთი პროფესიაც კი არ გვქონდა (აერონავტიკის ინჟინერი იყო), ის უფრო მარტოსული იყო, მე კი ხალხში ვტრიალებდი, ის – სკეპტიკოსი, მე კი – ფეთქებადი, ის – მეოცნებე, მე კი – მოლაპარაკე... ის იყო წინამძღოლი, რომელსაც აკვირვებდა ჩემი წარმატებები. და მის გარეშე ვერაფერს მივალწევდი! და როგორ აბედნიერებდა ჩემი წარმატება! მისი თვალსაზრისი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მე კი საოცრად მიხაროდა, რომ ჩემი წარმატება მას ახარებდა. ზოგჯერ ის უკეთილესი პიგმალიონი მგონია. და მას უნდა ვუმაღლოდე, რომ ცხოვრებაში არასდროს შემიძენია ახალი მანქანა. რადგან მეუბნებოდა: «უწესრიგობას ხომ არ დავუმატებთ...»

პოლიტექნიკურ სკოლადამთავრებულ, სამხედრო მამასთან ერთად თქვენ და თქვენი ძმები დიდხანს არ რჩებოდით ერთ ადგილას ბავშვობაში...

მართალია. მაროკოში, კასაბლანკაში დაბადებიდან ოტ-სავუაში, კრუსეის პანსიონატში შესვლამდე, სტაბილური საცხოვრებელი ადგილი არ გვქონია. გამონაკლისი იყო ბებიაჩემის სახლი, კოლ-სურ-ლუპში, სადაც თითქმის ყველა არდადეგებს ვატარებდი. კარგად მაგონდება სიესტა, სულ პატარა რომ ვიყავი: მზის სხივები როგორ იჭრებოდა დარაბებში, შიშველი ფეხებით როგორ

დავრობდი გრილ ფილებზე, ჭრიჭინები, ფიჭვების თბილი სურნელი... ეს სახლი კიდევ მაქვს. ჩემი საწოლი დედაჩემის ქალიშვილობისდროინდელ ოთახშია. სამოცდახუთი წლის წინ ამ საწოლზე ბერნარი, ჩემი ბიძაშვილი გოგო და მე ვსხდებოდით, როდესაც მეორე დღის გეგმებს ვაწყობდით.

და არდადეგების გარდა?

იღარ-ობერშტეინში, გერმანიაში, რამდენიმე წლის განმავლობაში, მერე ჯიბუტიში, მერე საიგონში ერთი თუ ორი წელი... ყოველ ჯერზე ეს იყო აღმოჩენები და გულისტკივილები. საიგონის ნავსადგურში შესვლიდან დღემდე მკაფიოდ მახსოვს ნუოკ-მამის სურნელი. აბიჯანში – ზეთოვანი მცენარის ძლიერი სუნი... იმ დროიდან მეხსიერებაში შემომრჩა სურნელები და ადამიანები. ისეთები, როგორებადაც მაშინ აღვიქვამდი. მუდამ განსხვავებულნი და მიმზიდველნი. ენები, რომლებზეც ისინი მეტყველებდნენ, მათი საკვები, ის, თუ როგორ ერთობოდნენ... ალბათ, ჩემთვის სწორედ ამიტომ არის ბელვილი ახლობელი. კოსმოპოლიტურობა თითქმის გენებში მაქვს!

სინამდვილეში, ბავშვობა სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად გაატარეთ?

არა, ეს მაინც «კოლონიები» იყო. საიგონში ვიეტნამელებთან ვმეგობრობდი. ჩემი მშობლები მათთან ერთად ქუჩაში ბურთის თამაშის ნებას მაძლევდნენ, მაგრამ ეს იშვიათი მოვლენა იყო კოლონიაში მცხოვრები ბავშვისთვის. ომი მიმდინარეობდა, ეს სწორედ «დიენ ბიენ ფუს» ბრძოლის^[1] წინ ხდებოდა... მაგრამ მე ვერ ვიტყვი, რომ ადგილობრივებს შევერიეთ. ეს იყო ერთ-ერთი რამ, რაც მამაჩემს ადარდებდა. მის 1922 წლის დროინდელ

წერილში ვიპოვე, როდესაც მან, როგორც უმცროსმა ლეიტენანტმა დაიწყო სამხედრო სამსახური ტონკინო-ჩინეთის საზღვარზე: უფრო ზუსტად, ის ნანობდა, რომ ამ კოლონიური თავგადასავლის დროს შერევა არ მომხდარა. ამ წერილში ის წერდა: «ინდოჩინეთში ოცდაათ წელზე დიდხანს არ დავრჩებით. ჩვენ იქ შეგვაქვს ყველაფერი, რასაც უხეში ძალით ვაკეთებთ, ისე, რომ საერთოდ არ გვანტერესებს ეს ათასწლოვანი ცივილიზაცია»... და ამას ამბობდა ახალგაზრდა კაცი! და დასძენდა: «და ამას მოჰყვება ალჟირი. 150 წელზე მეტხანს დაუსჯელად ვერ დავრჩებით ქვეყანაში ისე, რომ მოსახლეობას არ შევერიოთ».

მისით აღფრთოვანებული იყავით?

ვალმერთებდი, მაგრამ შორიდან, რადგან მუდმივად ვშიშობდი, მისთვის იმედი არ გამეცრუებინა. მას ერთგვარი წყნარი ძალაუფლება გააჩნდა, მეოცნებე, საკმაოდ დაბნეული. მე-19 საუკუნის კაცი იყო, ვერ ემლიქვნელებოდი... ამასთან, მოკრძალებულობა მას საშიშად აქცევდა. მაგრამ არაჩვეულებრივად ადამიანური იყო. ოჯახში მხოლოდ მან მიაღწია წარმატებას – მამამისი, წარმოშობით კორსიკელი, ბანკის წვრილ მოხელედ მუშაობდა კონტინენტზე, და მამაჩემი პოლიტექნიკურ სასწავლებელში ვერ ისწავლიდა, თავის უფროს დას და ძმას მისთვის სწავლის ფული რომ არ გადაეხადათ. იქაც მათემატიკის წყალობით მოხვდა, მაგრამ ეს ძალიან არ აინტერესებდა. მას პოეზია და ლიტერატურა უყვარდა. პოლ ვალერის, მალარმეს, ჯოისის წიგნების მუდმივ გარემოცვაში ცხოვრობდა.

და დედათქვენი როგორი იყო?

ახალგაზრდა, გაბრაზებული ქალი, ბუზღუნა. სამხედროს ცოლობა სახალისო არ ყოფილა: გადასახლებები, წვეულებები... თანაც, ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა. ის ცხოვრობდა ხუთ კაცთან ერთად, რომლებიც ჩიბუხს ეწეოდნენ. საბედნიეროდ, რაკი ძალიან ტანდაბალი იყო, კვამლის ღრუბლის ქვეშ დადიოდა! მგონი, ამ ქალს სხვა რამის კეთება სურდა. როდესაც მართვის მოწმობა ავიღე, კინოში მიმყავდა ხოლმე, ნიცაში. მას განათლება არ მიუღია, მაგრამ ძალიან უყვარდა ბერგმანი, იაპონური ფილმები... ეს ფილმები მე ხშირად ბუნდოვნად მეჩვენებოდა. ის კი ჩაფიქრდებოდა ხოლმე. ერთხელ ჯოისის კითხვისას წავასწარი. «დედა, «ულისეს» კითხულობ? მოგწონს?» «კი, ძალიან, ერთადერთი ადამიანია, ვინც ისე წერს, როგორც ვფიქრობთ...» ქორწინებამდე მუშაობდა მკერავის დამხმარედ, ვისი ქმარიც მხატვარი იყო. მგონი, იმ წრისთვის იყო დაბადებული. მხატვრები... სინამდვილეში, არასდროს აკმაყოფილებდა თავისი ცხოვრება.

თქვენ როგორ დაიწყეთ წერა?

ალექსანდრე დიუმას წყალობით. პანსიონატის საძინებელში მალულად კითხვის დროს. წიგნზე მეძინებოდა, მეორე დილით კი მისი წაღება არ შემეძლო გაკვეთილებზე, ჰოდა, მეც გაგრძელებას ვწერდი. წერის სურვილი ჩემთვის ყოველთვის მჭიდროდ უკავშირდებოდა კითხვის სურვილს. საღამოობით ჩემს ვერსიას დიუმასას ვადარებდი – ცხადია, დიუმასი ოდნავ სჯობდა. ასე დავიწყე წერა.

და მალოსენების დიდი ოჯახი როგორ დაიბადა?

მრავალი მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, მსურდა, განმეახლებინა თხრობითი და პოპულარული

ლიტერატურა, თავი დამელნია ვალერის გავლენისგან, რომელიც კრძალავდა რომანს და ამტკიცებდა: «არასდროს დავწერ: «მარკიზა 5 საათზე გამოვიდა» – და სტრუქტურალისტების დიქტატისაგან, ძალიან გავრცელებული რომ იყო 1970-80-იან წლებში. თუმცა, მე წავიკითხე რენე ჟირარის ესე «განტევეების ვაცი», და მისი თეორია მომეწონა. მოკლედ, ჟირარის მიხედვით, ადამიანთა ყოველი დაჯგუფება აგებულია ყველაფრის განტევეების ვაცისთვის გადაბრალებაზე: როგორც ყოფილმა ზარმაცმა, მერე კი პროფესორმა, კარგად ვიცოდი ეს ფენომენი. ვიფიქრე, რომ საინტერესო იქნებოდა ისეთი პერსონაჟის წარმოდგენა, რომელიც პროფესიონალური «განტევეების ვაცი» იქნებოდა, ტიპისა, რომელიც კარგ ხელფასს მიიღებდა იმისთვის, რომ სხვების ნაცვლად გაელანძღათ. 1985 წელს გამოვიდა «კაციჭამიების საბედნიეროდ». მერე მისი გაგრძელება... მალოსენი ამ იდეის განხორციელებაა.

საგის 6 ტომის შემდეგ, 18-წლიანი ღალატის შემდეგ, ძველ სიყვარულს უბრუნდებით «მალოსენის საქმით». რატომ?

გართობა მსურდა. მალოსენის წაკითხვა. კვლავ გამიჩნდა ბავშვობაში დაბრუნების სურვილი, როდესაც ჯერ ვწერდი, მერე კი ვკითხულობდი... თანაც მინდოდა, გამეგო, თუ შემრჩენოდა ასეთი ფანტაზიის უნარი, კიდევ თუ შევძლებდი იმგვარი ტექსტის შეთხზვას, როგორსაც ახალგაზრდობაში ვწერდი. იმდროინდელ სტილს დავუბრუნდი. შეიცვალა მხოლოდ სტრუქტურა: წინა რომანებში მალოსენზე, წინასწარ გეგმებს ვადგენდი, სტილი რომ თავისუფალი ყოფილიყო. ახლა კი იმდენად მჭირდებოდა წერა, რომ პირველი თავი ისე დავწერე, გაგრძელებაზე არც მიფიქრია. ამას მოჰყვა მეორე თავი, რომელშიც აღვწერე მოცვის შეგროვება ჩემს მეგობარ

გლებთან, რობერთან ერთად, ვისგანაც ოცდაათი წლის წინ მე და ჩემმა მეუღლემ შევიძინეთ ფერმა ვერკორში, სადაც ზაფხულსა და ზამთრის ნაწილს ვატარებთ. რომანში «მალოსენის საქმე» მოგონებების სიამეს მივხედავ. თითქოს მინდოდა, სიცოცხლის აღსასრულამდე ისევ ჩავძირულიყავი ლუს წყალში, იმ მდინარეში, სადაც მე და ბერნარი მთელ დღეებს ვატარებდით პატარაობაში.

რა ეტყოდით ეროვნული განათლების მესვეურებს?

უპირველეს ყოვლისა, თქვენი ინსპექტორები შეარჩიეთ ნოვატორ მასწავლებლებს შორის, ვისი ინოვაციებიც შეიძლება თეორიებად აქციოთ და სხვებსაც გაუზიაროთ. ეს ინსპექტორები საფრანგეთის ყველა რეგიონში გააგზავნეთ პედაგოგიკით გატაცებული, სერიოზული, მეთოდური და წარმოსახვის უნარის მქონე მასწავლებლების მოსაძიებლად, ვის გაკვეთილებზეც სწავლა სახალისოა – ასეთი ბევრია! ეს ალბათ გააუმჯობესებს ვითარებას. შეწყვიტეთ იმაზე ფიქრი, რომ სწავლება მხოლოდ ცოდნის გადაცემა და იმის შეფასებაა, თუ რა დაიმახსოვრეს მოსწავლეებმა! ენთუზიაზმის გაზიარება კი ნამდვილად იძლევა შედეგს. თქვენი მასწავლებლები იმისთვის კი არ არიან სკოლაში, რომ ბავშვები დააშინონ, არამედ იმისთვის, რომ სწავლის შიში დაამარცხონ. ამ შიშის დამარცხებისთანავე მოსწავლეები დაუოკებლები ხდებიან: მათ ძალისხმევას საზღვარი არ ექნება. მასწავლებლებს არავინ ასწავლის, თუ როგორ ასწავლონ. და, რაც მთავარია, მასწავლებლებმა უნდა შეწყვიტონ დაშინება! და თვითონაც არ უნდა ეშინოდეთ! მე ტრაგიკულად აღქმის წინააღმდეგ ვიბრძვი!

კვეთა კუნესოვა

განუსაზღვრელი დანიელ პენაკი

(ფრანგულიდან თარგმნა მანანა ბოსტოლანაშვილმა)

ამ კონფერენციის თემა, «რომანის პერსპექტივები», უპირველეს ყოვლისა, რომანის მომავალზე დაგვაფიქრებს. და ჩნდება კითხვა, თუ ახლა როგორ მდგომარეობაშია თანამედროვე რომანი, რა ახასიათებს მას. მეორე მხრივ, ეს თემა შინაგან პერსპექტივებსაც, უნივერსალურად წოდებული ჟანრის შესაძლებლობებსაც გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, მინდა, რამდენიმე შენიშვნა შემოგთავაზოთ დანიელ პენაკის თხზულებებზე.

დანიელ პენაკი უდავოდ მიეკუთვნება იმ ავტორებს, რომელთა თხზულებებიც მკითხველთა აზროვნებაში აღიბეჭდა და მათ, ერთგვარად, გავლენა მოახდინეს ფრანგულ ლიტერატურაზე ბოლო ათწლეულების განმავლობაში («პენაკომანიაზეც» კი საუბრობენ). მისი წარმატება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. ამ ნაყოფიერ მწერალს თანამედროვე მსოფლიოსთან აქვს კავშირი, თავისი რომანების მოქმედების ადგილად ირჩევს ბელვილს (პარიზის მე-20 არონდისმანი ანუ რაიონი), მუშათა კვარტალს, სადაც მრავალი ერის წარმომადგენელი ცხოვრობს. მის შემოქმედებაში აისახება ზღაპრის დაბრუნება და ადამიანების მოთხოვნილება, ერთმანეთს მოუთხრონ სხვადასხვა ამბავი, რადგან წარმოსახვა მე-20 საუკუნის დასასრულსაც კი უნდა წაახალისო და შეინარჩუნო. ეს ბრწყინვალე მთხრობელი თავისი წიგნების სისადავით და სილადით გვხიბლავს.

«წარმოსახვა არ არის სიცრუე» – პენაკის ერთ-ერთი სენტენცია, რომლის გარშემოც იგი ყოველთვის ავითარებს

ინტრიგას, მის დევიზად იქცა. დანიელ პენაკის თვალით დანახული რეალობა შეიცავს ყველა ასპექტს, მათ შორის მოჩვენებითსაც. სოციალურ დონეზე ორგანიზებული სიცრუე, მისტიფიკაცია მისი განუყოფელი ნაწილია. ცნობილია მისი გამონათქვამები მედია-საშუალებებზე. ის აცხადებს, რომ «ადამიანები ქადაგებენ მედიის საშუალებით».

თავის მოკატუნება მწერლის მეთოდის ერთ-ერთი პრინციპია – იქნება ეს ტექნიკური შემმოწმებლის როლი, ვისაც თავისი უფროსების ნაცვლად ლანძღავენ, თუ ბავშვების ან მშობლების გადაქცევა «ბატონ ბავშვებად». ის მუდამ სიზმრის და ცხადის ზღვარზეა, ფანტაზიასა და რეალობას შორის.

და მაინც, მისი წიგნების ნაირსახოვანი და ხალისიანი სამყარო, მისი სტილის მრავალფეროვნება და სისხარტე, ისევე, როგორც თავგადასავლები, რომლებიც მას დეტექტიური და ფანტასტიკური რომანების ავტორებს შორის ათავსებს, საშუალებას აძლევს, «მინაზე მყარად ედგას ფეხი». დანიელ პენაკი პესიმიზმს სიხარულით პასუხობს «სიკვდილისადმი ზიზღის გამოხატვით», რამაც შეიძლება მოგვაგონოს 1950-იანი წლების «ჰუსარები», რომელთაც «სერიოზულისადმი ზიზღის გამოხატვა» სურდათ.

დანიელ პენაკზე იმის თქმა, «განუსაზღვრელი ავტორიაო», შესაძლოა, ბუნდოვან და უღიმღამო, ცოტა ჟურნალისტურ სიტყვადაც მოგეჩვენოთ. და მაინც, მისი მრავალგვარი ყაიდის თხზულებები შეუძლებელს ხდის მის ზუსტად დახასიათებას. დანიელ პენაკი ლიტერატურაში შევიდა სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ თავის ჰამფლეტის წყალობით. მაშინ მან ფსევდონიმით დაბეჭდვა არჩია,

რათა მამამისის, ფრანგული არმიის ოფიცრის გვარი არ გაემჟღავნებინა. 1950-იან წლებში საბავშვო წიგნების წერა დაიწყო. 1985 წელს, ბრაზილიაში მოგზაურობის მერე, მეგობართან დადო სანაძლეო, რომ დეტექტივს დაწერდა; და შეთხზა კიდევ რომანი «კაციჭამიათა საბედნიეროდ», «შავ სერიაში» რომ გამოქვეყნდა და მალევე მოჰყვა მალოსენების ოჯახის სხვა თავგადასავლები.

თუმცა, ის რომანის სხვა ასპექტებითაც დაინტერესდა. მალოსენის საგის ბოლო ტომებში უკვე ნაკლებად ვლინდება დეტექტიური ჟანრისთვის აუცილებელი ნიშნები. რომელ ჟანრს მიეკუთვნება «ბატონი ბავშვები»? ესეების წიგნში, სახელწოდებით «რომანივით», მან შეკრიბა თავისი, როგორც მკითხველის ნააზრევი რომანის ჟანრზე. უნდა განვიხილოთ თუ არა იგი, როგორც წიგნების ავტორი ახალგაზრდებისთვის, ლიტერატურის მასწავლებელი, რომელიც თავს გვახვევს საკუთარ კითხვის ეთიკას, თუ ის მართლაც «ფრანგი ჩენდლერია?»^[2] მის თხზულებებში, რომელი ჟანრისაც არ უნდა იყოს, ვამჩნევთ სამ საკვანძო მიმართულებას: ა) ოჯახი, ბ) თავგადასავალი და გ) ლიტერატურა.

ბევრი პოსტმოდერნისტული ავტორის მსგავსად, დანიელ პენაკი კვლავ აღმოაჩენს ოჯახის თემას. საგაში მალოსენებზე შეგვიძლია ვნახოთ ერთგვარი დამკვიდრება, ოჯახი, რომელიც წარმოადგენს ფესვებს და წონასწორობის წყაროს იმ პერსონაჟებისთვის, რომლებიც, მისი წყალობით, არ იკარგებიან სამყაროში და არც თავიანთი არსებობის აბსურდულობაში ეფლობიან. ასე რომ, დანიელ პენაკი არ არის აბსურდის ავტორი. მეგობრები ძმებივით არიან, თუმცა სხვადასხვა ეროვნება და რწმენა აქვთ. პენაკის რომანებში ხშირად ვხვდებით სიტყვას «ტომი». ის გულისხმობს დიდ საზოგადოებრივ

გაერთიანებას, რომელიც ოჯახის ფარგლებს სცილდება. პენაკის ჰუმანიზმი უზარმაზარი მრავალეროვნული და მრავალი კულტურის გამაერთიანებელი ოჯახის ფორმას იღებს.

ოჯახის ელემენტთა შორის დომინირებენ დედისა და ბავშვის პერსონაჟები. დედა, ძალიან თავისუფალი და ემანსიპირებული, თითქმის არასდროს არის სახლში. ხშირად არის ორსულად, მაგრამ შემოქმედებით ძალას, სიცოცხლის სათავეს წარმოადგენს. მას ძალუძს, სწეული განკურნოს რომანში «ქრისტიანები და მავრები» და სიცოცხლის ხალისი და სიყვარული დაუბრუნოს თავის შვილებს მათთან ყოფნის იშვიათ მომენტებში.

ბავშვი და სიყმაწვილე ავტორის ყურადღების ცენტრშია, ისევე, როგორც ბენჟამენ მალოსენი, მისი გმირი, ვინც ამბავს ჰყვება. ბენჟამენი, უფროსი ძმა, ოჯახში ასრულებს იმ მშობლების როლს, რომლებიც პენაკისეულ ოჯახს აკლია. «პატარას» პერსონაჟი, ანუ ბავშვი, კვანძს ხსნის რომანში «ქრისტიანები და მავრები» და სიმბოლური რჩება სხვა წიგნებში, მაგალითად, რომანში «კაციჭამიების საბედნიეროდ». რომანი «ბატონი მალოსენი» ბენჟამენის ვაჟის დაბადებით მთავრდება. ზოგი კრიტიკოსი, მაგ.: ფრანსუა დევინა, ფიქრობს, რომ თვით დანიელ პენაკი – მუდმივი ბავშვი – ამ ოჯახური ამბების გამოგონებით საკუთარ თავს ეძებს.

«ბატონ ბავშვებში» თემა, რომლის დანერგვასაც მასწავლებელი გრასტენგი სთავაზობს თავის მოსწავლეებს – «ერთ დილას იღვიძებთ და აღმოაჩენთ, რომ მოზრდილებად გადაიქცით, თქვენი მშობლები კი – ბავშვებად», – წიგნის სიუჟეტად იქცევა. მასწავლებლის ლოზუნგი «წარმოსახვა არ არის სიცრუე» ფატალური

აღმოჩნდება. «აქტიური პედაგოგიკის» აქტიურობა მას არ იცავს ჯადოსგან – სიმალღეშიც კი მცირდება. მას სურდა, «დაემტკიცებინა ბავშვობა» და «ანმყოფი გაბრუნება განეცადა». სწორედ ამიტომ სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ მხოლოდ ოჯახის თემაზე. ის ყველაფერს მისცემდა, ოღონდ «ბავშვობა თუნდაც კიდევ ერთხელ განეცადა», ჰქონოდა «რწმენა, რომ ბავშვობას სძლია», ანუ «გაიარა». გრასტენგი მარტოსულია, რადგან «მას წაართვეს ბავშვობა».

დროში დაბრუნებების გამოვლინებები, დაკარგული დროის ძიება მრავალნაირია, ისევე, როგორც მათი შედეგები. ზოგი მათგანი სასიკეთოა, ზოგი კი საბედისწერო, თავს თუ არ შევიკავებთ პრუსტის ან ბორის ვიანის მოგონებებისგან. «დაპატარავების» უნარის წყალობით, გრასტენგს შეუძლია საკუთარი თავის კვლავ პოვნა, სიცოცხლის სიხარულის კვლავ აღმოჩენა.

დანიელ პენაკი, ლიტერატურის და «ყოფნის», ანუ არსებობის მასწავლებელი, ფ. დევინას მიხედვით, განიცდის «მოწიფულობის ამოუწურავ სევდას, როდესაც აღმოაჩენს, რომ ცხოვრება ცუდი ფარსია».

გარდა გარდაქმნისა, იქ სხვა ფანტასტიკური თემებიც არის. ეს არის იგორის და მამამისის დიალოგები სასაფლაოზე. მამამისის საფლავიც კი პატარავდება. საინტერესოა, რომ ამ მომენტში გარდაცვლილი მამაც მთხრობელია, თუმცა ამ რომანის სხვა ადგილებში მთხრობელი ამბავში არ მონაწილეობს: «ამ ყმანვილებს... ჩვენს სიცოცხლეში ყოვლისშემძლებად მიგვიჩნევენ, მაგრამ სიკვდილის შემდეგაც ჰგონიათ, რომ შესაძლებლობები გაგვაჩნია». ამ ამბის დასასრული სიმბოლურია. მამა-მთხრობელი იგორს ცოტა ირონიულად ეუბნება: «გიცნობ, იგორ, ბოლოს და

ბოლოს დაიჯერებ მოჩვენებების არსებობას». იგორი ორჭოფულად პასუხობს: «წარმოსახვა არ არის სიცრუე». ეს არის არსებობასთან თამაში – გრასტენგის როლს შეიძლება წინასწარმეტყველური ვუნდოთ. ის, რასაც ვწერთ ან ვხატავთ, რეალურად იქცევა. კინოს მსგავსი მეთოდები ამტკიცებს, რომ სიცოცხლე განუყოფელია ხელოვნებისა და ლიტერატურისგან.

ბავშვის და დაბადების თემა არ არის ერთადერთი კლასიკური ელემენტი, რომელიც ახლებურად წარმოგვიდგინა პენაკმა. მის თხზულებებში გვხვდება ტრადიციული, დიადი იდეების გამოძახილი, თითქმის საყოველთაოს რომ ვუნდობდით. მაგალითად, ეს არის მსხვერპლშენიერვის და მსხვერპლის თემა. განტევების ვაცი პენაკის რომანებში მხსნელის ანარეკლია, იმისა, ვინც სხვის ნაცვლად იტანჯება. რომანს «კაციჭამიების საბედნიეროდ» ეპიგრაფად დანიელ პენაკმა წაუმძღვარა ციტატა რენე ჟირარის «განტევების ვაციდან», რომელიც უდანაშაულოთა დევნის პრობლემას ეძღვნება.

მსხვერპლისა და მსხვერპლშენიერვის საკითხი პენაკის ზემოთ ნახსენები და მომდევნო რომანების სიუჟეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. განტევების ვაცი მთავარი გმირის, ბენჟამენ მალოსენის სიმბოლოდ იქცევა; მალაზის ეს თანამშრომელი მოვალეა, მოისმინოს კლიენტთა საჩივრები და მათი უკმაყოფილების, ხშირად მტრული დამოკიდებულების მსხვერპლად მოაჩვენოს თავი. «პროზის გამყიდველ გოგონაში», მაგალითად, ბენჟამენი, რომელსაც ახალი თანამდებობა უკავია გამომცემლობაში, მზად უნდა იყოს იმ ავტორ-დებიუტანტებთან შესახვედრად, რომელთა ხელნაწერებიც დაიწუნა გამომცემლობა «ტალიონმა».

თავს მცირე გადახვევის უფლებას მივცემ: სავარაუდოდ, დანიელ პენაკზე, რომელიც აღიარებს, რომ უყვარს რეიმონდ ჩენდლერი და გუსტავ ფლობერი, სხვა მწერლებმაც მოახდინეს გავლენა. ჩემი აზრით, შეიმჩნევა ერთგვარი კავშირი დანიელ პენაკსა და ბორის ვიანს შორის. მანაც, პენაკის მსგავსად, «შავ სერიაში» გამოაქვეყნა პირველი დეტექტივები. ვიანთან ვპოულობთ აგრეთვე მსხვერპლის გადატანას, მსხვერპლშენიშვნასა და სიმბოლურ ფიგურებს, მაგ.: დედა რომანში «გულსაგლეჯი».

თუმცა ამ ორ ავტორს სხვადასხვა თვალსაზრისი აქვთ სამყაროზე. დიად ქრისტიანულ სიმბოლოებს – მსხვერპლშენიშვნას და დედას – რომლებიც ბორის ვიანის თხზულებაში თითქმის მითიურ მნიშვნელობას იძენენ, დანიელ პენაკი მასხრად იგდებს. «მე ვხუმრობ», ამბობს იგი. არ უნდა დავუჯეროთ გარეგნულ ნიშნებს, ამიტომ არის ყველაფერი სასაცილოდ გამოსახული.

მაგალითად, სათაური მოგვაგონებს სენტ-ივერის, ციხის დირექტორის საქმეს, რომელმაც დანაშაულის შემცირება სცადა პატიმრების შემოქმედებითი უნარების განვითარებით (ის ამბობს, რომ დამნაშავე არაღიარებული მხატვარია). სენტ-ივერი, არისტოკრატიის წარმომადგენელი, სინმინდეს და მსხვერპლს განასახიერებს, მაგრამ მისი იდეალიზმი სასაცილო ხდება.

აღდგომის თემაც კი ფარსივით არის აღწერილი – რომანში «ქრისტიანები და მავრები» უცნობი ებრაელი, რომელიც ყველა ენაზე ლაპარაკობს, კინალამ გარდაიცვალა, თუმცა მალოსენის დედის სიყვარულმა განკურნა, მერე კი მათი შვილი დაიბადა («პატარა»). ლიტერატურის ადგილს ცხოვრებაში ზუსტად ეს ამბავი გადმოსცემს სიმბოლურად. «პატარა», ბენჟამენის უმცროსი ძმა, კმაყოფილია, რადგან

მამამისი, ისააკი იპოვა, თუნდაც ის მხოლოდ ჟერომ შარინის რომანების ლიტერატურული პერსონაჟი იყოს. ეს მამამისია.

პენაკის დასკვნა ადასტურებს ცხოვრებისა და ლიტერატურის თანაფარდობას: «ბავშვების უმეტესობა მეტაფორიდან იბადება. ისინი მერე ირყვნებიან».

«პროზის გამყიდველში» ბენჟამენის თავგადასავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ლიტერატურასთან. მის, როგორც მსხვერპლის, როლს მეტი მნიშვნელობა ენიჭება გამომცემლობა «ტალიონის» დირექტორის გენიალური პროექტის განხორციელებისას. ბენჟამენ მალოსენი ყველას წარუდგება, როგორც ავტორი ჟ.ლ.ბ.-ს ხელმოწერით გამოცემული რომანებისა, ვისი ვინაობაც ჯერჯერობით უცნობია. ავტორი იმალება, რადგან მინისტრია. ბენჟამენს ასწავლეს, როგორ მოიქცეს ინტერვიუების დროს და კონფერენციებზე «ლიბერალური რეალიზმის» კონცეფციით, – ლიტერატურული მიმდინარეობისა, რომლის შემქმნელადაც მოაქვს თავი მინისტრ შაბოტს.

თუმცა ამ რომანების ნამდვილი ავტორი სხვა ადამიანია, – დამნაშავე, რომელსაც ხელნაწერები მოჰარეს... საბედისწერო ხდება თავდასხმა, რომლის შედეგად მალოსენი ვარდება კომაში. ამას მოსდევს რამდენიმე მკვლელობა ერთადერთი მიზნით: შური იძიონ ბენჟამენის გამო. ყველაფრის მიუხედავად, მკვლელი არის არა ბენჟამენის მეგობარი, არამედ ის კაცი, ვისაც სურს, შური იძიოს ყველაზე, მთელ საზოგადოებაზე – ალექსანდრე კრამერი, ნამდვილი ავტორი რომანებისა ხელმოწერით ჟ. ლ. ბ. ბენჟამენი მკვდრეთით აღდგება და გაუკეთებენ ოპერაციას, რომლის დროსაც გადაუნერგავენ რამდენიმე

ორგანოს ცოტა ხნის წინ პოლიციის მიერ მოკლული კრამერის სხეულიდან. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ ლიტერატურით ამაზე მეტად გაჟღენთილი ადამიანი?

ამ წიგნის პოსტსკრიპტუმში პენაკის აღიარებას ვკითხულობთ: «ვიცი, ცხოვრება არ არის რომანი... ვიცი. მაგრამ მას მხოლოდ რომანტიკა აცოცხლებს.»

ესეების კრებულში კითხვის შესახებ, სახელწოდებით «რომანივით», დანიელ პენაკი ბევრს წერს «ბოვარიზმზე», ფენომენზე, რომელიც საკმაოდ მგრძნობიარე მკითხველებთან ვლინდება. კითხვა არის არამარტო ინტელექტუალური მოგზაურობა, არამედ დაკავშირებაც: მეტაფორაც ეთანხმება – «შეკვრა» არგოზე ნიშნავს «კითხვას». თუმცა დანიელ პენაკი არ არის ბორის ვიანის მსგავსი ნოვატორი და გაბედული, ენას საკმაოდ ხშირად იყენებს მოტივად. ის ამტკიცებს, რომ მას კლასიკურ, მედიდურ უძრაობაში განიხილავს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად აქვს თვითგააქტიურების უნარი.

რომანში «ქრისტიანები და მავრები», მაგალითად, პირობითი კილო ჰერმან მელვილის თხზულების ლიტერატურული ალუზიის ფონზე მთხრობელ ბენჟამენს შთააგონებს ფილოსოფიურ აზრებს ცხოვრებაზე. ეს თითქმის სიურეალისტური თხრობა სხვა საინტერესო ლინგვისტურ თემებსაც შეიცავს. თითქოს უაზროა იმ უცნობი ავადმყოფის გამეორებული წამოძახილები, ოჯახში რომ უვლიან. მისი წამოყვირებები «ქრისტიანები და მავრები!» სხვა რამეს მოგვაგონებს, უფრო რელიგიურ, ფილოსოფიურ და სოციალურ საკითხებზე დაგვაფიქრებს. თუმცა ავტორის განზრახვით, რომელსაც ფარსის დაწერა სურს, ეს ხატოვანი გამოთქმა ამჯერად უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, ნიშნავს ღარიბების კერძს, რომელიც

შედგება ბრინჯისა და ლობიოსგან და ფერის გამო «ქრისტიანებსა და მავრებს» ეძახიან.

ენობრივი თამაშები და გადმოცემის მსუბუქი მანერა, რომელიც არასდროს არის სევდიანი, დანიელ პენაკს რეიმონ კენოსთან აახლოებს. ჩვენ გვხიბლავს მისი სტილი. შესაძლოა, ამიტომ არის პენაკის წიგნები ღირსეული და წარმატებული. ამბები მეორდება; სიახლე და დიდი წვლილი, ალბათ, მისი სტილია.

მაგრამ მინდა, ჟან დ'ორნესონის სიტყვებით დავასრულო: «ლიტერატურა არ არის იდეა. ის არც ხუმრობაა (...) ან გართობა. ლიტერატურაზე მეფობს რაღაც თითქმის ამოუცნობი, რაღაც ბუნდოვანი და ნათელი: ეს რაღაც არის სტილი».

ღელა კოდალაშვილი

დანიელ პენაკის მრუდე სარკე და იქ გამოსახული ადამიანები

რა თემაზეც არ უნდა წერდნენ დღეს თანამედროვე ფრანგი მწერლები, თითქმის მუდამ გრძნობ, რომ ისინი თავდაღწეულები არიან იმ მუქი, ღრმა ხლართებიდან, რომელშიც მე-19 და მე-20 საუკუნის ავტორები იყვნენ გაბლანდულნი და უსასრულოდ დაეძებდნენ სამყაროს ეგზისტენციალურ არსს. დღეს ყველაფერს თავისი გაცილებით მარტივი სახელები ჰქვია და სათქმელმაც სხვანაირი ფორმა შეიძინა. კირკიტი და ანალიზი მსუბუქმა თხრობამ შეცვალა, ბუნების, ტანსაცმლის, ნაკვთების ხანგრძლივი, დღევანდელი ადამიანისთვის უკვე მოსაწყენი აღწერები კი – მინიშნებებმა, სიმბოლოებმა და პოსტმოდერნისტულმა გადააძახილებმა.

დანიელ პენაკის «კაციჭამიათა საბედნიეროდ» ბენჟამენ მალოსენის და მისი ოჯახის საგის პირველი რომანია. მალოსენების საგის ეს და შემდეგი წიგნებიც გაჯერებულია იუმორით, დეტექტიური და მისტიკური ელემენტებით, ბენჟამინ მალოსენის დიდი ოჯახისა და მისი უცნაური სამსახურის ირგვლივ დატრიალებული საინტერესო ამბებით, დაუვიწყარი პერსონაჟებით...

ერთი შეხედვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ რომანი დაწერილია მარტივი ენით, ავსებულია ზედაპირული, სახალისო ამბებით, მაგრამ რეალურად ესაა ღრმა და პრობლემური ნაწარმოები, სადაც ავტორს არაერთი შეკითხვა აქვს დასმული.

ეს არის ტექსტი ტყუილის ფილოსოფიის შესახებ.



ესაა რომანი პროფესიონალ «განტევეების ვაცზე» და მის ოჯახზე, რომელიც პარიზში ცხოვრობს, სადაც სხვადასხვა ეროვნების და არც თუ ისე მდიდარი ხალხია დასახლებული.

თავიდან მოგეჩვენებათ, რომ დეტექტივს კითხულობთ და თან – საკმაოდ ირონიულს. მით უფრო, თუ ბოლო ხანებში მე-19-20 საუკუნის კლასიკას გადაავლეთ თვალი – ნაბოკოვს, ტოლსტოის, პრუსტს...

ჯერ გეხამუშებათ სიმსუბუქე, მერე კი, უბრალოდ, გამხიარულდებით, მხოლოდ ეს მოხდება ცხოვრებაზე – ქალზე, კაცზე, შვილებზე, სახლზე, ოჯახზე, მოხუცებზე, ახალგაზრდებზე, დამოკიდებულებებზე დაფიქრებასთან ერთად.

ბევრი არ არის ისეთი მწერალი, ვინც წერისას მთავარზე მთავარი ინსტრუმენტი – გულწრფელობა და თვითირონია გამოიყენა იმ ყველაზე უცნაური ამბების მოსათხრობად, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ. შედგე განონასწორებულ, კეთილშობილ ადამიანად, არ მოახვიო მკითხველს შენი თავი, არ გაბოროტდე და არ გამოიყენო ტექსტი სამყაროს უარყოფით ნაწილზე ერთგვარი შურისძიებისთვის – ეს ინტელექტუალური გმირობის ნაირსახეობაა.

რომანში ბევრი პერსონაჟია და ადგილი მაინც ყველასთვის საკმარისია. არავინ არ გეჩვენებათ ზედმეტი. ბენჟამენი, ძაღლი, უმცროსი ძმა და ა.შ. ბენჟამენი ისეთი

ყურადღებიანი და მზრუნველია თავის მრავალრიცხოვანი ნათესავების მიმართ, სამსახურშიც ისეთი განსაკუთრებულია... ის მუშაობს მაღაზიაში – «განტევების ვაცად». ხოლო ოფიციალურად კი გაფორმებულია ტექნიკური სამსახურის უფროსად. სწორედ მან უნდა უპასუხოს განაწყენებულ კლიენტებს, გაითამაშოს ისეთი სპექტაკლი, რომ კლიენტს დაეკარგოს ჩივილის ან კომპენსაციის მოთხოვნის სურვილი. მას ეძახიან საჩივრების ბიუროში, სადაც კარგად გაჯორავენ ხოლმე. «ჩემი სამუშაო ამ ლანძღვა-გინების ისეთი მომნანიებელი, ბეჩავი და სასოწარკვეთილი იერით მოსმენაა, რომ მყიდველს, უმეტეს შემთხვევაში, საჩივარი უკან მიაქვს, რათა მერე მის სინდისზე არ იყოს ჩემი მიყვანა თვითმკვლელობამდე, და ყველაფერი მთავრდება შერიგებით, მინიმალური ხარჯით მაღაზიისთვის». და ამაში ის საკმაოდ სოლიდურ ხელფასს იღებს. მშვენიერი სამსახურია, რას იტყვით. მაგრამ, ერთხელაც, მაღაზიაში ბომბი ფეთქდება, მერე მეორე, მერე მესამე... ყოველ ჯერზე იღუპებიან ადამიანები, მაგრამ პოლიციას არანაირი ვერსია არა აქვს. და ყოველ ასეთ მომენტში იქვე ტრიალებს ბენჟამენი, რომელიც «განტევების ვაცად» მუშაობს ამ მაღაზიაში. ეჭვი სწორედ მასზე მიაქვთ. ვარაუდი ასეთია – ჯერ ერთი, მას ალბათ არც თუ ისე აბედნიერებს თავისი სამსახური და იგულისხმება, რომ უგროვდება ბოლმა. მეორე – როცა აფეთქება ხდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბენი მუდამ იქვეა ხოლმე.

რომანის ძაფი ძალიან საინტერესო და დამაინტრიგებელია. თუმცა უცნაური ისაა, რომ მკითხველი ნებდება არა დეტექტიურ ინტრიგას, არამედ ყველაფერს – გარდა დეტექტივისა. მკითხველს ყველაზე ნაკლებად ის აინტერესებს, თუ ვინ ააფეთქა ბომბი. მას ის სამყარო

იზიდავს, რომელსაც მწერალი ბენჟამენის თუ მის გარშემო მყოფი ადამიანების ცხოვრების სახით გვიხატავს. აქ უამრავი პერსონაჟია. და პენაკი ასწრებს, წამით გაელვებული სახეც კი საოცრად შთამბეჭდავად დახატოს. ხასიათები, ხასიათები, რომელთაც უსასრულოდ აღწერს და არ ბეზრდება, გამვლელ, არაფრის მაქნის პერსონაჟზე დახარჯოს ფერების მთელი გამა. თან – ერთი ხელის მოსმით, შეუმჩნევლად, ისე, რომ ბევრი გადამკითხველი ვერც დააფასებს და ვერც შეამჩნევს. მაგალითად, ავიღოთ ერთ-ერთი ასეთი გაელვება: «კომისარი კუდრიე თავის გვარს ჰგავს. ბუნებით მაძიებელია, ვნებები არ გააჩნია. ეძებს ქურდებს, მკვლელებს, ახლა – ბომბის ამფეთქებელს, მაგრამ ასეთივე წარმატებით ძაღუძს, ატომის დაშლის საშუალებების ან კიბოს საწინააღმდეგო მიქსტურის ძიება წამოიწყოს. და მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი განათლება მიიღო, იგი ჩემ წინ აღმოჩნდა და არა მიკროსკოპთან».

გიჩნდებათ განცდა, რომ მალოსენის ცხოვრების შესახებ კითხვა უსასრულოდ შეგიძლიათ და ეს იდეალური წამალია ყველა დარდის წინააღმდეგ. ბენჟამენის ცხოვრება ისეთივე ძალაუნებური ნაწილი ხდება თქვენი ცხოვრების, როგორც, ვთქვათ, ნებით თუ უნებლიეთ დანახული მოპირდაპირე ფანჯრების ბინადართა ცხოვრება.

ხანდახან, შეიძლება, პენაკმა უელბეკიც გაგახსენოთ – ორივე სარკაზმით აღწერს გარემოს და პერსონაჟებს, მაგრამ უელბეკს აძრწუნებს სამყარო, პენაკი კი ტკბება მისით (უელბეკის ფანებს ვთხოვ, ამ პარალელისტვის ჩემი ახანჯვლისგან თავი შეიკავონ :)).

აქ არეულია საზიზღრობა, შავი იუმორი, სიკეთე, სილამაზე, ავადმყოფობა. მერე იცინი. იცინი ყოველ გვერდზე –

ერთხელ ან ორჯერ მაინც. ემოციები შენში ისე რევერბერირებს, როგორც საქანელაზე ქანაობისას – ჰაერის ერთ უკიდურესობაში გაქანებას მეორე უკიდურესობაში გამოქანება რომ მოჰყვება.



ბენჟამენი არის ტიპი, რომელიც არჩენს უამრავ და-ძმას. ლაურა თავისთვის ცხოვრობს და მისთვის ყველა ამბავსა თუ მოთხრობაში სასიყვარულო ხაზია უმთავრესი; კლარა ისტორიებში იუმორს აფასებს, ის კარგი ფოტოგრაფია და ადამიანების ნამდვილ გრძნობებს მხოლოდ ფოტოკამერის ობიექტივით ხედავს; ტერეზა ნათელმხილველი ასტროლოგია და ყველაფერზე,

რაც კი გარშემო ხდება, პასუხს ვარსკვლავებში ეძებს; ჯერემი აფასებს მხოლოდ თავგადასავალს; პატარა ძმა კი კაციჭამიებს ხატავს, ზღაპრები უყვარს და აგროვებს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ხალხის ფოტოებს, საახალწლოდ კი კაციჭამია თოვლის პაპას დახატავს; ძმა არამართო ქმნის თავის საკუთარ ბომბს, არამედ ახერხებს მის გამოცდას და ჰყვება კიდეც, როგორ ხვდება ბომბი მაღაზიაში. ჯულიუსი კი ბენჟამენის ზორბა და აყროლებული ძაღლია. ამ საოცარი ოჯახის დედილო კი მორიგ თავგადასავალშია გახვეული... და ეს შვილებიც, ლამისაა, გამვლელებისგან ჰყავს.

მალოსენების ოჯახის შესანიშნავი წევრები მკითხველს კიდეც უფრო ახალისებენ. აქ სხვა გასაოცარი

პერსონაჟებიც არიან, თავიანთი საოცარი განსაკუთრებულობით. ჩვევებით და ხასიათებით. გვხვდებიან ჰომოსექსუალები, კაციჭამიები, პედოფილები, სექსუალურად შენუხებული დეიდა ჯულია და სხვა. აქ გაიცნობთ საშუალო სტატისტიკურ კოლეგებს, მეზობლებს, გამვლელებს, რომლებიც ყურადღების დაფიქსირებად ნამდვილად ღირან. ისინი აუცილებლად გაჩვენებენ რაღაც მომენტში თავიანთ ნამდვილ სახეს. თავბრუდამხვევია მათი სიმრავლე, როგორ ახერხებს ავტორი, ჩართოს ისინი თხრობაში და თითოეულს თავისი ადგილი მიუჩინოს ისე, რომ ვერც კი წარმოიდგინოთ ესა თუ ის პასაჟი იმ გაელვებული პერსონის გარეშე. პენაკი ოსტატურად ატრიალებს ყველაფერს ყირამალა და პერსონაჟებზეც გიცვლის წარმოდგენას. ის მოულოდნელი შემობრუნებების ოსტატია. განა ბევრია ადამიანი, რომელიც იმ მომენტში, როცა ახალგაცნობილ ქალთან სექსუალურ ურთიერთობას იწყებს და ერექცია არა აქვს, ანუ «საბრალო მოლუსკი ორ ნიჟარას შორის დახვეულა და თავის გამოყოფა არ უნდა», ამბობს – «იცი, სწორედ სიყვარულის კულტურა კლავს სიყვარულს. ნებისმიერ კაცს აუდგებოდა, რომ არ იცოდეს, რომ სხვა კაცებსაც უდგება»..

ყველაფერი კარგად მთავრდება. სიკეთე იმარჯვებს. ბენჟამენ მალოსენზე მიტანილი ეჭვი ბათილდება. ის მკვლელი არაა. წერს სტატიას და ხდება პოპულარული. მას ათავისუფლებენ მაღაზიიდან. სამაგიეროდ, ცნობილ ჟურნალში მუშაობას სთავაზობენ მაღალი ხელფასით და მაღალ თანამდებობაზე, მაგრამ იგივე როლზე – ის კვლავ «განტევეების ვაცი» უნდა იყოს. თავდაპირველად ამ წინადადებას არ თანხმდება, მაგრამ მერე დაფიქრდება და ჭკუაში უჯდება. თან, ოჯახში ნამატს ელოდებიან – სახლში დაბრუნებული დედა კვლავ ფეხმძიმედაა...

ზოგადად, აქ დახატული ოჯახი საკმაოდ უცნაურია. ბენჟამენის დედა თანამედროვე გუგულია, რომელიც თავის კვერცხებს სხვადასხვა ბუდეებში აგროვებს და უფროს შვილს უყრის გასაზრდელად. თავის მხრივ, მთავარი პერსონაჟი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, «განტევეების ვაცია» პროფესიით. ამაზე უარესი თუ ამაზე საინტერესო რაღა უნდა გინდოდეს მკითხველს. მას თანამედროვე წმინდანსაც ეძახიან. მაგრამ, ცხადია, წმინდანობისგან ის შორსაა. ზემოთ დამავიწყდა აღმნიშნა, რომ ერთ-ერთი და ორსულდაა და ნახევარი წიგნის მანძილზე ჭოჭმანობს, გაიკეთოს თუ არა აბორტი, ბავშვის მამას შვილის ყოლის სურვილი არა აქვს. სამაგიეროდ, რუდუნებით მკურნალობს ბენჟამენის ეპილეფსიით დაავადებულ ძაღლს.

და აი, ბენის პროფესიული საქმიანობის აპოგეად იქცევა ტერორისტი. ესაა საყვარელი მოხუცი, რომელიც ადრე სექტის წევრი იყო, იმ სექტისა, რომელიც პარიზში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ბავშვებს ხოცავდა.

ისევ მიშელ უელბექთან გავავლებ პარალელს... უელბექს გამოხატული აგრესია აქვს სამყაროს მიმართ, ტკივილებთან შეზავებული, ის დეკადანსს ხატავს და ძალიან მტკივნეულად შეგვახსენებს ადამიანური მოდგმის, სიყვარულის სასრულობას და სასონარკვეთას. პენაკის აგრესია კი შენიღბულია იუმორით და ირონიით, უფრო სწორად, თვითირონიით – რომელიც ასე აშკარად ჩანს წიგნში, და რომელიც მისი ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. ის ზედაპირულობით ნიღბავს ბრაზსა და სარკაზმს. და თუ ვინმეს არ ინდობს, პირელ რიგში, საკუთარ თავს.

მაშ, სადაა სიკეთე? ეს ბრაზი და აგრესიაც სიკეთეა. ის ტანსაცმელივით ატრიალებს სამყაროს, არ ინდობს მას, ბობოქრობს, ირონიზირებს, ქილიკობს მასზე, რათა ის ამით გახადოს უკეთესი. ხანდახან ერთი სიტყვა გაიელვებს, სადაც ხვდები, თუ რა კეთილია ავტორი მთელი ამ მარაზმის მიმართ. ეს რომანი მრუდე სარკეს ჰგავს, რომელიც ამრუდებს გამოსახულებებსაც მხოლოდ იმიტომ, რომ მერე გაჩვენოს, თუ რა ლამაზია ჩვეულებრივი ადამიანი. მაგრამ მანამდე ვერაფრით ვერ მიხვდები, თუ რა სახით დაამახინჯებს მომდევნო სარკე მომდევნო გამოსახულებას.

ირონიული დეტექტივის, როგორც ჟანრის მიმართ, შეიძლება, ლიტერატურის ჭეშმარიტ გურმანებს ირონიული დამოკიდებულებაც კი ჰქონდეთ, თუმცა, ვინც მწერლურ სამზარეულოში ჩახედულია, მიხვდება, რომ მიუხედავად ჟანრის თითქოსდა სიმსუბუქისა, ამ მიმართულებით მუშაობა უდიდეს ოსტატობას მოითხოვს, რადგან ერთ ტექსტში უნდა მოხერხდეს იუმორისა და კრიმინალის ისე შეზავება, რომ ბალანსი არ დაირღვეს. ეს, რაღაც დონეზე, ბენჯის ხიდზე სიარულიცაა. და საერთოდ, გააცინოს ადამიანი – ძალიან ბევრი მწერლისთვის მიუღწეველი ოცნებაა და ზოგიერთი იძულებული ხდება, თავი ზეინტელექტუალური ფორმების ძიებითა შეინიღბოს. აბა მოახერხეთ, თან ბომბები აფეთქოთ ტექსტში, ადამიანები დახოცოთ, ნაწლავებგადმოყრილი მსხვერპლი აღწეროთ, ტერაქტები მოაწყოთ და პარალელურად აცინოთ მკითხველი. ვერაფერს ვიზამთ – წარმოსახვითი ინტრიგის ორიგინალურობა და მრავალფეროვნება მოულოდნელობების მუდმივი წყაროა...

«კაციჭამიათა საბედნიეროდ» არის ტექსტი სიყვარულის შესახებ, რადგან ავტორი ახერხებს, არ იყოს არც

პროვინციალური სენტიმენტებით გაჯერებული, არც პათეტიკური, არც ყალბი და არც კეკლუცი. ის, უბრალოდ, არ მალავს სიყვარულს ყოველივე იმის მიმართ, რაც მის გმირს გადახდა, იმის მიმართ, ვინც მის ცხოვრებაში ცუდი თუ კარგი პერსონაჟის როლი შეასრულა.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა რომანის მთარგმნელობით მხარეზე... იმ ადამიანებს, რომლებიც არ ვფლობთ ამა თუ იმ ენას, ისლა დაგვრჩენია, თარგმნილი ნაწარმოები ორიგინალისგან დამოუკიდებლად, როგორც დამოუკიდებელი ნამუშევარი, ისე შევაფასოთ. ადრეც მითქვამს, რომ მთარგმნელმა ზუსტად უნდა მიაგნოს ერთგვარ ლექსიკურ აუზს, რომელშიც ტექსტის ყველაზე რთულ პასაჟებს ფოლადივით გამოაწრთობს. ამ «რიტუალის» შემდეგ ეს რთული ნაწილი ორგანულად ეთვისება დანარჩენს და საბოლოო ჯამში, ქართულ ენაზე ბუნებრივად მორგებულ, საღ და ჯანსაღ ტექსტს ქმნის. რთულია, აგრეთვე, იუმორისტული პასაჟების შენარჩუნება, რაც ამ წიგნში უხვადაა და გემრიელ სიცილს ჰგვრის მკითხველს. ეს კი, ისევ და ისევ, მთარგმნელის დამსახურებაა. წიგნს აშკარად შენარჩუნებული აქვს ის ხიბლი, რასაც მხოლოდ ქართულ ენასთან ბუნებრივი მორგება განგვაცდევინებს ხოლმე.

2. ნომრის თემა: პატერსონი

დალილა გოგია

ავტობუსის მძღოლი პატერსონში? რა პოეტურია! ამაზე შეიძლება კარლოს უილიამსს ლექსი დაეწერა

უილიამ კარლოს უილიამსი, გამოჩენილი ამერიკელი პოეტი, მოდერნისტი და იმაჟისტი^[3], 1883 წელს რუტერფორდში, ნიუ-ჯერსიში დაიბადა. მისი ცნობილი ეპიკური პოემა «პატერსონი» ხუთი წიგნისგან შედგება. პირველი წიგნი 1946 წელს გამოვიდა, ბოლო კი 1958-ში. «პატერსონს» განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მხოლოდ უილიამსის შემოქმედებაში, არამედ მთლიანად ამერიკული პოეზიის ისტორიაში, რადგან ის იმ დროისთვის დამკვიდრებული კლასიკური სალექსო ფორმების უარყოფისა და ახალი პოეტური ენის ძიების მცდელობას წარმოადგენს.


უილიამ კარლოს უილიამსის კარიერა 1912 წელს პოეტური სკეტჩებით დაიწყო, რომელთაც კიტსის, ეზრა პაუნდისა და ჰილდა დულითლის გავლენით წერდა. თუმცა იგი პოეტური პროზის გამორჩეული ნიმუშის – «კორა ჯოჯოხეთში» (1920) – გამოქვეყნებამდეც ამბობს: *«ნამდვილი წერა უნდა დავიწყო, ზუსტად იმ ენით, რითიც აქ, ამერიკაში ვლაპარაკობთ»*. აშკარაა, რომ ამ პერიოდიდანვე უილიამსის ინტერესის ობიექტი და პოეტური შთაგონების წყარო ხდება კონკრეტული გეოგრაფიული ადგილი, ხალხი, მათი ყოველდღიური ცხოვრების დეტალები, რეალური, ყოველდღიური ენა, რომელზეც საშუალო ფენა და მშრომელთა კლასი საუბრობს და ამ ენის პოეზიაში შემოტანა. უილიამსი ხაზგასმით ამბობდა, რომ თანამედროვე პოეტის დანიშნულებად ახალი პოეტური

ენისა და ობიექტის შექმნა ესახებოდა და სხვა პროექტებსაც ამისკენ მოუწოდებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ «პატერსონი» არის უილიამ კარლოს უილიამსის კრიტიკული რეაქცია ელიოტის «უნაყოფო მიწის» მიმართ. პროექტი «პატერსონით» თანამედროვე, პატარა ინდუსტრიულ ქალაქს ხატავს და ამით მეგაპოლისებთან პატარა ქალაქების უპირატესობასა და მუშათა კლასის მნიშვნელობას აჩვენებს, ის აღწერს ქალაქის ისტორიას, გეოგრაფიას, კულტურულ თავისებურებებს, სოციალურ და ეკონომიკურ ძალას. «პატერსონით» უილიამსი დროის, ადგილისა და პოეზიის ურთიერთკავშირის დამყარებას ცდილობს.

არ შეიძლება არ ვახსენოთ, უილიამ კარლოს უილიამსზე ჯეიმს ჯოისის «ულისეს» გავლენაც. ის ედიტ ჰილს^[4] სწერს: «დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე ჯეიმს ჯოისმა, რომელმაც «ულისეში» დუბლინი მთავარ გმირად აქცია.

ვკითხულობდი «ულისეს» და ჯოისი სულ დამავიწყდა, დუბლინი შემეყვარდა.» უილიამსმაც, სწორედ ისე, როგორც ჯოისმა დუბლინი, პატერსონი მითიურ პერსონაჟად წარმოაჩინა, რადგან ეს პატარა ქალაქი განსაკუთრებული იყო მისთვის: «მინდოდა დამეწერა იმ ხალხის შესახებ, რომელიც ჩემთან ახლოსაა. მინდა, მათ ყოველწუთიერად ვადევნო თვალი და მათი ცხოვრება დეტალურად შევისწავლო... მე ყოველთვის პროვინციელი ბიჭი ვიყავი. ჩემთვის პატარა ქალაქი იყო რეალური, და ამასთანავე, პოეტური სამყარო.» უილიამსი პატერსონის გვერდით, რუტერფორდში ცხოვრობდა და ექიმად მუშაობდა, მისი პაციენტები კი მშრომელი ადამიანები იყვნენ. ამიტომ იყო, რომ ის კარგად იცნობდა მუშათა კლასს, ღარიბ მოსახლეობას, მათ ყოველდღიურ ენას.



თავად უილიამ კარლოს უილიამსი «პატერსონის» პირველი წიგნის შესახებ 1946 წელს ამბობს: «ეს არის პირველი წიგნი გრძელი პოემისა, რომელიც ოთხი ნაწილისგან შედგება, და სადაც ადამიანი თავადაა ქალაქი.»

ხოლო 1949 წელს გამოქვეყნებული მეორე წიგნის შესახებ ასეთ განმარტებას აკეთებს: «მინდოდა დამეწერა გრძელი ლექსი თანამედროვე ადამიანის აზროვნებისა და თანამედროვე ქალაქის

მსგავსების შესახებ.»

უილიამ კარლოს უილიამსი წერს ქალაქზე, სადაც მისი სიტყვებით, «ქალი ყვავილია და კაცი – ქალაქი.» მის პოემაში მთავარი გმირი, დოქტორი პატერსონი დადის თავის ქალაქში, უყურებს მთას, საიდანაც მდინარე მოედინება, ჩანჩქერებს, და გრძნობს, რომ თავად არის ქალაქის ხმა, მისი განუყოფელი ნაწილი, მისი ცხოვრების და ცვლილებების უშუალო მონაწილე.

თუმცა, გარდა უილიამსის მცდელობისა, მოგვითხროს რეალურ ქალაქზე, მის ისტორიაზე, მაცხოვრებლებზე, ინდუსტრიალიზაციაზე, პოემას აქვს უფრო შორსმიმავალი მიზანიც – გაიგოს, როგორაა დაკავშირებული ერთმანეთთან იდეა სამყაროს შესახებ და თავად სამყარო, ანუ სამყარო და სიტყვა.

ლიტერატორების აზრით, «პატერსონი» არის სამყაროს აღქმის სივრცითი კვლევა. «არ არსებობს იდეა განხორციელების გარეშე». რამდენჯერმე იმეორებს უილიამსი პოემაში და ამის უკან ნომინალისტებსა და რეალისტებს შორის უსასრულო დავა მიდის.

სწორედ ამ აზრის ირგვლივ ვითარდება უილიამსის პოემა, ის ერთგვარი ტრაქტატია სამყაროს აღქმის, მისი ესთეტიკის შესახებ – პირველსავე სტროფებში ის ამბობს:

«ძიების ავანტიურა, აი, რა არის მშვენიერება»...

ჯიმ ჯარმუშის «პატერსონში», რომელიც რეჟისორმა უილიამ კარლოს უილიამსის «პატერსონის» გავლენით გადაიღო, ზუსტად ისევე, როგორც უილიამსის პატერსონში, მშრომელი ხალხი ცხოვრობს თავისი რუტინული ცხოვრებით.

თუ პოემაში პოეტი სეზონურ ციკლს გვიხატავს – გაზაფხულით იწყებს და ზამთრით ასრულებს, ჯარმუშის ციკლი ერთ კვირას მოიცავს.

როგორც პოემა, ფილმიც სამ ძირითად სიმბოლოზეა აგებული: პირველი – ქალაქი პატერსონი, მეორე – მთა და მთიდან მომავალი მდინარე თავისი ჩანჩქერებით, და მესამე – ქალი და მამაკაცი, და მამაკაცის აზრები.

ფილმის გმირი, პატერსონი პატერსონში, ნიუ ჯერსიში, თავის საყვარელ მეუღლესთან, ლაურასთან ერთად ცხოვრობს. ყოველდღე დილით ადრე იღვიძებს და სამსახურში მიდის – N23 ავტობუსის მძღოლია. შუადღისას ლანჩის შესვენება აქვს, საღამოს ინგლისურ ბულდოგთან, მარვინთან ერთად სეირნობს, ბარში ლუდის დასალევად შედის და მარვინს გარეთ აბამს. არც შაბათ-კვირაა განსაკუთრებული. განსხვავებული მხოლოდ წყვილის

კინოში წასვლაა, სადაც «დაკარგული სულების კუნძული» (1932) ნახეს. ფილმის მსვლელობის დროს ისეთი გრძნობა გიჩნდება, რომ ფილმში არაა საკმარისი ემოცია და აი, სადაცაა, რაღაც აუცილებლად უნდა მოხდეს. როცა ქუჩაში ბიჭები პატერსონს მარვინის შესახებ ეკითხებიან და აღნიშნავენ, რომ ინგლისური ბულდოგი ძალიან ძვირი ღირს, სულ მცირე, ელოდები, რომ ვიღაც მარვინს მოიპარავს, ან წყვილს ფინანსური პრობლემები შეექმნება და ძაღლს გაყიდიან. მაგრამ არა. თუმცა, არის ერთი ინტრიგა – პატერსონს აქვს თავისი საიდუმლო, რომელიც მხოლოდ ლაურამ იცის და არამართო საგულდაგულოდ ინახავს, არამედ მხარშიც კი უდგას ქმარს. ეს საიდუმლო ისაა, რომ პატერსონი ლექსებს წერს (ფილმში გამოყენებულია ამერიკელი პოეტის, რონ პეჯეტის ლექსები). ის წერს თავის რვეულში, ავტობუსში, როცა გასვლას ელოდება, ან ლანჩის დროს, წერს, მაგრამ არ აქვეყნებს. მთელი ფილმი ელოდები, რომ აი, პატერსონი ფილმის ბოლოს ცნობილი პოეტი გახდება. მაგრამ არა, ფილმი ამ გზით არ მიდის.

ერთადერთი გარღვევა ამ ჩაკეტილი წრიდან მარვინია, რომელიც ცდილობს, პატერსონი ერთფეროვან ყოველდღიურობას მოსწყვიტოს: მაგალითად, საფოსტო ყუთს აყირავებს, რომ პატერსონმა გაასწოროს. სამსახურის შემდეგ კი ის იძულებულია, მარვინი გაასეირნოს, გარეთ გავიდეს, ლუდი დალიოს და ხალხს დაეკონტაქტოს, მაგრამ ესეც რუტინის ნაწილი ხდება.


მისი სამსახურიც – საჭის ტრიალიც ხომ ერთ წრეზე ტრიალი და ჩაკეტილობაა, მაგრამ მისთვის საინტერესოა მგზავრების საუბრის მოსმენა. მისი ცოლის შავ-თეთრი ტონებიც, წრეებით გატაცებაც, წრეზე სიარულის მაჩვენებელია. და მიუხედავად იმისა, რომ ლაურას სულ

ახალ-ახალი იდეები უჩნდება, ის მაინც ვერ გამოდის ამ ჩაკეტილობიდან.

ფილმის მსვლელობისას ვხედავთ, რომ ის ცდება ჯარმუშის თავდაპირველ ჩანაფიქრს, შექმნას ფილმი «საშუალო კლასის» პოეტზე. თანდათან გიჩნდება აზრი, რომ ჯარმუში ქალაქს ხედავს, როგორც ხელოვნების შექმნის ადგილს და გებადება კითხვა: ფილმი მას ხომ არ ეძღვნება, ვინც მხოლოდ თავისთვის ქმნის ხელოვნებას? (როგორადაც ჯარმუში საკუთარ თავს მიიჩნევს).

ან იქნებ, პროზაული, ანუ როგორც ჩვენ, ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანები ვუნოდებთ, სტაბილური, მოწესრიგებული და არარომანტიკული ცხოვრება თავადაა პოეზია და პოეზიის შთაგონების წყარო? იქნებ სულ ტყუილად ვწუწუნებთ ჩვენი რუტინული ცხოვრებისა და მოწყენილობის გამო? იქნებ ჩვენც ისე უნდა გვიყვარდეს, როგორც პატერსონს და ლაურას უყვართ ერთმანეთი – დღეს და ახლა, წარსულის რომანტიზირებისა და და მომავლის გეგმების დასახვის გარეშე? ერთმანეთის პირადი სივრცის დარღვევის გარეშე? იქნებ არც ისაა შემთხვევითი, რომ პატერსონს მობილური ტელეფონი არ აქვს, რაც საყვარელი ადამიანისა და მისი მხრიდან შენს კონტროლს გამორიცხავს? იქნებ სწორედ ისაა ნამდვილი შემოქმედი, ვინც პოეზიას ასეთ მარტივ ცხოვრებასა და ისეთ ტრივიალურ საგნებშიც კი ხედავს, როგორიცაა ასანთი ან საქარე მინის საწმენდი? იქნებ სწორედ აქედან უნდა მიიღოს შემოქმედებითი იმპულსი ადამიანმა? იქნებ დრო მართლაც მეოთხე და ყველაზე სასიამოვნო განზომილებაა, და ჩვენ ფეხსაცმლის ყუთში გამომწყვდეულად არ უნდა ვიგრძნოთ თავი?

მერე რა, რომ ახალს და განსაკუთრებულს ვერაფერს ვქმნით! რატომღაც გეუფლება განცდა, რომ რეჟისორი გვეუბნება: მოეშვით, საკუთარ ორიგინალურობაზე ფიქრს და დარდს თავი დაანებეთ, ხელოვნებაში საკუთარი ხმის, საკუთარი ხაზის პოვნა ძალიან რთულიაო. ამას გვაფიქრებინებს ერთი თვალშისაცემი დეტალი – პატერსონში ბევრი ტყუპია. ჯარმუში თითქოს გვაჩვენებს, რომ ხელოვნებაში გარდაუვალია კოპირება, რადგან ბუნება ასეა მოწყობილი, ის სულაც არ არის ორიგინალური.



ამ კუთხით კიდევ ერთი მინიშნება, რომელსაც რეჟისორი გვაძლევს, დღეს ხელოვნებაში გავრცელებული ინტერტექსტუალურობაა. ალბათ ამიტომაც, რომ ლაურა პატერსონის ლექსების რვეულს პატრარკას «საიდუმლო რვეულს» ეძახის, ხოლო საკუთარ თავს პეტრარკას შეყვარებულ ლორასთან აიგივებს, პატერსონი კი თავის ლექსებს უილიამ კარლოს უილიამსის ინტონაციით კითხულობს, და როცა ლაურას ქლიავზე დაწერილ უილიამსის ლექსს უკითხავს, მერე ლაურას

უძღვნის ლექსს, სახელად «გოგრა».

მაშინაც, როცა წყვილი კინოში მიდის, რაც მათი რუტინიდან გადახვევად შეიძლება მივიჩნიოთ, ლაურა ამბობს: «თითქოს მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ». ფილმის გმირიც ლაურას ტყუპისცალივით ჰგავს, თითქოს

რეჟისორი ორი საუკუნის გაერთიანებას ცდილობს. თითქოს აქაც გვამშვიდებს, გვეუბნება, რომ წარსულს ადვილად ვერ მოვწყდებით.

უილიამსის «პატერსონის» გმირივით, ჯარმუშის პატერსონიც ქალაქში დადის, «საკუთარ ცხოვრებას ეძებს, პოულობს», საბოლოოდ, ისიც თავისი ხმით, სიტყვებითა და გამომსახველობითი ფორმებით, რაც აუცილებლად ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, ქალაქის განუყოფელი ნაწილი ხდება. ქალაქი ადამიანებს აერთიანებს, რომელსაც პოეტი თავის მუდმივ მოგზაურობასა და დაკვირვებებში აღმოაჩენს. ფილმი «პატერსონი», პოემის მსგავსად, ქალაქის, მისი მაცხოვრებლების, პოეტური ენის, მისი ისტორიის შესახებ გვიამბობს. ბარში, სადაც პატერსონი კათხა ლუდს სვამს, ქალაქის სახელგანთქმული მაცხოვრებლების ფოტოებს ვხედავთ. მათ შორის არიან ლუ კასტელო «აბოტი და კასტელოდან»^[5] და ალენ გინსბერგი.

ვინ არიან დღევანდელი პატერსონის მაცხოვრებლები? პატერსონში პატერსონი ავტობუსის ერთადერთი თეთრკანიანი მძღოლია. მას ირანელი ცოლი ჰყავს, მისი თანამშრომელი, რომელიც მუდამ თავის ოჯახურ პრობლემებზე ესაუბრება, ინდოელია, ფილმში ვხვდებით ლათინოს ბავშვებს, აფროამერიკელ შეყვარებულებს, სხვადასხვა რასის მშენებლებს და ძალიან სერიოზულ თეთრ ბავშვებს «სავსე მთვარის სამეფოდან»^[6].

უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ადამიანი, ვინც ეკრანზე ჩნდება, მაყურებლის სიმპათიას იმსახურებს.

მეორე მხრივ კი, იქნებ, უილიამსის მსგავსად, ჯარმუშსაც იგივე მიზანი აქვს: დღევანდელი ამერიკული პატარა ქალაქებისკენ ყურადღების მიპყრობა? იქნებ, დღეს

ამერიკის პატარა ქალაქებს და მათ მრავალეთნიკურ მაცხოვრებლებს, მათი ცხოვრების სტილს განსაკუთრებული გაძლიერება ან დაცვა სჭირდება? იქნებ ჯარმუშის ფილმიც კრიტიკული რეაქციაა რაღაც მნიშვნელოვანზე, რაც ამერიკაში დღეს მოხდა ან ხდება?

შეგვიძლია ვთქვათ, რომ უილიამსის მსგავსად, ჯარმუშიც აიდეალებს ქალაქს და მის მაცხოვრებლებს. მაგრამ პატერსონშიც ხდება დრამა – მარვინი პატერსონის ლექსებს ანადგურებს. მიუხედავად იმისა, რომ პატერსონი აღელვებულ ლაურას ამშვიდებს სიტყვებით «ეს მხოლოდ სიტყვები იყო», ნათელია, რომ ის სასოწარკვეთილია და თავის საყვარელ ადგილას, ჩანჩქერთან მიდის და უყურებს, როგორ ვარდება წყალი. იქ ის შემთხვევით ხვდება იაკონელ პოეტს, რომელიც მას ახალ რვეულს ჩუქნის. «ზოგჯერ სუფთა ფურცელი დიდ შესაძლებლობებს აჩენს» – ამ სიტყვებით ართმევს რვეულს პატერსონი.

მაგრამ ცხოვრება ჩვეული რიტმით გრძელდება. პატერსონი იღებს სამყაროს და თავის ცხოვრებას ისეთს, როგორიც არის. და პირველი ლექსი («ერთი სტროფი»), რომელსაც პატერსონი ახალ რვეულში ჩაწერს, მის წარსულს ეხება. ის თავის წარსულზე წერს, როგორც უილიამსი წერდა ქალაქის წარსულზე.

ის იხსენებს ბაბუას სიმღერას, რომელშიც ასეთი შეკითხვა ისმოდა: «არ გინდა, იქცე თევზად?» და შენთვის ფიქრობ, რატომ თევზი? პატერსონი ისევ წყალს ჩაიგუბებს პირში და ხმამაღლა არ ამცნობს სამყაროს თავისი პოეზიის შესახებ თუ?..

ორიოდე სიტყვა ალბათ ჩანჩქერებზეც უნდა ითქვას. უილიამსის «პატერსონში» ქალაქი მამაკაცის სიმბოლოა, ხოლო მთა, საიდანაც მდინარე მოედინება – ქალის

(ალბათ ამიტომაც, რომ ფილმში პატერსონი ლექსის წერის დროს ლაურას წყალში წარმოიდგენს.) ალექსანდრე ჰამილტონმა^[7] (ის გამოსახულია უილიამსის «პატერსონის» ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოცემის ყდაზე) პატერსონის ჩანჩქერების ნახვისას გამოთქვა აზრი, რომ ეს ჩანჩქერები უნდა გამხდარიყო ამერიკული ინდუსტრიალიზაციის სანინდარი, და შექმნა კიდევ სპეციალური ჯგუფი (პოეტური სახელით «სასარგებლო წარმოების დასაწყისისთვის»), რომელმაც ერთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროკაშხალი ააგო ამერიკაში.

თუ სიმბოლოებზე ჩამოვარდა სიტყვა, ალბათ არც ისაა ფილმში შემთხვევითი, რომ პოეტი, რომელიც პატერსონს მისთვის მძიმე დროს ხვდება, იაპონელია. საქმე ისაა, რომ უილიამ კარლოს უილიამსი ფართო საზოგადოებისთვის უმთავრესად ცნობილია, როგორც იმაჟისტი პოეტი, მიუხედავად იმისა, რომ იმაჟიზმი უილიამსისთვის ძირითადი და ერთადერთი ლიტერატურული მიმართულება არ ყოფილა. იმაჟიზმი წამის გაყინვას და მის აღწერას ნიშნავს, რაც სათავეს აღმოსავლური პოეზიიდან იღებს, კერძოდ, იაპონური ტანკადან და ჰაიკუდან.

დაბოლოს, იაპონელი პოეტის ფრაზა: «*ლექსის თარგმნა სანვიმარში შხაპის მიღებას ჰგავს*» ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან თავადაც ხშირად ვატარებ ამ პროცედურას და ჟურნალის ამ ნომერშიც ფილმში გამოყენებული რონ პეტეტის შვიდი ლექსისა და ჯიმ ჯარმუშის ერთი ლექსის, და ასევე, უილიამ კარლოს უილიამსისა და ალენ გინსბერგის ლექსების თარგმანებს გთავაზობთ.

ინტერვიუ ჯიმ ჯარმუშთან

(MOVIEMOVESME-ის ჟურნალისტი სტეფან ზაჩარეკი ესაუბრა ფილმ «პატერსონის» რეჟისორს, ჯიმ ჯარმუშს)

ჯიმ ჯარმუში: ლექსი უნდა დაწერო ერთი ადამიანისთვის

სტეფან ზაჩარეკი: თუ შეიძლება, «ოჰაიო ბლუ თიფ მეჩის»-ის და ავტობუსის მძღოლის შესახებ გვიამბეთ. რატომ ავტობუსის მძღოლი, ან რატომ «ოჰაიო ბლუ თიფ მეჩის»?

ჯიმ ჯარმუში: «ოჰაიო ბლუ თიფ მეჩის» რონ პეჯეტის დიდი ხნის წინანდელი ლექსია. ფილმისთვის ლექსები სწორედ მან დაწერა. ის, როგორც ახლა უწოდებენ, ნიუ-იორკული სკოლის წარმომადგენელია და მისი ლექსები ძალიან მიყვარს.

რატომ, ავტობუსის მძღოლი? მინდოდა, მთავარი გმირი საშუალო კლასის წარმომადგენელი ყოფილიყო და ამავდროულად, ამ მხატვარი, ან პოეტი. მინდოდა, რომ მთელ ქალაქში ევლო. ასე ქალაქის სურათები გადაიშლებოდა და დიალოგები გაიმართებოდა. ასეთი კინოგმირი ჯერ არ ყოფილა. მძღოლობა არაა შემოსავლიანი საქმე. ბევრ ცნობილ პოეტს ჰქონდა სხვა პროფესია. უილიამ კარლოს უილიამსი პედიატრი იყო. დაახლოებით ორი ათასი ბავშვი მიიღო. უოლეს სტივენსი დიდ სადაზღვევო კომპანიაში მუშაობდა. ფრანკო, ნიუ-იორკის სკოლის კიდევ ერთი წარმომადგენელი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში კურატორად მუშაობდა, და ლექსებს ლანჩის დროს წერდა. ასე რომ, ვიფიქრე, ავტობუსის მძღოლი კარგად დაგვიხატავდა ქალაქის ფრაგმენტებს.



ს. ზ.: როგორც ვიცი, პატერსონის იდეა დიდი ხნის წინ გაგიჩნდათ. შეიძლება ვთქვათ, რომ დიდი ხანია, პოეტებსა და პოეზიაზე გინდოდათ ფილმის გადაღება?

ჯ. ჯ.: 20 თუ 25 წლის წინ პატერსონში ვიყავი. იქ უილიამ კარლოს უილიამსის გამო მოვინდომე წასვლა. ვნახე ჩანჩქერები, ვისეირნე,

ინდუსტრიული ნაწილი მოვინახულე. არაჩვეულებრივი ქალაქია, რომელიც ძალას წყალვარდნილებიდან იღებს.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უტოპიური ქალაქი იყო, სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა ტიპის ადამიანებით.

უილიამ კარლოს უილიამსის «პატერსონი», სხვათაშორის, ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი პოემაა, სულ თავში მაქვს, და ბევრი რამ არც მესმის. მაგრამ თავიდან, როცა ლექსი იწყება, პოეტი იყენებს მეტაფორას – კაცი, როგორც ქალაქი და პირიქით. და მეც ვიფიქრე, რომ მშვენიერი იდეა იყო ფილმისთვის. ასე შევქმენი პატერსონი, ავტობუსის მძღოლი, რომელიც კარგი პოეტიცაა, მაგრამ არა ცნობილი. ასე რომ, სულ მქონდა იდეა, ასეთი ფილმის შექმნის, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე.

ს. ზ.: რას იტყვით ფილმის სტრუქტურის შესახებ? ეს ხომ არაა ტრადიციული ნარატივი.

ჯ. ჯ.: დიახ, ასეა. ჩემთვის მუსიკა მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ფილმს პოეტური სტრუქტურა აქვს, მასში მეტი პოეზიაა,

ვიდრე მუსიკა. შვიდი დღე ლექსის შვიდ სტროფს ჰგავს. ფილმის სამი სამყაროს – სახლის, ავტობუსის და ბარის ყოველდღიური ვარიაცია განსხვავებულია, თუმცა, ამავედროულად, მეორდება. ის ერთფეროვნება, რომლითაც მისი ცხოვრება შედგება, მნიშვნელოვანია მისთვის, როცა ავტობუსით ქალაქში დადის, ფიქრობს, და ამავედროულად პოეტია.

ს. ზ.: ფილმში ბევრი მშვენიერი პოეტური მომენტი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. შეგიძლიათ თქვათ, რომ პოეზია თქვენი ყოველდღიურობის ნაწილია?

ჯ. ჯ.: არ ვიცი, მიყვარს პოეზია, პოეტები, მაგრამ არ ვიტყვოდი, რომ პოეზია ჩემთვის ყოველდღიური რიტუალია. არ მაქვს ამისთვის დაწესებული დრო. პოეტები ბავშვობიდან მიყვარდა. მესმის, რომ ისინი ლექსებს ფულის გამო არ წერენ და ნამდვილად მეამბოხეები არიან, ამიტომ მამაცებიც, ამავედროულად მგრძნობიარეები. ასე რომ, ჩემთვის ისინი თავიდანვე როკ-ვარსკვლავები იყვნენ.

ს. ზ.: პატერსონზე რას გვეტყვით? ფიქრობთ, რომ რაღაცით ერთმანეთს ჰგავხართ?

ჯ. ჯ.: მგონი, ლექსების წერა სიამოვნებს, ყოველდღიური ცხოვრების დეტალებით შთაგონებული, კარგ ლექსებსაც წერს და არ აპირებს პოეზიისთვის თავის დანებებას.

ს. ზ.: ჰო, მაგრამ არც გამოქვეყნებას აპირებს.

ჯ. ჯ.: მართალია, და ვფიქრობ, რომ ესეც ნიუ-იორკის სკოლის დამახასიათებელი მიდგომაა. ადამი მორიდებული და თავმდაბალია, ის, უბრალოდ, ქმნის პოეზიას და კარგადაც გამოსდის. ხელოვნებას მართლაც სერიოზულად უდგება, მაგრამ აღიარება და ცნობადობა

მისი თვითმიზანი არ არის. მთელი ჩემი ცხოვრება, ვცდილობ, ამ პრინციპს მივყვე და როცა ფილმს ვიღებთ, ამას მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვაკეთებთ. როგორც კი იმაზე დაიწყებ ფიქრს, მაყურებელს რა სურს, მაშინვე წინა პლანზე წამოვა ბაზარი, ან გრაფიკა, რაც სულ სხვა სფეროა. ეს ჩემი საქმე არ არის, ამაზე სხვამ უნდა იზრუნოს.

ს. ზ.: პატერსონი ხელოვნებას ქმნის და არ ფიქრობს სხვებისთვის მის გაზიარებაზე, მაშინ, როდესაც დღეს თითქმის ყველა ლამის დამოკიდებულია სოციალურ მედიაზე. რას ნიშნავს ამ გარემოში რალაცის მხოლოდ საკუთარი თავისთვის კეთება?

ჯ. ჯ.: მე მაინც მგონია, რომ ადამიანს საკუთარი თავის რწმენა უნდა ჰქონდეს, და, რა თქმა უნდა მათიც, ვისთან ერთადაც მუშაობს. თუ ეს რწმენა შეგერყა და დასვი შეკითხვა, «როგორ მიიღებს სამყარო ამას?» მაშინ დაკარგავ ძალას. მხოლოდ საკუთარ ინტუიციას უნდა ენდო. მას შემდეგ, რაც პირველი ფილმი გადავიღე, ყოველთვის ვამბობ, რომ ისინი, ვინც ფილმს ვაკეთებთ, მაინც საკუთარი თავისთვის ვაკეთებთ.

როცა ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ჰოლანდიაში ტელევიზიაში ვმუშაობდი ბერნარდო ბერტოლუჩისთან, რომელსაც თაყვანს ვცემ, რადგან დიდი წვლილი შეიტანა კინოს მშვენიერებასა და ისტორიაში. თუმცა, ის ჩემზე ძალიან გაბრაზდა. მეუბნებოდა: «არ შეიძლება ფილმი საკუთარი თავისთვის აკეთო. ეს დასაძრახია. გამოდის, რომ ელიტისტი ხარ, და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ, და არა სამყაროზე, რომლისთვისაც ფილმს აკეთებ.» რალაცნაირად მეწყინა, რადგან ბერტოლუჩი ის ფიგურაა, ვისაც დიდ პატივს ვცემ. თუმცა, მე თავი დავიცავი: «არა, არ გეთანხმებით. არ ვცდილობ, განცხადება გავაკეთო. მე

ვცდილობ, გამოვხატო ის, რასაც ფილმის გადამღები ადამიანები გრძნობენ. ფილმის, პოეზიის, თუ ზოგადად ხელოვნების შექმნის სხვადასხვა გზა არსებობს, თუმცა, ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც მომწონს ნიუ-იორკის სკოლა, ისაა, რომ მას აქვთ ასეთი კონცეფცია: ლექსი უნდა დაწერო ერთი ადამიანისთვის, მთის წვერზე კი არ უნდა შედგე და იქიდან კი არ უყვირო: აი, აქ ვარ, მომხედეთ, მე ასე ვფიქრობ!..»

ს. ზ.: როგორც ფრენკ ო'ჰარა, რომელიც ერთ ადამიანს მიმართავს.

ჯ. ჯ.: დიახ, და ეს უილიამ კარლოს უილიამსისგანაც მოდის, და უოლეს სტივენსისგანაც. ლექსს მეგაფონით არ კითხულობ, რომ ყველამ გაიგონოს. თავს უხერხულად ვიგრძნობდი, თუ მომიწევდა, ჩემი გრძნობების შესახებ მთელი მსოფლიოსთვის მეცნობებინა. მთის წვერიდან ჩემი იდეების ძახილი დისკომფორტს შემიქმნიდა. თუმცა, ალბათ ეს ისედაც ცხადია, რადგან ჩემი ფილმები, რალაცნაირად, თითქოს მარგინალურია. ისინი დიდი ბაზრისთვის არაა განკუთვნილი. ასე რომ იყოს, ჩავთვლიდი, რომ არაფერი შემიქმნია.

ს. ზ.: ჩემ ირგვლივ ბევრი არ არიან ისეთი ადამიანები, ვისაც პოეზია აინტერესებს. შეიძლება იმიტომ, რომ ისინი ფიქრობენ, რომ პოეზიისთვის მოთმინება არ ეყოფათ, და გარკვეული შიშიც აქვთ. ხომ არ დაგვისახელებდით პოეტებს, რომლებიც განსაკუთრებით გიყვართ?

ჯ. ჯ.: როგორ გითხრათ, ძალიან ბევრია ასეთი პოეტი. დანტეტი დავინწყებდი, და იმით, რომ დანტე დიალექტზე წერდა. ის ქუჩის ენას იყენებდა, რაც ალბათ ჰიპ-ჰოპის ეკვივალენტურია. ასე რომ, დანტე ჩემთვის უპირველესი ავტორია. მე არ ვიცი იტალიური, მაგრამ თარგმანშიც კი, რა

თქმა უნდა, კარგ თარგმანში, ჩანს მისი თავისთავადობა და სიძლიერე.

შემდეგ დავასახელებდი არტურ რემბოს, თინეიჯერ პოეტს, რომელმაც წერა 19 წლის ასაკში შეწყვიტა და რომელსაც სურდა, ენა ისე გამოეყენებინა, რომ შეეცვალა ადამიანის წარმოდგენა პოეზიის შესახებ. ის იყო ნამდვილად რევოლუციონერი პოეტი, არტისტი, რაც გინდათ უწოდეთ – უცნაური ბავშვი, უცნაური პოეტი.

უოლეს სტივენსი, რომელიც სადაზღვევო სააგენტოში მუშაობდა, და როცა მან პოეზიისთვის რომელიღაც პრიზი მიიღო, მისი თანამშრომლები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: «რა? უილი ლექსებს წერს?» აზრზეც კი არ იყვნენ. ის ერთ-ერთი უმშვენიერესი ფილოსოფიური პოეტია.

შემდეგ ნიუ-იორკის სკოლაზე გადავხტები – ჯონ ეშბერი, კენეტ კოხი, ფრენკ ო'ჰარა. აი, ო'ჰარა ავიღოთ: ის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მუშაობდა და ლექსებს ლანჩის შესვენებაზე წერდა. მისი ლექსები მხიარული და უხვსიტყვიანია და მასში დიდი რაოდენობითაა ძახილის ნიშანი.

აი, მაგალითად, ერთი მისი ლექსი ასე იწყება: «რა სასაცილო ხარ დღეს, ნიუ-იორკო, / ჯინჯერ როჯერსს ჰგავხარ, ფილმში» და ძახილის ნიშანი. დამეთანხმებით, რომ ეს მთის წვერვალთან შენი იდეების ძახილს არ ჰგავს. მხოლოდ ადამიანურ აღქმებზეა საუბარი. ეს პოეტები ყოველთვის გულში მყავს.

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიაძე

ინტერვიუ რონ პეჯეტთან

(Bleecker Street-ის ჟურნალისტი პიტერ ბოუენი ესაუბრა პოეტ რონ პეჯეტს)

რონ პეჯეტი: თუ ლექსებს წერთ, გამოდის, რომ პოეტი ხართ

ამერიკელი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და რედაქტორი რონ პეჯეტი 1942 წელს ამერიკაში დაიბადა. ის მრავალი პოეტური და პროზაული კრებულის ავტორია. მიღებული აქვს სხვადასხვა ლიტერატურული ჯილდო, მათ შორის ფულბრაიტის, გუნინჰემის, უილიამ კარლოს უილიამსის, პულიცერის პრემიები.

პიტერ ბოუენი: განსხვავებული განწყობა სჭირდება ფილმისთვის ლექსის დაწერას?

რონ პეჯეტი: ორიოდე წლის წინ, ჯიმმა დამირეკა და ისე, სხვათაშორის მკითხა, ხომ არ გავუნევდი კონსულტაციას მომავალ ფილმში, რომელშიც პოეზია იქნებოდა ჩართული. მგონი, ნიუ-ჯერსიც ახსენა. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. რა თქმა უნდა, რაც დაგჭირდება, ყველაფერში დაგეხმარები-მეთქი, ვუთხარი. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ისევ დამირეკა და მკითხა, კვლავ მაინტერესებდა თუ არა ფილმი. «ფილმი იქნება ავტობუსის მძღოლის შესახებ, რომელიც პატერსონში ცხოვრობს. ბევრი რამ იქნება პოეზიასთან დაკავშირებული, და მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ სწორი გზით მივდივართ.» მერე დაამატა: «შეიძლება, შენი ლექსებიც კი გამოვიყენოთ.» მე ვუპასუხე: «მშვენიერია, გამოიყენე, რომელიც გინდა.» მერე ისევ დამირეკა: «რამდენიმე ლექსი ავარჩიე და ფილმში გამოყენება მინდა.» მე ვუთხარი: «ჯიმ, აიღე, რომელიც

მოგწონს.» ცოტა ხანში მეუბნება: «თუ ახალ ლექსებს დაწერ, იქნებ ისინიც მოგვცე, ან, სულაც, სპეციალურად დაწერო.» ამაზე ვუპასუხე: «იცი, ჯიმ, შეკვეთით ლექსის წერა მაინცდამაინც კარგად არ გამოდის, მაგრამ გავითვალისწინებ, რომ ფილმისთვის ახალი ლექსები გჭირდება.»

ეს საუბარი ასე დავასრულეთ და მე დავინყე ფიქრი ახალ ფილმზე. ორი დღის შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ საკუთარი თავი ავტობუსის მძღოლად წარმომედგინა. პატერსონში, უილიამ კარლოს უილიამსის მშობლიურ ქალაქში, სადაც ბოლოს დიდი ხნის წინ, როგორც წმინდა ადგილას, ისე ვიყავი. იქ ჩანჩქერი მოვინახულე, მერე შინ ვეწვიე და მისმა მეუღლემ სახლში შემიპატიჟა. ასე რომ, პატერსონი ჩემთვის უცხო ადგილი არ იყო. მაგრამ მანამდე არასოდეს დამინერია ლექსი, როგორც ავტობუსის მძღოლს. ოთხი თუ ხუთი კვირის შემდეგ კი უკვე ოთხი ლექსი მქონდა დაწერილი. აქედან ერთი საშინელი იყო, მეც კი ასე მივიჩნიე, ამიტომ ჯიმისთვის არ შემითავაზებია და მხოლოდ სამი ლექსი გავუგზავნე («სხვა», «გაქცევა» და «სტრიქონი»). მას ლექსები მოეწონა, მითხრა, რომ სამივე არაჩვეულებრივი იყო. მე ვუთხარი: «გამოიყენებ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე სიამოვნებით დავწერე.» საბოლოოდ, მან უკვე არჩეული ლექსებიც გამოიყენა და სპეციალურად დაწერილებიც.

პ. ბ.: მანამდე დაწერილი ლექსებიდან რომელი აარჩია?

რ. პ.: ოთხი ლექსი – «სიყვარული», «ციალი», «გოგრა» და «ლექსი». ჩემი «რჩეული ლექსების» კრებული ახალი გამოსული იყო და ჯიმმა იქიდან აარჩია. ერთ-ერთი მათგანია «სიყვარული» ანუ Ohio Blue Tips Poem, რომელიც 1979-ში ჩემი ცოლისთვის დავწერე.

პ. ბ.: მე ისიც პოეტურად მეჩვენება, რომ თქვენმა კრებულმა 2014 წლის უილიამ კარლოს უილიამსის პრიზი მიიღო. როდესაც თქვენ ფილმისთვის ლექსებს წერდით, პატერსონის სტილზე თუ ფიქრობდით?

რ. პ.: როცა ვწერ, არა აქვს მნიშვნელობა, მე, როგორც მე, ვწერ, თუ როგორც ავტობუსის მძღოლი. ერთ ფაქტორს კი ვითვალისწინებდი – ვცდილობდი, ხასიათიდან არ გადამეხვია. ძალიან უცნაური იქნებოდა, რომ პატერსონს წერა ასანთიდან დაეწყო და მერე უცებ ტვინის ოპერაციის სირთულეზე დაეწერა. ავტობუსის მძღოლი და ყოფილი მეზღვაური, ბუნებრივია, ამით დაინტერესებული არ იქნება. მაშინ, როდესაც «მე» შემიძლია ყველაფრის შესახებ დავწერო, ამ საკითხში საკუთარ თავს არ ვზღუდავ.

პ. ბ.: პატერსონი თავისუფალ დროს კითხულობს პოეზიას. თქვენ ურჩიეთ ჯარმუშს, რომელი პოეტების წიგნები მოეთავსებინა თაროზე?

რ. პ.: არა. ეს ჯიმიმ თავად გადაწყვიტა. ჯიმი საკმაოდ განათლებულია. განსაკუთრებით კარგად ერკვევა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის პოეზიაში. მას ხშირად უთქვამს, რომ მისი საყვარელი პოეტები მეოცე საუკუნის ნიუ-იორკის სკოლის ისეთი წარმომადგენლები არიან, როგორც ფრენკ ო'ჰარა, ჯონ ეშბერი, ჯეიმს შაილერი და კენეტ კოხი, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში მისი ლექტორი იყო.

პ. ბ.: თქვენ ჯიმ ჯარმუშს დიდი ხანია იცნობთ. ერთმანეთი როგორ გაიცანით?

რ. პ.: ჯიმის სახელი ჩემი ვაჟისგან გავიგე. დიდი ხნის წინ მან მირჩია, მისი ფილმი, «Stranger than Paradise» მენახა. ჩემს ვაჟს საკმაოდ კარგი გემოვნება აქვს და მეც დავუჯერე, ფილმი ვნახე. ამის შემდეგ ჯიმის ფილმებით

დავინტერესდი. ერთხელ ვილაცამ მითხრა, რომ ჯარმუში კოლუმბიის უნივერსიტეტში ინგლისური ლიტერატურისა და თანამედროვე პოეზიის პროფესორ კენეტ კოხთან სწავლობდა ჩემსავით. განსხვავება ისაა, რომ მე სწავლა 64-ში დავამთავრე, ხოლო ჯიმმა 75-ში.

რამდენიმე წლის შემდეგ, პოლ ოსტერმა სადილზე მიმიწვია და მითხრა, რომ ჯიმ ჯარმუშისა და სარა დრაივერის მიწვევასაც გეგმავდა. მკითხა, ხომ არაფერი მქონდა საწინააღმდეგო. «არაჩვეულებრივია! მე ყოველთვის მომწონდა მისი ფილმები.» ვუთხარი სიხარულით.

მე და ჯიმმა მაშინვე გავუგეთ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ცოტათი დაიმორცხვა, როცა ვუთხარი, რომ ცნობილ რეჟისორად ვთვლიდი. სადილზე ვცდილობდი, საქებარი სიტყვები არ მეთქვა, რადგან ეს უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა. სადილის შემდეგ, ჯიმმა, უკან, მანჭეტენზე ერთი მანქანით წასვლა შემომთავაზა. როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ ახლოს ვცხოვრობდით ერთმანეთთან. როცა ბრუკლინის ხიდი გადავიარეთ, მივუბრუნდი და ვუთხარი: «მართალია, საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ არაფერს ვიტყოდი, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ – მიმაჩნია, რომ დიდებულ ფილმებს იღებთ და თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ.» ამაზე ჯარმუშმა მიპასუხა: «ღმერთო ჩემო! მთელი საღამო შემთხვევას ველოდი, რომ მეთქვა, რომ ათეული წლებია, თქვენი პოეზიის დიდი ფანი ვარ. რატომღაც, მერიდებოდა თქვენ წინაშე ამის აღიარება.» აი, ამის შემდეგ დავმეგობრდით.

პ. ბ.: პატერსონი ლექსებს კი წერს, მაგრამ საკუთარ თავს პოეტს მაინც არ უწოდებს. თქვენ როგორ გახდით პოეტი?

რ. პ.: უნდა აღვნიშნო, რომ მე საკუთარ თავს პროფესიონალ პოეტად და საერთოდ, თუნდაც სხვა რაიმე საქმის პროფესიონალად არ ვთვლი. დიდი ხნის განმავლობაში რედაქტორი ვიყავი და ხელფასსაც ამაში მიხდიდნენ. წერა 12 თუ 14 წლისამ დავიწყე. 16 წლის ასაკში უკვე ერთადერთი სურვილი მქონდა – ლექსები მეწერა. თუმცა პროფესიული ინტერესი არ მქონია. ვცდილობდი, იქით წამეყვანა ჩემი ცხოვრება, სადაც ლექსების წერის საშუალება მექნებოდა და მატერიალური სამყარო არ გამქელავდა. წლების განმავლობაში გავიცანი პოეტები, ლექსებს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში ვაქვეყნებდი, წიგნებს ვუშვებდი, წიგნებისა და ჟურნალების რედაქტორად ვმუშაობდი, ვატარებდი პოეზიის საღამოებს და ვუძღვებოდი პოეზიის პროგრამებს. ჩემს წიგნებს კითხულობდნენ, აშუქებდნენ და ხალხმა პოეტად გამიცნო. ძალიან ადრე, როცა წვეულებაზე ვინმეს გამოველაპარაკებოდი და ის ჩემი საქმიანობის შესახებ მკითხავდა, მე ვპასუხობდი, რომ მწერალი ვიყავი. არ მინდოდა, პოეტი მეხსენებინა. რადგან, როცა სიტყვა პოეტს ახსენებ, საუბარი დასრულებულია. ის აუცილებლად გიპასუხებთ «ოჰ, ღმერთო, ჩემი ცოლი ლექსებზე გიჟდება.» ან «მგონი, ლექსები სკოლაში წაკითხული მაქვს». მიუხედავად იმისა, რომ ხალხი პოეტად მიცნობდა, მე მაინც არ ვამბობდი, რომ პოეტი ვიყავი. თუმცა, რა თქმა უნდა, პოეტი ვიყავი. როცა ვორქშოფებს ვატარებდი სხვადასხვა ქვეყნებში, ზოგჯერ ვიღაც მორცხვად მეტყოდა: «იცით, ლექსებს ვწერ, მაგრამ პოეტი არ ვარ.» მე მათ მაშინაც ასე ვპასუხობდი და ახლაც ასე ვპასუხობ: «თუ ლექსებს წერთ, გამოდის, რომ პოეტი ხართ.» პატერსონს არ სურს გამოტყდეს, რომ პოეტია, მას მხოლოდ წერა სურს. ის ძალიან მორცხვი და თავმდაბალია.



პ. ბ.: ხომ არ ფიქრობთ, რომ რალაციით ჰგავხართ პატერსონს?

რ. პ.: როგორც ფილმიდან ჩანს, პატერსონი საშუალო კლასს მიეკუთვნება, რაც ჩემს შემთხვევაშიც ასეა. ჩემმა

მშობლებმა ძალიან დაბალი ფენიდან დაიწყეს და თავისი შრომით საშუალო კლასს მიაღწიეს. ეს ნამდვილად საერთო გვაქვს. მეც და პატერსონიც დიდ ყურადღებას ვანიჭებთ იმას, რასაც ვხედავთ. ყველაზე უმნიშვნელო საგანიც კი, როგორიცაა ასანთი, შეიძლება, ლექსის ინსპირაციად იქცეს.

პ. ბ.: ავტობუსის ტარება ხომ არ გიცდიათ, რომ პატერსონის ხასიათი გეგრძნოთ?

რ. პ.: არა, ავტობუსი არასოდეს მიტარებია. ერთხელ სატვირთო მანქანით სამხრეთ კაროლინადან ვერმონტში ჩამოვედი.

რ. პ.: მითხრეს, რომ ფილმის გადაღების პროცესში აქტიურად არ უნდა ჩავრეულიყავი, ამიტომ განზე ვიდექი, და თუ ჯიშს ან ადამს შეკითხვა გაუჩნდებოდათ, დიდი სიამოვნებით ვპასუხობდი. გადაღების პირველ დღეს დავესწარი და გადამღებმა ჯგუფმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. განსაკუთრებით, მათმა ჰარმონიულმა მუშაობამ. თავი ისე ვიგრძენი, როგორც ბავშვმა ტკბილეულობის მაღაზიაში.

როცა ჯიში ადამისთვის ლექსების გაცნობას აპირებდა, უთხრა: «თუ გინდა, რონის სხვა ლექსებიც წაიკითხე, წიგნს მოგცემ». რაზეც ადამმა უპასუხა: «არ არის საჭირო, მე უკვე

წავიკითხე მისი ლექსები.» აი, ასეთია ადამ დრაივერი. იცით, მან მანამდე ისწავლა ავტობუსის ტარება, ვიდრე ვინმე სთხოვდა.

მე არც კი მიფიქრია, მისთვის მერჩია, როგორ წაეკითხა ლექსები, რადგან მიმაჩნია, რომ ამ ფილმში ლექსები მას ეკუთვნის.

პ. ბ.: და მისი ხმა ლექსებს ძალიან მოუხდა.

რ. პ.: დიახ, ასეა. თუმცა, ვიდრე მოვისმენდი, გარკვეული შიში მექონდა, რაც ჩემი წარსული გამოცდილებიდან მოდის. საქმე ისაა, რომ დიდი ხნის წინ ვყიდულობდი ჩანაწერებს, სადაც მსახიობები ლექსებს კითხულობენ, და სამწუხაროდ, ისინი ზედმეტი ემოციით და გამოთქმით კითხულობდნენ, რითიც, ჩემი აზრით, მთლიანად ანადგურებდნენ ლექსებს. მაგრამ სიხარულით უნდა აღვნიშნო, რომ როგორც კი ადამის წაკითხული ლექსი გავიგონე, მაშინვე დავმშვიდდი და ჩემთვის ვთქვი: «კარგია, ამ ბიჭმა კარგად იმუშავა.»

პ. ბ.: რით განსხვავდებით პატერსონისგან?

რ. პ.: მე ნიუ-იორკში ჩამოვედი, რომ სკოლაში მევლო და სკოლის მერე იქ დიდი ხნით დავრჩი. მე მასავით იზოლირებული არ ვიყავი. არასოდეს მექონია სამსახური, რომელიც 9 საათზე იწყებოდა და 5-ზე მთავრდებოდა. პატერსონს თვითრწმენა აკლია, მე კი მის ასაკში თავდაჯერებული ვიყავი. არ მიმაჩნდა, რომ რასაც ვწერდი, დიდებული იყო, მაგრამ იმაში ეჭვი არ მეპარებოდა, რომ წერა ჩემი საქმე იყო, არც იმაში, რომ წერას თავს არასოდეს დავანებებდი და ვერც ვერაფერი შემაჩერებდა.

პ. ბ.: ფილმის ნახვის შემდეგ აუცილებლად უნდა გკითხოთ: თქვენი ლექსებს საიმედოდ ინახავთ?

რ. პ.: გააჩნია, სად ვნერ. ზოგჯერ კომპიუტერში ვნერ, ზოგჯერ ბლოკნოტში, მაგრამ ვცდილობ, ასლები გადავიღო და სხვადასხვა ადგილას შევინახო. ან ჩემს ვაჟს მივცე, იმ შემთხვევისთვის, თუ ჩემს ბინაში ხანძარი მოხდება და ყველაფერი განადგურდება. ჩემთვის ჩემი ლექსები მნიშვნელოვანია, თუმცა, დანარჩენი სამყაროსთვის არ ვიცი. მაგრამ, რა თქმა უნდა, Fort Knox^[8]-ში სეიფი არ მაქვს დაქირავებული.



ინგლ
ისურ
იდან
თარგ
მნა
დალ
ილა
გოგი
ამ

რონ პეტეტი

ლექსები „პატერსონიდან“

სიყვარული

სახლში უამრავი ასანთი გვაქვს და
ყველა კუთხეში გვიდევს.

აღრე «დაიმონდ ბრენდი» მოგვწონდა, მაგრამ
ეს მანამდე იყო, ვიდრე «ოჰაი ბლუ თიფს»
აღმოვაჩენდით და ახლა ჩვენი საყვარელი
ფირმა «ოჰაიო ბლუ თიფია».

პატარა, ლამაზად შეფუთულ მყარ ყუთებზე
ლურჯ-ცისფერ-თეთრი იარლიყი
მეგაფონის ფორმის ასოებით
თითქოს ხმამაღლა აცხადებს:

«მსოფლიოში ულამაზესი ასანთი:

ერთნახევარი ინჩის წიფლის რბილ ღეროს
ერთი მარცვალ მუქი მენამული თავი ადგას
და ჯანსაღი და ფიცხია და

ყოველთვის ჯიუტად მზადაა, ააღდეს
და თქვენი საყვარელი ქალის სიგარეტს პირველად
მოეკიდოს. ეს წამი თქვენთვის აღარასოდეს
განმეორდება და ამას ჩვენთან ერთად იგრძნობთ.»

შენ გვერდით თავს ისე ვგრძნობ,
თითქოს სიგარეტი ვარ, შენ კი ასანთი,
თუ მე ასანთი და შენ
სიგარეტი, კოცნით აბრიალებული,
ცისკენ აწვდილი.

კიდევ ერთი

ბავშვობაში

გასწავლიან, რომ არსებობს

სამი განზომილება:
სიმაღლე, სიგანე, და სიღრმე.
თითქოს ფეხსაცმლის ყუთი იყოს.
მერე კი იგებ, რომ
არსებობს მეოთხეც:
დრო.

ჰმ.

მერე ვიღაც იტყვის, რომ
არსებობს მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე...
სამსახურის მერე
ბარში
ლუდს ვსვამ.
მინის კათხას ჩავყურებ
და მიხარია.



გარი სნაიდერი და რონ პეჯეტი

ლიცლიცი

როცა შენზე ადრე ვიღვიძებ და
შენ
სახით ჩემკენ ხარ
მობრუნებული
და თმა ბალიშზე გაქვს
გაშლილი,
გიცქერ და ვტკბები
სიყვარულით და შიშით,
რომ თვალებს გაახელ და
დილის ციალი გაქრება შენი

სახიდან.

თუმცა, თუ სინათლე თვალს არ მოგჭრის,
დაინახავ, რომ თავი და მკერდი სავსე მაქვს შენით
და ჯერ გაუჩენელი ბავშვების ხმებით გუგუნებს –
შიშით, რომ დღის სინათლეს
ვერ იხილავს. ჭუჭრუტანაში

ნაცრისფერ-ლურჯი წვიმიანი
სინათლე ლიცლიცებს,
ზონარს ვიკრავ და ყავის
დასალევად ჩავდივარ.

გაქცევა

ტრილიონობით მოლეკულა გვერდზე
ინევს და გზას მითმობს,
რომ გავიარო.
სხვა ტრილიონები
ფებს არ იცვლიან.
მინის სანმენდი
ჭრიალებს.
წვიმა გაჩერდა.
მეც გავჩერდი.
ქუჩის კუთხეში
ყვითელსაწვიმრიანმა ბიჭმა
დედას ხელი
ჩაჰკიდა.

გოგრა

ჩემო პატარა გოგრა,
ჰო, ზოგჯერ მინდა, სხვა გოგოებზეც ვიფიქრო,
მაგრამ სიმართლეს გეტყვი –
თუ მიმატოვებ,
გულს ამოვიგლეჯ
და უკან საბუდეში
აღარასოდეს ჩავიბრუნებ
სხვას შენნაირს ვერავის ვნახავ.
როგორ მრცხვენია.

ლექსი

ახლა შინ ვარ,
გარეთ თბილა,
ცივ თოვლზე მზე დევს,
გაზაფხულის პირველი დღეა
ან ზამთრის ბოლო დღე.
ფეხები დაუკითხავად ჩარბიან კიბეზე და
გარბიან გარეთ,
ჩემი ზედა ნახევარი აქ ზის და ბეჭდავს.

ერთი სტრიქონი

ერთი ძველი სიმღერა მახსოვს
ბაბუა მღეროდა ხშირად
სადაც ისმოდა შეკითხვა
არ გინდა, იქცე თევზად?
იმ სიმღერაში
იგივე შეკითხვა
ეხება თხუნელასაც და გოჭსაც,
მაგრამ მე მახსოვს მხოლოდ ის სტრიქონი
რომელიც გაქცევს თევზად.
თავში მიტრიალებს ზოგჯერ.
მხოლოდ «არ გინდა, იქცე თევზად?»
თითქოს სხვა სიტყვები
იმ სიმღერაში სრულიად ზედმეტი იყო.

ჟიმი ჟარმიში

ლექსი „პატერსონიდან“

წყალი ვარდება

წყალი ვარდება.

წყალი ვარდება კრიალა ჰაერიდან.

თმასავით ვარდება

და პატარა გოგოს

მხრებზე ეცემა.

წყალი ასფალტზე ეცემა

და გუბეებად დგება,

მღვრიე სარკედ, სადაც

ღრუბლები და სახლები ეტევა.

წყალი ეცემა ჩემი სახლის სახურავზე,

წყალი ეცემა დედას და მეც, თმაზე.

ამ წყალს ხალხი წვიმას ეძახის.

ალენ გინსბერგი

პატერსონი

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ



ალენ გინსბერგი, ცნობილი
ამერიკელი პოეტი,
დრამატურგი, მუსიკოსი,
აქტივისტი, ბიტ-თაობის ერთ-
ერთი დამაარსებელი და
პოპულარული
წარმომადგენელი, 1926 წელს
ამერიკაში, ქალაქ პატერსონში
დაიბადა.

მის ცხოვრებასა და
შემოქმედებაზე, ისევე, როგორც
მთელ ბიტ-თაობაზე დიდი
გავლენა მოახდინა მისმა

მენტორმა, ამერიკელმა პოეტმა უილიამ კარლოს
უილიამსმა.

თუმცა, უილიამ კარლოს უილიამსი და ალენ გინსბერგი
სხვადასხვაგვარად წერენ მშობლიური ქალაქის,
პატერსონის შესახებ. გინსბერგი, ამერიკული სახელმწიფო
მანქანის მოწინააღმდეგე, სისტემის მტერი, თავის
აგრესიას ქალაქის მიმართ ლექსში «პატერსონი»
დაუფარავად გამოხატავს.

პატერსონი

რა მინდა ამ ოთახში, სადაც კედლებზე ფულის სურათებია
გაკრული?

რას მოვიგებ, თუ თმას შევიჭრი? ან ფეხსაცმელს ახალ
ქუსლებს დავაკრავ,

მასტურბაციითა და ოფლით მოთხვრილ ტანს დავიბან
დასაქმების ბიუროებში,
ჟურნალის დერეფნებში, სტატისტიკურ კუბებში, ქარხნის
კიბეებზე,
ფსიქიატრიულებში მომლიმარი ღმერთების პალატებში
ფენა-ფენა შემხმარ ექსკრემენტებს მოვაშორებ;
თუ უნივერსიტეტში უფროსი გამყიდველების, ქონში
ჩაყუდებული ბებერი კლერკების,
ფულიანი და ძღვევამოსილი ეგოს დორბლის ყრისა და
იდოტიზმის აღზევებას წავაწყდები,
რომელსაც შეუძლია, ხალხს სამსახური მისცეს, წაართვას,
შექმნას და გაანადგუროს, გააკუოს და მრისხანებისგან
გამოფიტული კაცის მრისხანების შესახებ ჭორი და
რეალობა დაამკვიდროს,
ჩავენები ომში, მაგრამ სანაცვლოდ რას მივიღებ!
უსიცოცხლო ტიპს ბანალური შეპყრობილობით,
ღამით მანათობელ მოჩვენებებს და დღისით ცერის
გაცოფებულ წოვას.
ამას სჯობს, ჭკუიდან გადავცდე და მექსიკის ბნელ გზას
გავუყვებ,
ვენებში ჰეროინი წვეთ-წვეთად შევიყვანო,
თვალეები და ყურები მარიხუანით ამოვივსო,
საბღვარზე მიწურში პეიოტლი^[9] პირდაპირ იატაკზე ვჭამო
ან სასტუმროში რომელიმე დატანჯული ქალის ან კაცის
სხეულს დავანვე;
ამას სჯობს, დასავლეთის გზაზე მთელი სხეულით
ვიკანკალო
და მზის გულზე აყროლებული სასადილო მომენტატროს,
ამას სჯობს, ცინცინატში შიშველი მუცლით კონსერვის
ქილებზე ვიხობო,
ამას სჯობს, დამპალი რკინიგზა კოლორადოში გოლგოთაზე
ავათრიო,

ამას სჯობს, გალვესტონში დადგმული ეკლის გვირგვინით,
ლოს ანჟელესში დალურსმული
ხელებითა და ფეხებით, დენვერში სასიკვდილოდ ზეცად
ამაღლებული,
ჩიკაგოში ფერდში განგმირული, ახალ ორლეანში
მოკლული და დასაფლავებული,
1958-ში სადღაც გარეთის მთაში მკვდრეთით აღმდგარი,
მძღნერით პირგამოტენილი და ყალყზე დამდგარი თმით,
ქვევით, ნაგვისა და გახურებული მანქანებისა და
ქუჩის კუთხეში ქალაქის ცათამბჯენის წინ
ძეგლებით და აგონიური ლომებით გარშემოტყმული
ტაძრის ბრწყინვალეობაში
ღრიალით დავეშვა, კივილითა და რიტუალური ცეკვით
ვადიდო მარადისობა,
რომელიც სჯობს ტროტუარებს, სჯობს რეალობას,
წივის და ორკესტრის ფონზე სამყაროს დამანგრეველ
საბანკეტო დარბაზში ცეკვავს,
როცა მუცლიდან და მხრებიდან სისხლი მდის
და თავისი სამარცხვინო ექსტაზით ქალაქს ავსებს, ქუჩებსა
და გზატკეცილებზე,
ქვაფენილებსა და ტყეებში და ჭაბურღილებზე მიედინება
და ჩემს ძვალს და ხორცს ხეებზე კიდებს.

უილიამ კარლოს უილიამსი

ლექსები

(ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიაშვილი)

უილიამ კარლოს უილიამსი პოეტური მიმდინარეობის, იმაჟიბმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იმაჟიბმი მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და მის ლიდერად ამერიკელი პოეტი ებრა პაუნდი მიიჩნევა. ამ მიმდინარეობამ უარყო რომანტიზმის დაკარგული იდეალის ძიება, სიტყვაკაზმული ენა და პოეტებს მოუწოდა, ობიექტებზე გადაეტანათ ყურადღება. ის, ერთგვარად, წამის გაჩერებასა და აღწერას მოითხოვს, რასაც აღმოსავლური პოეზიის, კერძოდ კი ტანკასა და ჰაიკუს გავლენამდე მივყავართ. იმაჟიბმის თვალსაჩინო მაგალითად კარლოს უილიამსის «წითელი ურიკა» მიიჩნევა. პოეტი წითელ ფერსაც არ ირჩევს შემთხვევით, რადგან სწორედ წითელი ფერი იპყრობს ყურადღებას და აღწერს ობიექტს და მის როლს იმ ადგილას. ობიექტის როლი საზოგადოებაში, გეოგრაფიულ ადგილას თუ ისტორიაში, ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია იმიჟინიზმისთვის.

როგორც აღნიშნავენ, უილიამ კარლოს უილიამსს ერთი საოცარი თვისება ჰქონდა: მას შეეძლო, სულ უბრალო რამისგან შეექმნა პოეზია. მისთვის მაცივარზე დატოვებული ბარათიც კი პოეზიაა. სწორედ ასე დაინერა მისი პოპულარული ლექსი «რისი თქმაც მინდა», რომელიც ფილმ «პატერსონშიცაა» შესული.

რისი თქმაც მინდა

სულ მე შევჭამე
ქლიავი.
მაცივარში
რომ იყო

და რომელიც
ალბათ
საუზმისთვის
გადაინახე.

მაპატიე.
ძალიან გემრიელი იყო,
ისეთი ტკბილი
და ცივი!



რუსული ცეკვა

უილიამ კარლოს უილიამსი

როცა ჩემს ცოლს სძინავს
და პატარასაც სძინავს და ქეთლინსაც,
და
მზე კაშკაშა ხეებს ზემოთ აბრეშუმის ნისლში
თეთრად აღმოდებული დისკოა,
თუ ჩემს ოთახში (ჩრდილოეთით)
ჩემი სარკის წინ შიშველი ვცეკვავ,
და ამავე დროს პერანგს ვიქნევ
და ჩემთვის ვმღერი:
«აი ახლა ვარ ბედნიერი,
მარტოობისთვის დაბადებული მარტო ვარ, მარტო!»
თუ მაგიჟებენ ჩემი ხელები, სახე, მხრები,
დუნდულები, ჩემი გვერდები,
მაშინ ვინ იტყვის, რომ
ბედნიერი გენიოსი არ ვარ შინ?

ზამთრის ხეები

ჩაცმის თუ გახდის
ყველა რთული წვრილმანიც კი
უკვე მოგვარდა!
თხევადი მთვარე
გრძელ ტოტებში
ნაზად მიმოდის.
კვირტები ზამთრისთვის
მოამზადეს –
და ბრძენ ხეებს სიცივეში
ფეხზე მდგართ სძინავთ.



წითელი ურიკა

რამდენი რამაა
დამოკიდებული

წვიმის წვეთებით
აბრჭყვიალებულ

წითელ ურიკაზე,
როცა

თეთრი წიწილების
გვერდით დგას.



აპრილის გახსენება

ამბობთ – სიყვარული ესაა,
სიყვარული ისაა:
ვერხვის ტოტი, ტირიფის პნკალი,
ქარი და წვიმა.
ზარის წკრიალი და წვეთები.
ზარის წკრიალი და წვეთები.
მონანავე ტოტები. ჰეჰ!
ამ მხარეში სიყვარულს
ჯერ არც ჩამოუვლია!

აბსოლუტური განადგურება

ყინავდა.

ჩვენი კატა დავმარხეთ იმ დღეს.

მერე დავწვით

მისი სახლი –

პატარა ყუთი.

რწყილი,

რაც კი გადაურჩა

ცეცხლსა და მიწას,

სიცხით დაიხოცა.



3. პოეზია

გოჩა სხილაძე

აალება

დიდ ვარსკვლავებით მოჭედილ ღამეს,
შენს ბაგეებზე გამომკრთალ ღიმილს,
დილის ვარდებზე დაკიდულ ნამებს,
დიდ მარტოობას, სიჩუმეს მღვიმის,
ვარდებს, მის ჯერაც გაუშლელ კოკრებს,
დავინწყებისკენ გადახრილ საგნებს,
ბავშვს, დაისის წინ სხივებს რომ მოკრებს,
მის თითებს, როცა უმატებს, აკლებს,
ხელებს, რომელიც გეძებენ ძილში,
აქ რომ ვერაფერს ვერ ეჭიდება,
დიდ მატლს, რომელიც ნეტარებს ხილში
და გაღვიძება აღარ სჭირდება,
თვალებს, რომლებიც გხედავენ მუდამ,
ისე შორიდან, თვალმოუკრავად,
ოქროსკანიან, მდუმარე ბუდას,
სანამ სიყვარულს არ მოვუკლავარ,
თაყვანს ვცემ ყველას, უკუნში ნაძერწ
პატარა ლეკვსაც, მის კუდის ქიცინს,
ნაფეხურს შენსას, ასვეტილ ნაძვებს,
ბოლო წერტილსაც, შენ რომ სვამ, ციმციმ...

სუნთქვა

გული სინათლით სავსე დღეებით –
ცა ვარსკვლავებით გადალამბულა.
ჩემ ბნელ სიზმრებში ცხელ ბაგეებით
სუნთქვა შენს სუნთქვას არ გადაბმულა.
მერე გადივლის ჩემ გულზე ზღარბი,
ველის შროშანი, მთელი პრერია.
მაქვს ცისარტყელის მაღალი წარბი,
სიტყვებიც – რაც არ დამინერია.

ზარი

მე ვარ ზარის ხმა რომ ესიზმრათ ვარდებს, ნარგიზებს,
შენი გული კი სამრეკლოა, სადაც ვდუმდები,
მე ვარ ყვავილი, მოელვარე შენს გულსაკიდზე,
შენს გაზაფხულში მინდა მოსვლა და ვერ ვბრუნდები.
შენი ცა ასე უძიროა და მოციალე,
მე ვარ დაისი, დიდი ზარი, ხმაჩაწყვეტილი.
როცა წავედი, ჩემი სახე შევატრიალე,
ვარსკვლავებისკენ. ელვარებდა ბნელი წერტილი.
ჩემს ხმაში ათას ველის ყვავილს გააქვს ღაღანი,
მაინც არ გესმის ჩემი ცრემლის დიდი ხარება,
ვილაც იზრდება ჩემში წმინდა, ცამდე მაღალი
და შენს სიზმრებში დაბნეული დაიარება.

მერწყულის ტალღა

გადაიარა დიდმა ტალღამ, დაფარა ქვიშა,
წაშალა უცხო წარწერები — ჩემი ელჩები,
გააქრო შენი მონიშნული მაღალი ნიშა,
ააელვარა ნიჟარები, ბნელი კენჭები.
აქ აღარ არის ჩუმი ღელვა, შუქი ნაჩხაპნის –
აღარც გულების კოცონებით გზა ამომწვარი.
ზამთარი გულში აყვავებულ მაისს დაჯაბნის,
თოვლი ყელამდე როცა არის ბავშვებს მომწვდარი.
მე დამესიზმრა მოციმციმე ბაგეთა ნერწყვი –
თავს ზემოთ მუდამ მოციაგე დიდი მერწყული,
მე შენს სიბნელეს – თვალს დავხუჭავ და ისე ვერწყმი,
როგორც ოთახში ჩაკეტილი – კედლებს მერცხალი.
ჩუმად ვჩურჩულებ, ჩემი ბედი ვერვის შევტირე,
ვეღარ ვცნობ წარსულს, არც მომავლის მესმის ხარება.
ჩემში სულ უკრავს ჯადოქარი შენი მესტვირე,
იცის, სიბნელე ბოლოს მაინც გაიბზარება.

დაბრუნება

შეხედავ ნაძვი, ცად ასვეტილ ნაძვს იქით ვერხვი,
მაღლა ჩიტების ჟრიამული, შენება ბუდის,
დიდი გულებით დაჩხაპნილი, ხის ძირას მერხი,
მერხზე ლოთების ღრიანცელი, ბოთლები ლუდის.
უცებ წამწამებს დაუშვებ და სიბნელეს უხმობ,
გინდა სიბნელე სამუდამოდ დაგედოს ხუფად.
გაზაფხულია შენს ჯინაზე, ტკივილებს უღრმესს
ზამთრამდე კიდევ ბევრი დარჩათ, მადლობა უფალს,
ძირს თავდახრილი თუ შეამჩნევ ბავშვების კედებს,
როგორ თელავენ გვირილებს და სხვა უცნობ ყვავილს,
ხედავ, ბავშვები მოჰყვებიან ჩრდილივით დედებს,
გვერდით კი ქმრები — რომ არ ჩანდნენ ჭიქაში ყავის.
მიხვალ სახლში და კვლავ გადაშლი პლოტინს, ან
პროკლეს –
ამოდის მატლი ამ ვაშლიდან, უცხო და მსგავსი...
უცებ გადაშლი შენს სიცოცხლეს, ისედაც მოკლეს,
როგორც გადაშლის ხსოვნის ბილიკს მომავლის ხავსი.

ბაგისფერი დაისი

თან დავატარებ შენი ცის სხივს, შენი სხეულის
აღისფერ ყვავილს, სხვა ფეხმა რომ ციმციმ გათელა.
დავიკარგები შენს გრიგალში, უცხო, ეული,
როგორც აქ ბნელში მხარქვეული ციცინათელა.
აი, ეს არის დავინწყების ტალღის მოქცევა,
თავზე რომ მადგას, დაისია იმ ბაგისფერი,
ძილში ვჩურჩულებ: შენ იყავი, ამის მოწმე ვარ —
დილის ვარდივით ციალებდა სახე, კისერი.
მომქონდა გული – არავისთვის გამოსადეგი,
სიტყვის ფერები, შორსმხედველი ჩემი სიბეცე.
დამუნჯებული ხნიერი ხის გვერდით დავდექი
და ჩრდილთან ერთად შენს უფსკრულში გადავიკეცი.

წასვლა

გულში კვლავ არის სიმაღლის და ნათლის კუნჭული,
ვარსკვლავების და შენი მკერდის ამომბურცველი,
ახლა ვარდების ბაღში ვდგავარ თვალდახუჭული,
ახლა ვარდიდან ჩამოვარდნას ლამობს ფურცელი.
ცრემლით ივსება თვალის გუგა, ვხედავ კურცხალით,
ბრმა მერცხალივით მეჭახება მიჯნურთ ნათება,
მივდივარ ჩუმად, მამასავით ბედდაუმცხრალი,
მთვარეა გარეთ და ქარების მიჩუმათება...
მივდივარ ჩუმად, მთვარესავით სხივგაბურდული,
ჩიტის ჩრითინი ბნელ ღამეში გულს მესახება,
შენს ვარდების ბაღს უმძიმესი ადევს ურდული,
შენს გულს ჩაესმის ვარსკვლავების ყრუ შეჭახება...

სიბნელე

მითხრეს: ცხოვრება არის დღესავით,
მე კი არა მაქვს შნო და გერგილი,
რომ ვარ უგრძნობი დიდი კლდესავით,
ანდა ცივი ვარ აისბერგივით.
ეშმა, ამ სოფლის მამასახლისი,
ჩემზე სხვა ათას რამეს მოროშავს,
გულზე გადივლის მისი სახნისი –
ამოჰყრის ვარდებს, აფრთხობს ბოლოშავს.
ისმის ჩურჩული: ამოიბაგე,
კვლავ შეერიე დაისს, სიბინდეს,
კოცნისთვის ჰპოვე წყვდიადის ბაგე,
ოქროსქოჩრიანს, გასცდი სიმინდებს.
მაღალი ხე ხარ, რომ ვერ დაგაპეს,
წადი, წყვდიადის კალთას ებნიე.
თუ ხედავ ვარდებს – ბავშვის საკაბეს,
წამიერია და უნებლიე.

ანუბისის ბაღები

ღამის სიზმრებში ანუბისის მოახლოება
ახლა აშენებს და ამაღლებს ცამდე მეგალითს.
მე რომ მეგონა, თითქოს მინა მევიწროება,
სავსე მთვარის ქვეშ აქათქათდა დიდი ეკალი.
შენი ვარდები ცვრით დამძიმდა მდინარის გაღმა,
აყვავდა კომში, ახასხასდა მწვანედ აყირო.
ადრე მეგონა, რომ გაშალა ვარდები ბაღმა
ჩემთვის. ვიყავი დიდ ბავშვივით უკვირმაკვირო.
დაკარგულ გზებზე გული იყო შენი მოსავი,
ვეტანებოდი გზის ნაპირებს, ბნელის ლენცოფას,
მოეხვეოდა უნაზესი ყელით სოსანი
მის ეკლებს. სისხლით მიველტვოდი თავის შეცნობას.
იყო ბავშვობა, მსხლის ტოტებზე ბუდე თრიების,
მამის სიკვდილი და მაღალი კოშკი უბისის,
შენი ღიმილი, გაღვიძება გულში მთიების,
ღამის კოშმარი, სიზმრის ბაღი, ხმა ანუბისის.

ჩურჩული

ბევრი ფეხის ხმა მიახლოვდება,
გათელეს ვარდი და სამარის მიწა დაბლისკნეს.
გულში გაისმის შენი გოდება –
ასე მიდიხარ სიბნელისკენ და სიდაბლისკენ.
თითქოს გადუსვეს შავი გუაში
დაბრეცილ სივრცეს, ღვინით სავსე ქვევრი დაგლისეს.
მნათი წერტილი ბნელის შუაში
ვარ ისევ მარტო. აქ არავინ მოგისაკლისებს.

ძილი

აქეთ თვალგახელილი ცრემლიანი ბრმებია,
აქეთ შენი სიცოცხლე სიკვდილს დაუბრებია,
მიმოდიან ტალღები – ჩუმი საუბრებია,
ინთებიან ვარსკვლავნი, ინთებიან, ქრებიან.
ვარდებისკენ ქარები ისევ გადიხრებიან,
ვხედავ ბავშვის კულულებს და მის შავტიხრებიან
ძილში ალვა იჭრება, მყინვარები დნებიან,
გრიგალი და სინათლე ერთად დაიძვრებიან,
თითქოს არც კი ყოფილან, არც ვის დასიზმრებიან

მორევი

როდესაც ცეცხლი ბრიალებს მწველი,
თავი არ ახსოვთ ფარვანებს, ქინქლებს.
ყვავილის ყელში გაივლის ცელი,
დახედავს სხივი ყინულის ფიქლებს.
როდესაც ხეზე ეშვება ცული,
მაშინ ამ ტყეში სინათლე იკლებს.
სახეს ედება ნილაბი კრული
და გულის ბუდე აღარ აქვთ ფიქრებს.
არის სინათლე? არსებობს ნული?
თუ თავის წრეში ჩაითრევს ციფრებს?
არის მორევი, უძირო ღრმული –
ტკივილებს, ქაოსს თავისში იკრებს...

ღამის ელეგია

ქარი აღვიძებს ნემსიყლაპიას,
ფრთები ბავშვებთან მას არ ამდურებს,
ღვიძავს სიცოცხლეს, ჩამქრალს, ღამპიანს,
ჩემს სიმართოვეს და სიდაბდურეს.
ღამის მწვალეებლებს — ღვიძავთ ტარაკნებს,
ახსოვთ, სიბნელე ნათელს უდრიდა.
სიზმარში ვიღაც მოლაპარაკემ
კვლავ მითხრა: ნუ ხარ ასე გულდიდა.

სიჩუმის ნაპირი

ჩამოუტარებს გულს გაბაფხული
აისბერგს, ცივს და ზღვამოდრეიფეს,
დგას სიხარული ისე მზაკვრული,
შენს ფანჯარაში რომ არ შეიფრენს.

სიჩუმის ნაპირს ბავშვი პანია
გაცდება, სხვაგან მიეჩქარება,
შენი ფანჯრის წინ დიდი ნაძვია,
შენი მდუმარე გულის ხარება.

შემოდგომის წვიმები

იყოს ქარი და იყოს წვიმები
და მალვიძებდეს ხმაური თავსხმის!
კარგია, კოშმარს რომ არ მივები,
მადლობელი ვარ სიცივის, ამ ხმის.
რა ოქროსფერი დაედოთ გოგრებს,
რა სისხლისფერი დაჰკრავთ ვენახებს,
სიმინდის ტომრებს კვლავ თავი მოკრეს,
მეც ვხურავ წიგნებს შენ ხელშენახებს
და აღარ ვუსმენ ჩიტების ლაღეს,
რომ ფერავს გულის ვუის და ვაის.
სიცარიელეს მოვუხმობ ხვალაც,
მივადებ სახეს ახლობელ დაისს.

შემოდგომის ბალები

უკანასკნელად ყვავილები ღებავენ ხმელეთს,
ყველამ გაასწრო, ვისაც სურდა წასვლა, გასწრება.
მე შევალ ბაღში, ვიგრძნობ ისევ ძველ ელეთმელეთს,
ბოლო სხივისკენ მიაბრუნეს თავი ასტრებმა.
შემოდგომაა, რომ არ ინდობს ალვის კულულებს
და თავის ოქროს გადააყრის თავზე ღარიბებს,
მოგონებების ნაკადული ჩუმად ლულულებს,
ისევ წაიღეს, რაც დროებით ჩამოარიგეს....
გულწითელები მოფრინავენ ხშირად ფანჯრებთან,
სად დიდი ბავშვი ისევ ხატავს გულებს მინაზე,
ყოველ სიზმარში ქარი ალვას ხრიდა, ანჯღრევდა,
მახსოვდა ძილში შენი მზერა, შენი სინაზე...

ნანა ქელებიძე

ინსტრუქცია ცოცხლად დარჩენილთათვის

* * *

ადამიანში,
როგორც წყალში უნდა შეხვიდე.
ოღონდ მუხლამდე.
ოღონდ უსაფრთხოდ.
მერე იდგე და მშვიდად ელოდო:
თუ დაგიშრება.
თუ გულამდე უცებ მოგწვდება.
ადამიანში,
როგორც წყალში უნდა გაჩერდე.
ოღონდ ნაპირთან.
ოღონდ მოთმენით –
მეტად ნაბიჯი არ გადადგა.
მეტის ცდუნებამ აღარ გძლიოს.
თუ იგრძნობს,
როგორ გაყრის ხორკლი გაყინულ კანზე –
ადიდდება და თავად დაგფარავს.
შენ მხოლოდ მასში ოდნავ შეტოპე –
დახრჩობა მერე თავად მოგძებნის.

* * *

როგორიც მიწიდან ამოდის,
ცხოვრება ისეთი უნდა დალიო –
შაქრისა და თაფლიანი კვერების გარეშე,
შეთბობის და ტკბობის გარეშე.
ყინულივით კბილისმომჭრელი.
ჩამუხლულმა, პეშვთან დახრილმა.
ზოგჯერ ძირსაც ჩამოგელვრება,
ზოგჯერ თითებში გაგექცევა,

სანამ წყურვილის მოკვლას მოასწრებ.
ყელშიც ბევრჯერ გადაგცდება მოულოდნელად.
შეგაშინებს,
ცისკენ ყურებას დაგანწყებინებს.
რამდენის მიტანას გულამდე მოასწრებ,
ცხოვრება იმდენი უნდა დალიო.
ხშირად ტუჩსაც ვერ გაისველებ.
ერთხელ სწორედ ის წვეთი მოგკლავს,
მინაზე რომ არ დაიღვარა,
სასულეში გადაცდენილი.

* * *

რომ იყო მდინარე,
ამოგიღონ საკუთარი კალაპოტიდან.
ნაპირზე დაგდონ.
გითხრან:
იცხოვრე.
შენი ცხოვრება ახლა მხოლოდ შეგრძნებებია –
როცა მხოლოდ მზერით ეხები
და მხოლოდ გახსოვს.
მკლავზე, როგორც სუსტ ტალღაზე,
ჩამოაყრდენი საკუთარი ამღვრეულობა
და უყურე ბალახებზე წამოწოლილმა
შენი სხეულის ჩვეულ სამყოფელს.
ტანს აყოლილი სველი ქვიშა თუ გაგახსენებს უცნაური
წვით,
რომ რა ხანია,
უსისტემოდ მიედინები.

* * *

ის პირველი დაბავება გიჭირს სიკვდილთან.
ის პირველი აღიარება.

მერე,
როგორც თევზი წყალში ხარ.
როგორც ფრთებგაშლილი ჩიტი ჰაერში.
როგორც ყველა გამოვლილი ბანალურობა.
მერე, თვალს უკვე აღარ არიდებ,
თუ რამდენჯერ გადაგირბენს გზაზე მხეცივით.
გაჩერდება. შემოგხედავს.
წამით სახეზე დაგაკვირდება
და თითქოს გეტყვის:
ისევ შევხვდებით, ჩემო ტკბილო ადამიანო.
ის პირველი აღიარება გიჭირს სიკვდილის.
ის პირველი დარწმუნების ხელით შეხება.
უკვე მუჭში რომ გიცემს გული,
ყველა შიში რომ სულერთი ხდება.
დგახარ გზაზე და ჯიუტად,
საკუთარ თავს თვალს არ აშორებ.

* * *

წარმოუდგენელია სიკვდილში გადასვლა,
ისევე, როგორც განცდა –
მდინარეების ლივლივი დაგვიდიოდეს ტანში,
ვიყოთ წყალივით გამჭვირვალე
და ტუჩების მკვეთრი მოძრაობით კი არა –
ტალღების დგაფუნით გადმოვდიოდეთ სხეულებიდან.
წარმოუდგენელია, ზღვის სიმლაშის ხაზი ჰაერთან
იყოს კანქვეშ გატარებული მაღალი დაბვა,
ან ხელი ჩავყოთ ერთმანეთში, როგორც წყალში
და გავიოცოთ:
რა შეუცნობლები ვართ,
მოუხელთებლად უფორმოები,
არც მუჭში ვრჩებით,
არც ხელისგულზე –

მხოლოდ ამღვრევა შეგვიძლია ერთმანეთის,
ისე,
ვითომ გავიარეთ პატარა გუბე.
წარმოუდგენელია,
დავიჯეროთ ხორცის არქონა,
მდინარესავით ვარდნა,
როგორც სიკვდილში შესვლა.

* * *

როგორ იბრძვიან ადამიანები გადარჩენისთვის,
როგორი განწირული სასონარკვეთით,
ჭაში ჩავარდნილივით ასცქერიან ზევით იმედებს,
ოკრობოკროდ შემოსაზღვრულ გამჭვირვალებას.
რა კარგია,
რომ ექო არ აქვს ცისკენ ყურებას,
რა კარგია მოგუგუნე ქვის კედლების ცხადი დუმილი,
როცა ტკაცუნით სკდება გულები,
ცელოფნისგან გაბერილი მრგვალი ბურთები –
თითქოს ვიღაც ზის
და წინ გაფენილ თბილ სხეულებს ორი თითით მშვიდად
მიჰყვება,
როცა შენი ყველა იმედით უკვე წყალში ხარ,
უკვე წყალია შენში.

* * *

იფიქრებ,
ნეტა ტანსაცმელი ყოფილიყავი.
ქურთუკი, მაგალითად.
გადმოგაბრუნებდნენ და გახდებოდი
სათვალიო, დაუფარავი,
ხელისგულზე გაშლილივით უმტკივნეულო.
ასე კი,

ერთი ადამიანი ხარ,
რა სარწმუნო ხარ.
მაინც ვერ შეძლებ, რომ აჩვენო
შენ შიგნით ყველა გაჭრილი და დაკერებული.
ან რა უნდა თქვა,
როგორც ქურთუკს თუ ვერ გადმოგაბრუნებს? –
ვერ დაარწმუნებ,
მკლავს ვერ გაყოფენ.

* * *

შენი ჭირი ყველაზე ტკბილია.
შენი ჭირი ყოველთვის ახლოს გინდა გყავდეს ადამიანს.
უნდა გჭამდეს ყოველ წამს –
გიჭამდეს კანს, ხორცს, ძვლებს.
გავიდეს სისხლში და
დარჩეს სამუდამოდ.
მერე რა, რომ სულ ენდომება,
წავიდეს და მოედოს მთელ ქვეყანას.
ჭირი მაგისია –
უნდა გავრცელდეს ჰაერიდან, წყლიდან, მიწიდან.
შენი მაინც შენთან დარჩება,
ყველაზე ტკბილი,
შენი ყველაზე დიდი სიმშვიდე.

* * *

როგორ უნდა გავძლეთ ადამიანებით,
ავივსოთ თხემამდე და
ერთი მონატრების ადგილიც კი
ალარ შემოგვრჩეს?
როგორ უნდა გავიდეთ ამ სიცოცხლიდან,
რომ არ გვებლაუჭებოდეს უკან არავინ?
და ეს სულისშემხუთველი მიზიდულობა,

მოვიდე და შენს თითებში სახე ჩავმალო,
მაჩუმებდეს იმ ყველაფერზე,
სხვისი სულით გაუმაძღრები
როგორ მივდივართ
და მხოლოდ ხორციით თავებს ვინაყრებთ
და ტუჩის კუთხეს,
სისხლიანი კვალივით რომ შიმშილი რჩება,
ვინმენდთ ხელით ვითომ გულგრილად.
როგორ უნდა გავძღე შენით,
მობებრებამდე რომ აივსოს ჩვენი მსგავსება?
და თუ ვარ სრულად –
ვიყო შენ და ვერასოდეს მოგისაკლისო?

* * *

ისე გაველება იცის სიკვდილმა,
გაორგულება.
გადაუყარე ტკივილები საკენკივით,
მიუგდე საკუთარი ხორცი,
შენი სისხლით სავსე ჯამი დაუდგი რძესავით.
თუ გინდ ძვლები ამოიტეხე
და იტყუე შორიდან –
მოდი, სიკვდილო, მოდი, მოდი,
სულ არ მოგშივდი?!..
ერთს არ მოგხედავს,
ისე იცის ზოგჯერ მანაც გატყულება,
ბებერ ძალღივით საკუთარ თავს დაედევნება
და შენ თითქოს არც კი არსებობ –
გადაგივინყებს.

ნეტაი ერთი,
მისი გასავლელია მისი სიკვდილი –
გაიფიქრებ.

თითი ვისაც გაეჭრა, იმას ეწოდეს,
შენ მხოლოდ ბინტი მიუბენინე –
მისი შესახვევია მისი თითი,
შენ ათივე გილაგია საღად ჯიბეში
და შეგიძლია მხოლოდ უყურო.
არც სიკვდილი გაგრძელდება დაუსრულებლად –
დააკვირდები.
მიხვალ.
ნიკაპს მიტკლით აუხვევ.
სხვა არაფერი.

* * *

გადაშენდნენ სიჩუმეები.
დინობავრებივით გადაშენდნენ.
ბრტყელი, მოუქნელი ფეხების სასაცილო ტყაპუნით.
– რაღა დროს ჩვენი დროა?! –
თქვეს ძალიან ხმადაბლა და
გადაშენდნენ გამოზომილად,
როგორც სიზმრებში წყლის ზედაპირზე სიარულია,
როცა მხოლოდ ძილი გაკავებს ზუსტი სიმძიმით –
წყალს ტერფები ისე შეახო,
რომ მხოლოდ სველი იგრძნო სიგრილე.

გადაშენდნენ სიჩუმეები.
ცხრა მთის იქით ისე უხმოდ გადაიკარგნენ,
როგორც გარეთ შეუმჩნევლად იწყებს თენებას.
როგორც სიტყვა «ნისლს» გამოცვლის სიტყვა «რიჟრაჟი»
და მერე, უცებ, ყველა სიტყვა აყაყანდება.

* * *

რა კარგია და ფუფუნება,
უჩინმაჩინის ქუდი ზოგჯერ რომ დაიხურო.
მთაში ვინც არის – ბარში ეგონო.

ვინც ბარშია, ფიქრობდეს რომ წყალმა წაგიღო.
მკვდარს ეგონო, რომ ცოცხალი ხარ –
ცოცხლებმა კი დაგმარხონ და გამოგიტირონ.
რა კარგია, ზოგჯერ ჩუმად განხორციელდე,
განსხეულდე, მოისროლო ყოფიერება.
იჯდე შენთვის ბნელ ოთახში –
გელიმებოდეს ბარზე,
მთაზე, ზღვებზე, მკვდრებზე
და ცოცხლებზე, ვინც დაგივიწყა.

* * *

მათ რა უნდა ქნან,
ვისაც ღმერთმა გულის მაგიერ ჩაუტოვა მიწის სიმძიმე?
სად მოისროლონ აბეზარი სიყვარული,
როგორ შეეხონ,
თუ როგორც ბავშვი,
მუხლზე პირველი დაცემისას უეცარი სისხლის დანახვით,
ისე შფოთავენ?..
რა უნდა ქნან, მათ,
მარტოსულმა უგულოებმა,
ახმაურებულ ყურებზე თუ
ველარ შველით ხელისგულები?
და ღამღამობით,
თითქოს მენყერი წამოვიდა მკერდიდან ყელში –
სიზმრიდან მიწით ავსებული პირი აღვიძებთ.

* * *

მინდოდა, რომ დღეს მოსულიყო წვიმა.
მერე რა –
წვიმა არ ჩამორეცხავს სოციალურ თემებს.
უფრო სწორედ – არ გამორიცხავს.
და არც ქარი, ან შემოდგომა

და ან ფოთლები.

ყველაფერი შეიძლება იყოს რომანტიკულად,
რატომ უსკდებათ გული წვიმით გაჟღენთილ სილატაკებზე?

რატომ ფიქრობენ,

თუ რამეს დაწერ შეუვალ სახით –
აღმოჩენაა?

ვისაც რა უნდა, ის დაწეროს.

ამით არ ყირავდება არც მაგიდა,

არც დედამინა,

რომელზეც თეთრი ფურცელი დადეს.

ვიღაც თუ თოვლში იგულისხმებს ნამდვილ სიყვარულს,

ვინმესთვის იქნებ წვიმა ნიშნავს უსაშველობას?

ძნელია, ალბათ, თავს დაარქვა დიდი პოეტი

და რაღაც წიგნში დაგანყვილონ პოეტებსებთან –

ალბათ ისევე «გასატეხია»,

როგორც ფოთლის და სოციუმის მდარე რომანი.

არა და, მსურდა ეს მარტივი ბედნიერება –

დილიდან წვიმა ყოფილიყო.

არც პოეზია, არც ნახევრად შეხსნილი კარი –

მხოლოდ და მხოლოდ ნესტიანი გზების სიშორე.

* * *

ან რა აზრი აქვს სეზონების ცვლას,

ხეების კვდომა-გაცოცხლებებს?

დანაკუნებას ქალღაღადების,

კიბებზე ფრთხილად ჩამორბენას –

ვეცემით მაინც და ველარ ვდგებით.

ჰო და მითხარი,

რა აზრი აქვს ამ ჩვენ შეხვედრას?

აღამიანებს რა აზრი აქვთ?!

მათ აღმოჩენებს,

ვითომ პოვნებს და აღმაფრენებს,
მუჭში მომწყვდეულ მწერების ფართხალს,
ან უბადრუკ ვითომ იმედებს,
თქვი, რა აზრი აქვს?

როცა მოვკვდებით მივხვდებით რომ ეს ხელები
გულზე კი არა – დასაკრეფად ვაშლის მოგვაბეს –
ჭიანჭამი და მომჟავო ცდუნებებისთვის.

მზე დილით ადგა. მზემ ქუჩები გამოიარა.
ცხელი და მძიმე, მიწიანი შავი ფეხებით.
თქვი, რა აზრი აქვს სიზმრებიდან გამოფხიზლებას?
მე სულ ვიძინებ.
მე მზის სულელურ მოლოდინზე გამეცინება,
რომ დღემდე სჯერა –
ცაზე მისთვის ამოვა ვინმე.

დურმიშხან ტაბატაძე (შემდგენელი)

თანამედროვე ქართული ხალხური პოეზიის მცირე მოზაიკა

ქართული ფოლკლორით დაინტერესებულმა მკითხველებმა კარგად იციან, თუ რა დიდი ამაგი დასდეს ცნობილმა მწერლებმა და მეცნიერებმა ქართული ხალხური პოეზიისა და პროზის შეკრებას, დამუშავებას და მეცნიერულ შესწავლას. პეტრე უმიკაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო რაზიკაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი სოფელ-სოფელ დადიოდნენ და თავდაუზოგავად იწერდნენ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. მართალია, ძველი დროის ხალხური მთქმელები აღარ არსებობენ, მაგრამ ხშირად გვაზიწყდება, რომ ზეპირსიტყვიერების ტრადიცია არ ჩამქრალა, პირიქით, უფრო გაღრმავდა და გამრავალფეროვნდა. მეტიც, პოსტსაბჭოთა დროში კრეატიულ-ხალხური ცნობიერების გაძლიერებამ დღის წესრიგში დააყენა ხალხური ცნობიერების არტეფაქტების შეკრება, დამუშავება, კლასიფიკაცია და მეცნიერული შესწავლა. ეს საქმე მხოლოდ ახლა იწყება, წინამდებარე პუბლიკაციით კი ჩვენი მოკრძალებული მიზანია მხოლოდ მკითხველის წინაშე ერში გაბნეული ხალხური მარგალიტების რამდენიმე ნიმუშის წარმოჩენა: ეს არის ლექსები და ბალადები, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურ ინტერესებს, მისწრაფებებს, ოცნებებს და სააზროვნო მერიდიანებს ასახავენ. თუ ამ ლექსებს ქართული ხალხური პოეზიის ადრეულ ნიმუშებს შევუდარებთ, დავრწმუნდებით, რომ თანამედროვე ხალხურ პოეზიაში ინტელექტუალური კოეფიციენტი უფრო მაღალია, გართულებულია ლექსის შინაარსობრივი სტრუქტურა, ხალხურ მთქმელთა საინფორმაციო დიაპაზონი კი მართლაც უკიდევანოა, ის არ

იფარგლება რეგიონალურ-ლოკალური სივრცით, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს სოციალური ან პოლიტიკური უღერადობის ტექსტებში. მთქმელთა მოქალაქეობრივი შეგნება და რთულ პოლიტიკურ საკითხებში მათი გარკვეულობა კი მართლაც გასაოცარია, ისევე, როგორც – მნიშვნელოვანსა და არამნიშვნელოვანს, მთავარსა და არამთავარს, არსებითსა და არაარსებითს შორის მათი უტყუარი და ბრძნული არჩევანი. და მაინც, ამ ლექსებში ყველაზე ფასეული ხალხურ მთქმელთა ესთეტიკური ადლო და პოეტური ხმის მომხიბლავი უბრალოებაა.

სასონარკვეთა

ამერიკელი ტელევიზორსკვლავი კიმ კარდაშიანი
სასონარკვეთილია.

100-ზე მეტმა ვარსკვლავმა, რომლებიც მან თავის
ქორწილში დაპატიჟა,
მოსანვევი უკან უარით დაუბრუნა.

მათ შორის დღესასწაულზე წასვლაზე უარი განაცხადა
ლეგენდარულმა ტელენამყვანმა ოპრა უინფრიმ.
საფრანგეთში ჩასვლას არ აპირებს ჯერედ ლეტოც.

მინვევაზე უარი თქვეს ბარაკ და მიშელ ობამებმა,
უილ სმიტმა და მისმა მეუღლემ ჯად პინკეტ-სმიტმა,
ამერიკული Vogue-ის მთავარმა რედაქტორმა ანა ვინტურმა
და მომღერლებმა პრინცმა და რობინ ტიკმა.

თუ რატომ თქვეს უარი ცნობილმა სახეებმა
წლის ყველაზე ხმაურიან მოვლენაზე,
უცნობია.

პატარძლის უმცროსმა ძმამ რობ კარდაშიანმა
უკვე დიდი ხანია განაცხადა,
რომ შესაძლოა დედის მიერ წამოყენებული ულტიმატუმის
გამო
ქორწინების ცერემონიას არ დაესწროს.

დედის მოთხოვნით რობიმ წონაში უნდა დაიკლოს,
რათა დახვეწილი ნათესავების ფონზე
მახინჯი იხვის ჭუკად არ გამოჩნდეს.

შემაშფოთებელი დანაკარგი

ცნობილ მომღერალს, მადონას დიზაინერის მიერ შექმნილი სამი ათასი დოლარის ღირებულების ქვედა საცვალი მოჰარეს.

ინციდენტი ჟურნალ L'Uomo Vogue-სთვის ფოტოების გადაღებისას მოხდა.

მოპარულ ნივთებს შორის ასევე აღმოჩნდა დებორა მარკიტის მაქმანიანი ბიუსტჰალტერი, რომელიც 2500 დოლარი ღირდა და ფოტოსესიისთვის პოპ-მუსიკის დედოფალს ის თავად დიზაინერმა გაუგზავნა.

პოლიციაში განაცხადეს, რომ ჟურნალის თანამშრომელმა დანაკარგი ფოტოსესიის დასრულებისთანავე აღმოაჩინა.

თავად დებორა მარკიტი მომხდარს დასანან შემთხვევითობას უწოდებს და ვარაუდობს, რომ დაკარგულ თეთრეულს მალე იპოვიან.

ცნობილი ფაქტი (ბალადა)

*ქართული მოტივი –
მეცხრე სიმფონია!..
გალაკტიონ ტაბიძე*

ცნობილი ფაქტია, რომ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიაზე

ამჟამად ერთადერთი წარწერა «გოლიათური» არის დარჩენილი.

ასევე ცნობილია, რომ ავტორმა თავდაპირველად სიმფონია ნაპოლეონს მიუძღვნა, შემდეგ კი ეს მიძღვნა გააუქმა.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად გახლავთ: კომპოზიტორმა მეცხრე სიმფონია ქართველ მეფეს, ერეკლე მეორეს მიუძღვნა და მის თავდაპირველ მიძღვნა-წარწერაში მითითებული იყო: «ედღვნება აღმოსავლეთის ნაპოლეონს».

ბეთჰოვენის ეს ნაბიჯი გასაკვირად სულაც არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ დაუმარცხებელი მხედართმთავრის მიმართ

პატივისცემით იყვნენ განწყობილნი როგორც კავკასიის, ასევე აღმოსავლეთის ხალხები.

შემონახულია კიდევ ფრიდრიხ დიდის სიტყვები: ქვეყანაზე ახლა ორი სარდალია: დასავლეთში მე და აღმოსავლეთში ერეკლე მეფეო.

შემონახულია საქართველოში მოღვაწე ფრანცისკელი ბერის

ბონიფაციუს ებერჰარდტის წერილები,

რომელიც მან დიდ კომპოზიტორს
(ბეთჰოვენი და ებერჰარდტი მეგობრები იყვნენ)
გაუგზავნა და საქართველო, ქართველი ხალხის
მდგომარეობა
კიდევ უფრო ახლოს გააცნო:

«ძმაო ლუდვიგ, რომ იცოდე, რა გმირი ხალხია
ქართველები
და როგორ ვაჟკაცურად იტანენ ტანჯვას, რომელიც უფალმა
რუსთა ბატონობის სახით მოუვლინა მათ.
ქართველების ქვეყანა ოდესღაც ჰყვამოდა,
მეფენი მისნი იყვნენ ბრძენნი და ძლევამოსილნი.
უკანასკნელი მათგანი იყო დიდი კახი – ერეკლე მეორე.
...ძალზე გამახარა იმ ამბავმა, რომ ირაკლიზე,
რომელსაც ჩვენმა მეგობარმა მათიამ
«აღმოსავლეთის ნაპოლეონი» უწოდა,
სიმფონიის შექმნა გქონია განზრახული
და კიდევაც შესდგომიხარ მუშაობას...»

მუშაობის დასრულების შემდეგ ბეთჰოვენს მართლაც
წაუწერია სიმფონიისთვის «ედღვნება აღმოსავლეთის
ნაპოლეონს»,
მაგრამ ეს ევროპაში ბევრისთვის გაუგებარი ყოფილა
და «აღმოსავლეთის» ამოუღიათ.

დარჩენილა «ედღვნება ნაპოლეონს»,
რამაც კომპოზიტორი ისე აღაშფოთა,
რომ მიძღვნა საერთოდ გააუქმა
და ნამუშევარს, საბოლოოდ
«გოლიათური» უწოდა.

ნაბიჯები და წიაღსვლები

ახალი ქვედინებები გაჩნდა, რასაკვირველია. როგორც ჩანს, წინასწარი მუშაობა მიმდინარეობს, რომ, თუ საქართველომ მაინც გადადგა ნატოსკენ ნაბიჯი, ამისთვის მზად იყოს რუსეთი – მზად იყოს საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერის თვალსაზრისით.

ყოველ შემთხვევაში მოსახლეობის ერთი ნაწილის მხარდაჭერის თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ეს მუშაობა მიდის.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ყირიმის მოვლენებმა სიტუაცია შეცვალა.

აქედან გამომდინარე, ბევრ ისეთ თემაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომლებზეც აქამდე ან არ ლაპარაკობდნენ, ან თუ ლაპარაკობდნენ, ეს ხაზგასმული არ ყოფილა.

დღეს საზოგადოებისთვის, ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს,

ნაკლებად ცნობილია, რომ უამრავმა ჯგუფმა თუ რეგიონმა გადადგა პოლიტიკური ნაბიჯი –

ზოგი რუსეთთან შეერთებას მოითხოვს, ზოგი პირიქით, მისგან დისტანცირებას.

მაგალითად, დასავლეთ უკრაინაში მცხოვრები რუსები მოითხოვენ რუსეთთან შეერთებას, ყირიმელი თათრები კი, პირიქით, უარს ამბობენ კატეგორიულად, რომ მათ რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იცხოვრონ.

ასე რომ, ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრი წიაღსვლაა
და მათ შორის საქართველოშიც.

სტიმული და ჩემპიონი

(ბალადა)

საქართველოს მაკდონალდსის ქსელმა ევროპის მასშტაბით საუკეთესო შეფასება მიიღო. სპეციალური ჯილდო საქართველოს მაკდონალდს 2012 წლის საუკეთესო მაჩვენებლებისთვის ამ დღეებში გადაეცა და მისი ნახვა რუსთაველზე არსებულ ფილიალში მისულ ყველა მომხმარებელს შეუძლია.

სწრაფი კვების წამყვანი გლობალური ქსელი მაკდონალდსი ასეთ ჯილდოს ყოველწლიურად სხვადასხვა მონაცემის ანალიზის შედეგად აწესებს და საუკეთესო რეზულტატების მქონე მხოლოდ ერთ ქვეყანას გადასცემს.

მაკდონალდსის მენეჯმენტის ინფორმაციით, მკაცრი შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ხარისხი და სერვისი, ფინანსური რეზულტატები, გეგმის შედეგების ანალიზი, საიდუმლო მომხმარებლის ვიზიტების შეფასება და სხვა.

კომპანიის განმარტებით, შეფასებისას ყველაზე მეტი ყურადღება ექცეოდა იმას, რომ მაკდონალდსის პროდუქცია იქმნება უსაფრთხო გარემოში, ყოველგვარი დანამატებისა და ჰორმონების გარეშე, ხოლო საკვები რაციონი გამდიდრებულია სულ უფრო მეტი ხილითა და ბოსტნეულით.

«გვიხარია და გვეამაყება, რომ ევროპაში
საუკეთესო მაჩვენებლები გვაქვს.
პროდუქტი, რომელსაც ჩვენი სტუმრები და
თანამშრომლები
ასე გემრიელად მიირთმევენ, შემოწმების რამდენიმე
ეტაპს
და ხარისხის კონტროლის საფეხურებს გადის.

ინტენსიური კონტროლი ხორციელდება როგორც
პროდუქტებზე,
რომლისგანაც საკვები მზადდება, ასევე უკვე მზა
პროდუქციაზე.
მაგალითად, სანამ თქვენ იყიდით «ბიგმაკს»,
ის შემოწმების 98 საფეხურს გადის.
ხორცი გადის ხარისხის 50-მდე შემოწმებას.

კარტოფილი ფრის მოსამზადებლად
ვიყენებთ საუკეთესო ჯიშების კარტოფილს,
რომლის შესასწავად გამოიყენება
მხოლოდ 100%-იანი მცენარეული ზეთი.

ასე რომ, ვიყენებთ მხოლოდ და მხოლოდ
ნატურალურ და ჯანსაღ პროდუქციას,»
აცხადებენ მაკდონალდსში.

რაც მთავარია, კომპანია ასევე ცდილობს
საკვები კიდევ უფრო ჯანმრთელი გახადოს,
მაგალითად, შეამციროს ცხიმიანობა, მარილიანობა.
ასევე მისი მენიუ გამდიდრებულია
მცენარეული საკვების ფართო არჩევანით,
როგორც უფროსებისთვის, ასევე ბავშვებისთვის.
მაგალითად Happy Meal-ში არის შესაძლებლობა,
მშობელმა აირჩიოს ფრეში, ვაშლი და იოგურტი.

როგორც მენეჯმენტში აცხადებენ,
მიღებული პრესტიჟული ჯილდო არის სტიმული,
რომ მაკდონალდსი კიდევ უფრო განვითარდეს,
საუკეთესო მომსახურება,
ჯანსაღი და უგემრიელესი მენიუ
შესთავაზოს მომხმარებლებს.

გარდა ამისა, გაგრძელდება საქველმოქმედო პროექტები
და განხორციელდება მწვანე ინიციატივები.
მაკდონალდსი არის რესტორნების წამყვანი გლობალური
ქსელი.

მსოფლიოს 119 ქვეყანაში მაკდონალდსის 34,000-ზე მეტი
რესტორანი
ყოველდღიურად დაახლოებით 68,000,000 ადამიანს
ემსახურება.

საქართველოში მაკდონალდსის პირველი რესტორანი
1999 წელს გაიხსნა და დღეს უკვე 6 ფილიალი აქვს –
ოთხი თბილისში, და ერთი ქუთაისსა და ბათუმში.

სადა ქორწილი

ნანუკა ჟორჯოლიანის და ერეკლე კოდუას ქორწილი, რომელიც 5 ოქტომბერსაა დაგეგმილი, ღია ცის ქვეშ გაიმართება.

როგორც ნანუკა ჟორჯოლიანი «VIP პერსონაში» ამბობს, ქორწილი პრესისტოვის დახურული იქნება, რადგან არ უნდა, რომ გაშუქდეს.

«პრესისტოვის დახურული იქნება იმდენად, რამდენადაც არ მინდა ამის გაშუქება. რამდენად გრანდიოზული იქნება, ესეც არ ვიცი.

სიტყვა გრანდიოზული არის ძალიან ისეთი... ვისთვის რა არის გრანდიოზული.

შესაბამისად, მე ვფიქრობ, იქნება ეს ქორწილი ძალიან სადა.

ჩემი დიზაინერი იქნება დათუნა სულიკაშვილი. ეს იქნება ღია ცის ქვეშ.

მე არ ვიქნები გრანდიოზული თეთრი კაბით. ირაკლი იქნება უფრო სამოსელი პირველის ფორმაში. ეს არ იქნება არაფერი ისეთი, რაც არ ყოფილა, მაგრამ ეს იქნება ქორწილი, რომელზეც ბევრს ილაპარაკებენ.

მე მეყოლება ბიჭი მეჯვარეები და ირაკლის ეყოლება გოგო მეჯვარეები. ჯვრისწერაზე მეყოლება გოგო მეჯვარეები, ხელისმონწერაზე მეყოლება ბიჭი მეჯვარეები – დავით კებერაშვილი და პეტრე ცისკარიშვილი», –

ამბობს ნანუკა ჟორჯოლიანი.

აღიარება

1.

ახალ კლიპს ვიღებ და გარეგნობის შეცვლა მჭირდებოდა.
ამავდროულად, თმა ძალიან დაზიანებული მექონდა
და შეჭრა გადავწყვიტე.

2.

სხვათა შორის, საერთოდ არ მინერვიულია.
პირიქით, მინდოდა, რაც შეიძლება მალე მომეშორებინა
გრძელი თმა.
იმდენად იყო დაზიანებული, რომ სხვა გზა არც მექონდა.

3.

ვაღიარებ, როცა გრძელი თმა მექონდა,
განსაკუთრებულად არ ვუვლიდი.
ახლა უკვე ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის,
რომ მისი ხარისხი გავაუმჯობესო.
ვიყენებ სპეციალურ ნიღბებს და თმის მოვლის სხვა
საშუალებებს.

4.

თან, გადავწყვიტე, რომ აღარ შევიღებო,
მანამდე კი თითქმის ყველანაირი ფერი ვცაადე
მყავს არაჩვეულებრივი სტილისტი,
რომელსაც ბოლომდე ვენდობი,
ის ყოველთვის სწორად მირჩევს ვარცხნილობას.

5.

სხვათა შორის, პროექტ «ახალი ხმის» მეორე ტურში
ძალიან ცუდი ვარცხნილობა გამიკეთეს,
საშინლად არ მომეწონა.
ალა პუგაჩოვას ვგავდი,
მაგრამ სხვა გზა არ მექონდა,

ცოტა დრო იყო დარჩენილი
და ასე გავედი სცენაზე.

6.

ძალიან ხშირად არასწორი მაკიაჟი გაუკეთებიათ ჩემთვის.
როცა ტელევიზიაში გადაღებაზე მიდიხარ,
იქ, რა თქმა უნდა, საკუთარ ვიზაჟისტს ვერ წაიყვან.
სხვა გიკეთებს თავისი ხედვით
და ამ დროს შეიძლება უარყოფითი შედეგი მიიღო.

7.

როცა მაკიაჟი არ მომწონებია, მე თვითონ შემისწორებია.
ყოველდღიურ მაკიაჟს თავისუფლად ვიკეთებ.
უკვე ვიცი ფერების სწორად განაწილება.
მგონია, რომ საკმაოდ კარგად გამომდის.

8.

სახლიდან გასვლის წინ დედას ყოველთვის ვეკითხები
რჩევას.

ჩვენი გემოვნება ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს,
მაგრამ ვერც იმას ვიტყვი,
რომ დედა ჩემი თაობის გემოვნებას ვერ იგებს.
უბრალოდ, მას უფრო კლასიკურ სტილში მოვწონვარ.
მე კი ხანდახან თავისუფლად სიარული მინდა.

9.

მამაჩემი არასდროს ერევა ამ საკითხში,
მიიჩნევს, რომ კომპეტენტური არ არის.
ზოგადად, ყველას აზრს ვითვალისწინებ.
ჯერ არავის უთქვამს, რომ რაიმე არ მოსწონებიათ ჩემს
სტილში.
არ ვიცვამ ისე, რომ ვინმესთვის ვულგარული და
მიუღებელი იყოს.

10.

მახსოვს, ბებია კიტრის ნათალს სახეზე იწყობდა ხოლმე.
ბავშვობაში ვერ ვხვდებოდი, ამას რატომ აკეთებდა.
დღეს კი იმდენი საშუალებაა კანის მოსავლელად,
რომ კიტრის ნათალს სახეზე არავინ იღებს.
მეც არასდროს მიცდია. სხვათა შორის,
გენეტიკაში ნაოჭების პრობლემა ნაკლებად გვაქვს.

11.

ხშირად ვამბობ, რომ თითქმის ყველა ერთნაირია.
ინდივიდუალიზმი აკლიათ.
რალაც რომ შემოვა მოდაში, ყველა ერთნაირად იცვამს.
არ მომწონს, როცა პატარა გოგონები
მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით
დადიან და დიდობენ.

შეხსენება

ჰაიდი კლუმი და ვიტო შნაბელი
თავიანთ ურთიერთობას აღარ მალავენ.

წყვილი მექსიკაში ისვენებს,
სადაც გარს უამრავი ფოტოგრაფი ახვევია,
თუმცა, მოდელი და არტ დილერი
ერთმანეთს თამამად ეხვევიან და კოცნიან,
ამასთან კლუმი მზეზე წელსბევით შიშველი ნებივრობს.

ეს 40 წლის ჰაიდისა და 27 წლის ვიტოს
პირველი მოგზაურობა როდია,
ისინი გასულ თვეს პარიზში ერთად შენიშნეს.
შეგახსენებთ, რომ კლუმისა და
დემი მურის ყოფილი საყვარლის რომანის შესახებ
ჭორები თებერვალში გავრცელდა.

მაშინ პრესა მოდელისა და სილის შერიგების თემას
აქტიურად განიხილავდა,
თუმცა, ეს ინფორმაცია მალევე უარყვეს
და ჰაიდი ვიტოსთან ერთად
«Vanity Fair»-ის წვეულებას ესტუმრა.

ბრძოლა ცვალებადი ტენდენციების ეპოქაში

ეს თემა ჩემთვის ყოველთვის აქტუალური იყო.
პირველად 14 წლის ასაკში დავინწყე
სახის კანის დამნამავი საშუალებების გამოყენება.
სხეულის კანისთვის ლოსიონების გამოყენებაც ამ
ასაკიდან დავინწყე.

22 წლიდან პირველი მიმიკური ნაოჭების წინააღმდეგ
დავინწყე ბრძოლა,
რომელიც ღიმილის შედეგად ჩნდება.
ახლა 30 წლის ვხდები და უკვე მკვებავ საცხებსაც ვიყენებ.

მეზოთერაპიას და ბიორევიტალიზაციას აქტიურად
მივმართავ.
მაგრამ ბოტოქსის მიმართ პირადად მე უნდობლად ვარ
განწყობილი,
რადგან ჯერ კიდევ არ არის გარკვეული,
ბოტულინის შხამი რა გავლენას ახდენს ქალზე,
თუნდაც მისი გამოყენებიდან 30 წლის მერე.

როგორც ამბობენ, ორგანიზმიდან გამოიდევნება,
თუმცა უფლებას ვიტოვებ, ამ ინფორმაციას არ
ვენდობოდე.
თან, არ მომწონს, როცა სახის მიმიკა გაშეშებულია.
ამიტომ ამ ეტაპზე ბოტოქსზე არც ვფიქრობ.

ამ ეტაპზე ვფიქრობ, რომ წარბზე პირსინგს არასდროს
გავიკეთებ,
თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ცხვირზე გავიკეთო.

საკუთარი თავი ყოველ წელს უფრო მომწონს, ვიდრე
წარსულში.
აღბათ იმიტომ, რომ იცვლება ტენდენციები,

სტილი და აღარ მოგწონს ის, რაც თუნდაც წინა წელს
გეცვა,

მაგრამ მეშინია იმ დღის, როცა სურათების ალბომს
გადმოვიღებ

და ჩემი თავი ძველ ფოტოებზე უფრო მომეწონება.
მადლობა ღმერთს, ჯერ ეს დრო არ დამდგარა.

ძალიან თვითკრიტიკული ვარ

და ჩემს ანარეკლსაც ყოველთვის ასე ვუყურებ.

რა თქმა უნდა, მეც მაქვს ნევროზული, დეპრესული დღეები
და ასეთ დროს ერთ-ერთი კარგი საშუალება ზოგჯერ
შოპინგია,

ისიც მცირე დობით.

დაშორება და პროფესიონალიზმი

ია უძილაური წლების წინ ნიკა გრიგოლიას მეუღლე გახლდათ.

დაშორების შემდეგ ია პროფესიონალურ ვარჯიშს შეუდგა და მალე პირველი ქართველი ფიტნესმოდელი გახდა.

ია ბოდიბილდინგით არის დაინტერესებული და ცოტა ხნის წინ შეჯიბრებაზეც გამოვიდა, თუმცა კონკურენტი არ ჰყავს და მხოლოდ საჩვენებელი გამოსვლით დაკმაყოფილდა.

რამდენიმე თვის წინ მისი პერსონაჟი «კომედი შოუს» სერიალ «ვნებების ჭუჭრუტანაში» გამოჩნდა.

მისი გმირი მალე აიტაცა საზოგადოებამ და ია შემდეგ სერიებშიც ვიხილეთ.

პანჩიტას როლი მისთვის პირველი არ ყოფილა და როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ამაზე სიძემ, მიშა ანდლულაძემ დაითანხმა.

რამდენიმე კვირის წინ გავიგეთ, რომ ია კონკურენტი არხზე დავით გოგიჩაიშვილის გუნდმა სერიალ «შუა ქალაქში» მიიწვია და ამ ინფორმაციის გადამოწმებაც ვცადეთ,

თუმცა მაშინ იამ გვითხრა, რომ ჯერ მხოლოდ მოლაპარაკების დონეზე იყო საქმე და სერიალში არ გადაუღიათ, თუმცა დაგვპირდა, რომ როცა ეს მოხდებოდა, პირველად «რეიტინგს» მისცემდა კომენტარს.

4. პრობა

ზურაბ გოგიძე

ჭამახანა „მწვანე რაინდი“

ადგილი იცოდა მგზავრმა და კარგა დაქანცულს იმისი უკვე სიახლოვე უხაროდა. იქ, დიდ გზაზე, ვიდრე პატარა უსახელო ქალაქს მიხვალ, ზედ გზის პირზეა ჩამწკრივებული სასაჭმელო ქოხები, სამი თუ ოთხი ცალი გვერდიგვერდ, ღარიბულები, იაფები, დალოცვილები, საგანგებოდ შორეული მგზავრებისთვის. და სადაც დღეზე გზისპირა, იაფ ჭამახანაში შესვლა დაქანცული მგზავრისთვის ხომ მეტი დღესასწაულია, ვიდრე ნამდვილ დღესასწაულზე წმინდა ქალაქშიც ყოფნა და გინდაც იქვე ძღომა საუკეთესო კერძებით.

რაკი ალღო და გუნება იქით უხმობდა, სვლას კიდევ აუჩქარა, რამდენადაც იმისი დაღლილი ოთხფეხი კიდევ სიჩქარეს ახერხებდა. განა მალე იყო, აბა გზაში მალე რა გამოვიდოდა? მაგრამ ბოლოსდაბოლოს გამოხდა საჭირო საათებიც და გამოჩნდა ის წმინდა ქალაქიც ტურტლიანი ქოხმახებისა, ნეტარ-სუფევა ბაღლინჯოიანი მოსვენების, ზეცათა წყალობა ტარაკნიანი ნელ-თბილი ულუფებისა და გულითადი, კაცთმოყვარე სითბო ჭირისა და ათაშანგის დამრიგებელი, აბაზიანი დედაკაცებისა.

რა ხანია, აქეთ აღარა ყოფილა მგზავრი. გაიხარა, რაკი ადგილზე დაუხვდა ყოველივე, ხელუხლებელი, უცვლელი. ცხვირ-პირზე ნეტარება დაეფინა, გადმოხდა, ჯორი «მწვანე რაინდის» წინ, ჩრდილში დააბინავა, თვალის სიხარულით შეავლო იმ «მწვანე რაინდის» უცნაურ აბრას, სად მწვანედ ნახატ, აბჯრით შემოსილ, ძველი ყაიდის მეომარს საკუთარ ხელში უჭირავს მოკვეთილი თავისივე თავი. სწორედ იქ გამოხატული ამ მხიარული ხელოვნების გამო მოგზაურმა ადრევე «ჩემი თავი ვჭამე» შეარქვა ამ სახლს და ახლაც,

ამის გახსენებაზე იყო რომ უნებლიე მხიარულებით ელიმებოდა. ბარგი მეოთახე ყმანვილს მიაბარა, სასაჭმელოში ღვინო და ცხელ-ცხელები შეუკვეთა, ხორციანები, თეთრი პურით, მარილით, მწვანილებით და სამი ცალი ვერცხლის მანეთიანიც დახლში დასტოვა.

იცნობდა მგზავრი «მწვანე რაინდს», «ჩემი თავი ვჭამეს», აქ გრძელი, რბილი, ზურგიანი სკამები ჰქონდათ სასაჭმელო სუფევაში, ამიტომაც აქ მოაშურა დაუფიქრებლად. სიხალვათე იყო შიგნით, კარგი არჩევანი ადგილებისა. მაგიდა ღია ფანჯარასთან აირჩია, სად მცხუნვარე მზე პირდაპირ ვერ მისწვდებოდა და სამაგიეროდ კი დროდადრო გრილი ნიავი შემოჰბერავდა.

მაგრამ სანამ განცხრომას შეუდგებოდა, სანამ რბილ სკამზეც მოეწყობოდა და იმის რბილ ზურგზეც კარგად მიეყრდნობოდა, სანახაობამ მოსტაცა ყურადღება და ცნობისმოყვარეობა. სანახაობა კი სწორედ მის წინ, ღია ფანჯრის მიღმა თამაშობდა. იქ, უზარმაზარ ველზე, სადაც უწინ მხოლოდ სრულ უკაცრიელებაში ეული მსხვილფეხის ცოხნას თუ დაინახავდა მგზავრის თვალი, ახლა ომი გაშლილიყო და გაჩაღებულიყო. აქედან, იქიდან, ბლომად ხალხი მოგროვებულიყო შეტაკებად: ვილაც ერთები და იმათი მეორეები, მოლაშქრეები და დამცველები, გაღმელები, გამოღმელები, სხვანაირები და ერთნაირები, ერთმანეთს დარეოდნენ და ომსა ჩხუბობდნენ. კაფავდნენ, სხეპდნენ ერთმანეთს, ხოცავდნენ, სისხლებსა ღვრიდნენ.

უკვირს, მაგრამ განა მართლა გაუკვირდეს მგზავრს? განა ახლა არის საკვირველი, რომ აკი ცოდვილი დედამიწის ზურგზე, აქა თუ იქ, მუდამ ომი და შფოთი მძვინვარებს? იქნებ შეეშინდეს? მაგრამ რისი ეშინოდეს? «მწვანე რაინდისკენ» სულაც არ მოიწვეს ძალმომრეობა, ჩხუბობენ

თავისთვის, პატიოსნად, შენ ვინ რას გერჩის? ან კიდევ, იქნებ, უბრალოდ, უნდა გაიხაროს, როგორც კაი იღბალი, რომ ამოდენა სანახაობა და სეირი ამის თვალწინ თამაშობს, აი, ასე, მუქთად, იოლად?

ბოლოს მაინც გაუკვირდა, რომ იქ მყოფი თითო-ოროლა მჭამელიდან არავის ეშინოდა იმ ახლომახლო ომის, და რაკი იმათ არ ეშინოდათ, ძალაუნაბურად თვითონაც აღარ ეშინოდა. დაჯდა ფანჯარასთან, მოეწყო მოხერხებულად, უყურა და თვალის არ მოაცილა ბრძოლის ველს. ყურებით კი უყურა, მაგრამ მაშინვე რაღაც არ ეპიტნავა იმ ძალმომრეობაში. ხალისი აკლდა თითქოს, გაქანება, სიცოცხლე.

დაღლილები ჩანდნენ მეომრები, გადაღლილები, ქანცგანწყვეტილები. უხალისოდა სცემდნენ ერთმანეთს. ჩანდა, უკვე კაი ხნის გაჩაღებული ჰქონდათ და ყელამდეც მობეზრებული. განა არა, კიდევ ხოცავდნენ და კიდევ აკვდებოდნენ, მაგრამ ეზარებოდათ. ყოველი მოქნევა დაღლასა და სიზარმაცესთან ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე მეტოქესთან ჭიდილს და ყოველი სიკვდილი უფრო შვება იყო და მოსვენება, ვიდრე სანანებელი მარცხი. აქ სადღა იყო სისხარტე და მოხერხება, ჟინი და შემართება, თამაში, სილაღე, მამაცი გულის სამართლიანი აღტაცება და პატიოსნების რისხვა ვერაგობაზე.

მაშინვე ჭოგრიტი მოისინჯა გულის ჯიბეში – კარგად დააკვირდეს იმ უცნაურ ბრძოლის ველს. წიგნები, განათლება იცოდა მგზავრმა, მეცნიერებადა ცნობდა სხვადასხვა ეშმაკეულ ხელოვნებას და მათ შორის იყო გამაძლიერებელი შუშებით შორს დანახვის ხელოვნებაც. ამიტომაც იყო რომ მოგზაურობაში ყოველთვის თან

დაჰქონდა ჭოგრიტი. ახლაც იმაში შეყო ცალი თვალი და დაუმიზნა სანახაობას.

საოცარი სანახავი კი იყო. საოცარი, რომ მეომრებს სურვილი და მისწრაფება სრულიად არ მოუჩანდათ გამარჯვების, გეგონება ომში კი არა, აუტანელ, გაუსაძლისად მძიმე შრომაში შესულანო, გეგონება მტერს კი არა, გაუვალ ეკალ-ბარდებსა სხეპენო, დედამინას ეზიდებიანო, იმის სიმძიმეს ეხლებიანო ძალ-ღონის ბოლოთბოლო ნარჩენებით. საფრთხესთან მოურიდებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ძალის-ძალით.

უკიდურესი ძალისხმევით სულის სიღრმეებში აელაგმათ თავისუფლების, მოსვენების, გინდაც უზრუნველად განავარდების მწარე წყურვილი, თითქოს ბორკილებში, თითქოს რაღაც დაუძლეველი ძალის შიშით, თუ რაღაც უკიდურესი აუცილებლობით თავებს აიძულებდნენ მექანიზმებიან მოწყობილობად ქცეოდათ ყველა კიდური და სახსარი, გონება კი სულ სხვაგან დაუდიოდათ და ანგარიშმიუცემლად სცემდნენ მეტოქეს.

ძალ-ღონის ნარჩენებით მოიქნევდნენ, სტყორცნიდნენ, გაიბრძოლებდნენ და ერთი წამით სულის მოსათქმელად სიკვდილს მიუშვერდნენ ჯერაც ჯიუტად ცოცხალ თავებს. კვდებოდნენ მალ-მალე, მაგრამ რჩებოდნენ უფრო ხშირად, იმიტომ რომ ყველა დარტყმას აკლდა სიზუსტე. აქა-იქ, ალაღბებდბე ნატყორცნი თუ მიწვდებოდა რომელიმე ცოცხალ თავს და აღარც არავის უხაროდა მიზნის გარტყმა და არც არავინ დარდობდა ამხანაგის დაცემას.

ბნელი აზრები მოუგროვდა მგზავრს, გუნება წაუხდა და დაუმძიმდა. თითქოს უხილავ, მწარე ჭეშმარიტებასა ფიქრობდა სადღაც, გონების მიუწვდომელ სიღრმეში. არ

გაუგია ცხელი საჭმელის მოსვლა თავის მაგიდაზე, აღარ ახსოვდა დაღლა და შიმშილი, თვალი ჭოგრითში ჩარჩენოდა, მისჩერებოდა შემზარავ სანახაობას და თავისივე აზრების ხმამაღლა გაფიქრებისაც ეშინოდა.

და როცა ბოლოსდაბოლოს მაინც გამოიღო თვალი ჭოგრითიდან და მზერით სამიკიტნოს სასაჭმელო სუფევას დაუბრუნდა, თავის მაგიდასთან უცხო რამ არსება დაუხვდა. შეკრთა მოულოდნელობისგან, დააკვირდა თავის ახლო მეზობელს, ხედავს, ამის საჭმელებში ჩაუყვია იმას თავი და ხარბადა სანსლავს, ცოტაღა დარჩენია. ეწყინა მგზავრს.

– შენ ვითომ რა იყო აქა! – შესძახა გაბრაზებით – ვინა ხარ, რად მიჭამ საჭმელებს?

მაგრამ იმას დარდი არა ჰქონდა, ჯამიდან მორიგ ძვალსა წუნნიდა ტკბილის გატაცებით და თავისუფალი ხელით საჭმელებს ღობავდა, ვითომდა დარჩენილი ლუკმა ვინმემ არ მომტაცოსო.

– ვინა ხარ-მეთქი, ავაზაკო! – კიდევ ბრაზობდა მგზავრი – ლუკმას რადა მტაცებ? საზრდოს პირიდან მაცლი!

იმან ისევ არაფერი. მხოლოდ დარჩენილ საჭმელებს მოსდო იგივე თავისუფალი ხელი და მთელი ხორაგი მაგიდის შორეული კუთხისკენ გააჩოჩა ნელ-ნელა.

მაშინ კი თავში ჩააფარა მგზავრმა. მაგრამ იმანაც აქეთ თავში ჩააფარა და ჭამა განაგრძო. თვალებში უყურეს ერთმანეთს, იჩუმეს. მგზავრი ალბათ კიდევ ასტეხდა სამართლიან ალიაქოთს ამ გაუგონარი ყაჩაღობის გამო, მაგრამ იმ უცხოს თვალიერებამ მოსტაცა ყურადღება. უცხოს თავ-პირი ოფლითა ჰქონდა გაპოხილი და საფეთქლებთან ჯერაც სდიოდა ახალი ოფლები. ჩამავალი მზის დაგრძელებული სხივები უკვე ამათ მაგიდას

მოსწვდომოდა და იმის სინათლეში უპრიალებდა უცხოს მზეზე გამომწვარი, წითელი თუ ყავისფერი კანი, რომელიც თავისი ჩაღრმავებებით, საოცრად ზუსტად და მკაფიოდ აჩენდა სახის კუნთების ყოველ მოხაზულობას იმის თავის ქალაზე და იმათ მოძრაობას ყბების გამალეებული მუშაობის კვალად. გეგონებოდა, ადამიანი კი არა, იმისი გაფცქვნილი თავი გიყურებსო, შეშლილი მზერით, დამრგვალებული, ჭრილებიდან ბოლომდე გამოცოცებული მთლიანი თვალებით.

– მე რად მიყურებ? – ამოილაპარაკა მუქთად მჭამელმა მეზობელმა – განა შენს ჭოგრიტში სანახაობა გამოილია?

– ვინა ხარ უცხოვ? რა ყოფამ მოგიყვანა აქამდე? – უკვე თითქოს-და ამხანაგური გრძნობით ცნობისმოყვარეობდა იმისი დამნახველი მგზავრი, აღარ უბრაზდებოდა.

– იქიდან მოვედი, – თავით ფანჯარაზე აჩვენა უცხომ – ომიდან გამოვიპარე.

– ნუთუ იქიდან? – შესძახა მგზავრმა – მითხარი, გეთაყვა, ეგ რა ომია, რისთვის ჩხუბობთ? გული დამეწვა თქვენი წვალების ნახვით.

– ჩვეულებრივი ომია, ამაოებისა. განა შენ არ იცი? ეს ომი ყოველთვისაა და სულ იქნება.

– როგორ გამოვიდა? შენ როგორ შერჩი მაგ უხეირო საქმეს?

– უხეირო თავის წერა ეს არის – უხეირო საქმეში ყოფნა. აი, შენ ხომ შენი ნიჭიერება გაქვს: შიკრიკად დაადიხარ ამოდენა გზებს, პირნათლად მსახურებ და დამსახურებული მოლოდინიცა გაქვს, ერთ მშვენიერ დღეს სხვა შიკრიკები შენ მოგემსახურებიან, შენ კიდევ იჯდები და ფულებს დაითვლი. მე კი არც ნიჭიერება მაქვს და არც

დამსახურებული მოლოდინი, მარტო ყოველდღის
გადარჩენა – ამას ომში ყოფნა. ამიტომაც ვარ იქა.

თავის თავში აღიარებდა მსმენელი მოგზაური, მართაღს
ამბობდა უხეირო მეომარი: ყველას ვერ ექნება ნიჭიერება
და დამსახურებული მოლოდინები, არიან ისინიც, ვინც
მხოლოდ დღევანდელ გადარჩენას იბრძვის ყოველ
ცისმარე და ყოველ დაღამებამდე. და არამარტო
აღიარებდა, ცოტა უფრო მეტსაც ფიქრობდა ამაზე: რომ
ამბავი თითქოს კიდევ სევდიანი ჩანდა, მაგრამ მას
თვითონ დარდი არ უნდა ჰქონოდა, რომ ნიჭიერი და
ხეირიანი მოკვდავის მოწყობილობაში არსად ადგილი არ
არის უხეირო თავებზე დარდისთვის.

და რა გასაკვირია, რომ იმის გასაჭირზე მეტად ახლა ისევ
თავისი შიმშილი ახსოვდა მგზავრს, მაგრამ კიდევ სამი
მანეთი ველარ გაიმეტა, სასაჭმელო სუფევის მსახურს იაფი
ბუბლითების მოტანა უბრძანა მხოლოდ – იოლად გავიდეს
ამ ჯერზე.

ამასობაში კი ფანჯრის მიღმა უკვე ბინდი იწყებოდა.
ბრძოლის ველზე გაფენილი უხეირო მეომრები მალლა
იწყებდნენ ყურებას, ცაში, გეგონება წყალობას თუ
სასწაულს იქიდან მოელიანო. აღარა ჩხუბობდნენ. და
ბოლოს, თითქოს რაღაც უხილავ, საიდუმლო ნიშანზე
იარაღებიც დაჰყარეს და თვითონაც მინდორზე დაეყარნენ.
არა სიკვდილად, არამედ მოსვენებად: დღევანდელი ომი
დამთავრებული იყო, დღეს გადარჩენილებს
ხვალინდელიც გაუთენდებათ, ახალი ომისთვის, ახალი
დღის გადარჩენისთვის. ახლა კი ეყარნენ, გორავდნენ,
გმინავდნენ, არა ჩქარობდნენ თავ-თავიანთ ბანაკებში
წალასლასებას, იქ დაბინავებას ღამისთევად.

– ისევ იქ დაბრუნდები? – მგზავრმა ჰკითხა მეზობლის გაფცქვნილ თავს და ბუბლითს უკბიჩა უხალისოდ.

– ჰო, აბა სად წავალ.

– სადმე რომ სცადო. სხვაგან სადმე.

– როგორ არა, სხვაგანაც მიცდია. სულ ტყუილია. არსად არაფერი გამომივიდა, – ისევ იმ შეშლილი თვალებით იყურებოდა, ხვალინდელი გათენების შიშით შეპყრობილი – ქურდობასლა ვფიქრობ ხოლმე, ომიდან გარეთ რომ დავირჩინო თავი. მაგრამ არც მაგისი ნიჭი მანერია შუბლზე და იღბალზე: უჩუმრად ანაპვნა არ ვიცი, ყოველთვის მამჩნევენ.

– მე კი ოსტატურად ამაყლაპე ჩემი ულუფა და, – საყვედურით შეახსენა მგზავრმა, ისევ წყენა დაეტყო.

– მერე, აკი, შენც დამინახე, ჩამავლე. ეგ რალა ქურდობაა.

უჩუმრადა ჭამა მგზავრმა დარჩენილი უგემური ბუბლითები, უსიამო შიმშილი შიმშილადვე დაურჩა მუცელში. ახლა უკვე ღამე ბნელოდა გარეთ, სიჩუმე იდგა იქ, წელანდელი ომის ადგილას. სამიკიტნოს მსახურს სანათურები დაენტო სასაჭმელო სუფევაში. მუშტარი სხვაც იყო ამ ორს გარდა, თითო-ოროლა, აქა-იქ, მაგიდებთან.

კედელზე ძველებური საათის ისრები წრეებზე დაცოცავდნენ მტანჯველი, გულსაკლავი სინელით, ისინი აწვებოდნენ და ამოძრავებდნენ დროის უსასრულო და ამო მდინარებას. ისხდნენ კიდევ ერთხანს ესენი, უფრო ჩუმდნენ, ვიდრე ერთმანეთს კიდევ რამეს ეტყოდნენ. გაფცქვნილი თავი თუ იტყოდა დროდადრო რამეს.

– იქნებ მართალიცა ხარ, განა არა. იქნებ მართლაც წავიდე ომიდან.

– ჰო, იქნებ, – გულგრილადა კასუხობდა მგზავრი, თავისი საჭმელების გამო ნაწყენი.

– შენთვის ადვილია მგზავრო, მაგრამ რომ იცოდე, მე შენი ადგილიცა ვარ ცოდვილ დედამინაზე, ამ წამყრალ ყოფაში. შენი ყოფისაც ამაოება მე ვარ, თუ დამაკვირდები.

– მე ნუ გამრევ, ძმობილო, სულ არაფერი მიმიძღვის მაგ უღმერთობაში, – ისევ ეწყინა მგზავრს, თან კი გაბრაზებაც ეზარებოდა.

– ეს ომი გარდაუვალია, უსათუოდ საჩხუბარი და აღსასრულებელი. ადგილს მე რომ არ ვავსებდე, შენ იქნებოდი იქ, სხვა იქნებოდა. ჩემზედა დგეხარ რომ იცოდე. განზე ნუ გეგონება შენი თავი საყოველთაო ამაოებიდან.

– არ ვიქნებოდი, – გაღიზიანებითა თქვა მგზავრმა – მე, აკი, ნიჭიერება მაქვს და დამსახურებული მოლოდინი. იქ მე არ ვიქნები არამც და არამც. სხვა არის ჩემი ყოფა და ადათი, ვიდრე შენი.

გაფცქვნილ თავს არ უკამათია ამაზე.

– მაგრამ ხვალ უნდა გათენდეს! – თითქოს გაახსენდა, ისევ აუწერელი შიში ჩაუდგა მრგვალ და შეშლილ თვალებში – ისევ უნდა გათენდეს! შენ თუ იცი, ყველაზე მეტი გამოცანა რა არის? – ლაპარაკობდა და მგზავრს კი თითქოს აღარა ხედავდა, არ ადარდებდა კიდევ უსმენდა თუ არცა, ამბობდა თავისებს – იმ ომში ყველას სიმკვდარე გვენატრება, მკვდარი ამხანაგებისა გვშურს, იმათი უდარდელი მოსვენებისა, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ როცა დაღამდება და ვჩერდებით, მაშინ უსათუოდა ვგრძნობთ, თუ როგორ გვეშინია მოკვდომისა, მაინც გვეშინია, არ გვინდა ხოლმე! გეგონება-და სადმე შვეების

ოდნავ იმედი მაინც ცოცხლობაში გვიკიაფობდეს. ნეტავ, რად არის ასე?

ძილის საათი იყო ნამგზავრი და მშვივრად დარჩენილი მოგზაურისთვის, აღარა სურდა უხეირო მეომრის საზოგადოება და იმისი გამოცანები. წავიდა, შევიდა, ჩაიკეტა სასტუმრო საძინებელში, არც ღამის მშვიდობა დაუბარებია მისთვის.

ცუდ გუნებაზე იყო, კაი ხანს ვერ იძინებდა. ან რა მოასვენებდა, აკი მშვივრად იყო დარჩენილი. კუჭის ძახილი სულს უწუნნიდა, საჭმელები ენატრებოდა და გონებაში იფურთხებოდა და ილანძლებოდა. სიზმარში კი ისევ ის დაინახა, უხეირო მეომარი, ვითომ ახლა ამას ეომებოდა.

იმას ხელში მძიმე კეტი ეჭირა და იმითი უტევდა, ეს კიდევ ხელტიტველი უხვდებოდა, ეცლებოდა და უკან-უკან იწევდა. უხეიროდ უქნევდა თავდამსხმელი, აცდენდა ყოველ ჯერზე, წამდაუნუმ ჩერდებოდა და ოფლებს იწმენდდა, მძიმედ სუნთქავდა და შეშლილ თვალებს აბრიალებდა. მაგრამ მთლად დაუცველი იყო მგზავრი, ეშინოდა, ერთიც ვნახოთ და მიზანში წამოვიდეს ის უხეიროდ მოქნეულიც, მაშინ რა უნდა ქნას? ცივი ოფლი ასხამს საწყალს, გაფაციცებული აკვირდება თავდასხმებს.

და სწორედ როცა ბოლოს და ბოლოს თავში დაეცა მოქნეული კეტის სიმძიმე, აი, მაშინ გაელვინა.

კაი ხანს კიდევ იწრიალა, იფურთხა და როცა როგორც იქნა, ხელმეორედაც დაიოკა თავი და ისევ ჩაძინება დააპირა, ახლა ხმაურმა გააღვიძა. შეძახილი იყო სადღაც, დერეფანში, ჩოჩქოლი, თითქოს სირბილიც, დაბრახუნება, მტვრევა. მგზავრმა ერთიც შეიგინა, ყურებში თითები შეიყო და ბალიშის ქვეშ დაიმალა, მაგრამ მეორე წუთში

გადაიფიქრა დაძინება, ცქვიტა თავ-ფეხი, წამოხტა, ისევ წელანდელი თავისი უხეირო ამხანაგი გაახსენდა, ეს ხმაურიც იმისი ოინი იქნებოდა უსათუოდ. სიბნელეში ხალათი მოიცვა და დერეფანში გავიდა. თითო-ოროლა სულიერი სუფევდა იქ, ზოგს სანათურებიც მოემარჯვებინა და ყველა ერთ მხარეს, სასაჭმელო სუფევისკენ ეშურებოდა სეირის დანახვას.

– რა იყოთ, რა ამბავიათ?

– ქურდი დაუჭერიათ! – ცნობისმოყვარეობდნენ და არკვევდნენ ერთმანეთში.

როგორც გაირკვა, სასაჭმელო სუფევაში გვიანი ღამის ვიღაც მჭამელი მოქალაქისთვის საფულე აუცლია ერთ მანანნალას, მოქალაქეს დაუნახია და ამის ყვირილზე, არიქა, დაიჭითო, სუფევის მსახურს, რაც ხელში შერჩენოდა – ცარიელი ბოთლი დაუდევნებია ფრენით, იმას კეფაში დასწევია, სწორედ როცა, ის იყო, კიბეზე დაშვებად გავარდნილა, წაქცეულა, დაგორებულა და დაღმა უკოტრიალია ლანალუნით.

და მართლაც, თავისი უხეირო მეომარი იცნო მგზავრმა იმ მანანნალაში. კიბის ძირში გულაღმა ეგდო მკვდარი. თავზე წადგომოდნენ გმირი მსახური იმისი მკვლელი და ცნობისმოყვარეები, მობინადრე თუ მჭამელი სტუმრები ჭამახანისა, დანათოდნენ სანათურებით. გულაღმა ეგდო მკვდარი და იცინოდა თავისი გაფცქვნილი თავით, ხმამაღლა, მხიარულად. იცინოდა სულით და გულით გალაღებული, თითქოს თავისუფლებას ზეიმობდა, თითქოს ამათ დასცინოდა, ცოცხლებს. იცინოდა და შეშლილი თვალებით ახლაც მგზავრს არჭობდა ჩაცვიებულ, უმოწყალო მზერას.

მგზავრის ნიჭიერ მოწყობილობაში ხომ ადგილი არ იყო უხეიროს სიბრაულისთვის, სიძულვილისა კი კარგა ყოფილიყო ასეთი ადგილი, და შიშისაც თურმე იქვე. სძულდა და ეშინოდა, ზარავდა იმისი ყურება, ზურგი მალე აქცია, გაეცალა მკვდრის თავხედ მხიარულებას.

შევარდა თავის სასტუმრო საძინებელში, დასტაცა ბარგს, ისევე, საღამურა ჩუსტებით გამოვიდა, დაეშვა, თვალი მოარიდა და ისე გადააბიჯა კიბის ძირში გამოტილ მკვდარს, ჯერაც კარგა მხიარულს. წავიდეს, დასტოვოს «მწვანე რაინდი».

მხოლოდ გარეთ გასულმა ამოიცვა სამგზავრო შარვალი.

– დაწყევლილია ეს ადგილი! – მიწას დააფურთხა.

ახსნა თავისი ჯორი, აჰკიდა ბარგი და უყოყმანოდ დაადგა ღამის სიბნელის გზას – ახლავე წამოხიკოს და აიკრას თვისი ნიჭიერებაც, დამსახურებული მოლოდინიცა და ბარემ უდანაშაულო, უცოდველი თავისი თავიცა და პატიოსანი სახელიც. თითქოს სადმეც გაექცეოდა, თითქოს ცოდვილ დედამიწაზე მარტო ის ადგილი იყო დაწყევლილი, თითქოს არც მთელი დედამიწა და ადამიანეთი.

5. კრიტიკა. ესეისტიკა

ბელა წიფურია

თამაზ ბაძალუას კონტექსტ(ებ)ი (1959-1987)

მიმდინარე წელს, ავსტრიაში, ქართული პოეზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, თამაზ ბაძალუას ლექსების ტევადი კრებული გამოიცემა, რომელიც გერმანულად ცნობილმა გერმანისტმა, პროფესორმა მანანა პაიჭაძემ თარგმნა. გთავაზობთ გამოცემის წინასიტყვას, რომელიც პროფესორ ბელა წიფურიას ეკუთვნის. ჩვენი ჟურნალის გვერდებზე ამ ტექსტის გამოქვეყნება ნაკარნახევია სურვილით – ახალგაზრდა თაობამ უფრო მეტი შეიტყოს იმ სოციალურ-კულტურული კონტექსტის შესახებ, რომელში ცხოვრება და მუშაობაც განსაკუთრებულ სულიერ ძალისხმევას მოითხოვდა დღეს უკვე საკვანძო ფიგურებად მიჩნეული ავტორებისგან.



თამაზ ბაძალუას სახელთან ქართული ლიტერატურაში წარმატებით დაწყებული და ტრაგიკული შემთხვევის ძალით უდროოდ შეწყვეტილი გზა ასოცირდება. საგულისხმოა, რომ საქართველოში დღევანდელი ახალგაზრდა თაობა კითხულობს მის

ლექსებს და, როგორც ჩანს, მათში პოულობს პასუხებს იმ კითხვებზე, რომელთათვისაც ადამიანები, ტრადიციულად, პოეზიას მიმართავენ. თამაზ ბაძალუას ლექსების გასაგებად წარმოსახვაში შეიძლება აღვადგინოთ ის კულტურული და სოციალური კონტექსტი, რომელშიც ახალგაზრდა პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი იწყებს

საკუთარ შემოქმედებით საქმიანობას და აღწევს ნამდვილ პროექტურ სიმაღლეებს.

წარმოვიდგინოთ თამაზ ბაძაღუას მშობლიური ნახუნაო, სამეგრელოში, დასავლეთ საქართველოში. ეს არის უმშვენიერეს ბუნებაში ჩაფლული უძველესი სოფელი; პედაგოგების ინტელიგენტური ოჯახი, ირგვლივ – სტუმართმოყვარეობისა და უფროსუმცროსობის ღირებულებებზე დაფუძნებული და, ამავე დროს, საბჭოთა სინამდვილის ფასადის ქვეშ მოქცეული ტრადიციული სოციუმი; ტრადიციული ღირებულებების სივრცეში ამ ფასადიდან ყოველ წუთს შეიძლება შეიჭრას ფსევდოღირებულებები; მთელ საქართველოში მიღწეულია კეთილდღეობის გარკვეული სტანდარტი, მაგრამ პიროვნული და ეროვნული თავისუფლების შესახებ ღიად ვერ ისაუბრებ და საბჭოთა რეალობის მიერ დადგენილ გეოგრაფიულ, კულტურულ თუ სააზროვნო საზღვრებს ადვილად ვერ გასცდები; სულ ახლოს – მარტვილის მონასტერი, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ქრისტიანული რელიგიური ცენტრი, ახლა კი, ათეისტურ სახელმწიფოში, რელიგიური ფუნქციისგან დაცლილი, მაგრამ პატრიოტული ფუნქციის მატარებელი; სოფელში – კოლმეურნეობა; საბჭოთა მართვის სისტემა – აქ ფიგურირებს მართვის ცენტრები: რაიონული ცენტრი, რომელიც უძველესი ტოპონიმის, «მარტვილის» ნაცვლად იმ დროს ბოლშევიკი გეგეჭკორის სახელს ატარებს, სამეგრელოს ცენტრი – ზუგდიდი, შემდეგ – თბილისი, საბჭოთა საქართველოს ცენტრი, ბოლოს კი – მოსკოვი, მეტროპოლია, საბჭოთა ქვეყნის ცენტრი და მართვის იერარქიის მწვერვალი, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება; და ქართული სკოლა – საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი, რომელშიც, ცხადია,

მოსწავლეებს პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში აწევრიანებენ, მაგრამ თუ მოსწავლე მოინდომებს, ის არ წარმოიდგენს თავს ამ სისტემის წევრად, სამაგიეროდ, შეეძლება შეისწავლოს და შეიყვაროს ქართული ლიტერატურა, რომელიც სათავეს მეხუთე საუკუნეში იღებს. ნიჭიერ ახალგაზრდას, კარგი პედაგოგის ან ოჯახის უფროსი წევრის დახმარებით, და შემდგომ, აუცილებლად, დამოუკიდებლადაც, შეუძლია ისწავლოს ლიტერატურის გაგება. სკოლაში ამ დროს არ ასწავლიან მსოფლიო ლიტერატურას, მაგრამ ბიბლიოთეკებში და ოჯახებში ხელმისაწვდომია ქართულად თარგმნილი მსოფლიო კლასიკა.

1975 წელს თამაზ ბაძალუა ამთავრებს სკოლას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. ეს იმ დროს საქართველოს ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი და ფაკულტეტია. ამ უნივერსიტეტში საბჭოთა იდეოლოგიური საგნების, მაგალითად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის ან ისტორიული მატერიალიზმის სწავლებაც სავალდებულოა, და საგანმანათლებლო პროგრამებიც საბჭოურ ცენტრალურ დონეზეა დამტკიცებული, მაგრამ ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე ერთგვარი პარალელური ნაციონალური რეალობაც არის შექმნილი და ფილოლოგიურ საგნებსაც ყველაზე კვალიფიცირებული სპეციალისტები ასწავლიან. ამ ფაკულტეტის სტუდენტებს საკმაოდ შეკავშირებული სოციუმი აქვთ შექმნილი და ლიტერატურულ აქტივობებს მათ სტუდენტურ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეთმობა. ქართულ უნივერსიტეტში და ქართულ ლიტერატურულ გარემოში ქართული ნაციონალური იდენტიფიკაციის პროცესი უკვე შემდგარია, საბჭოურ სინამდვილესთან ეს

იდენტობა ერთდროულად დაპირისპირებულიც არის და ადაპტირებულიც, თუმცა ამგვარი ჰიბრიდულობის პრობლემური მხარე უფრო მოგვიანებით, პოსტსაბჭოთა პერიოდში იჩენს თავს. ქართულ კულტურულ და სოციოკულტურულ სივრცეში საბჭოთა სინამდვილესთან წინააღმდეგობა ალევორიული და შეფარული ფორმით მიმდინარეობს. ყველა ქართველმა მკითხველმა იცის, რომ ის ქართველია და არა – საბჭოელი. იმ იმედს, რომ საქართველო ადრე თუ გვიან თავისუფალი ქვეყანა იქნება და რუსული სახელმწიფოს საზღვრებისგან თავს დააღწევს, ქართული მწერლობა თანმიმდევრულად უსახავს მათ გულში. აქტიური საზოგადოებრივი და, მით უმეტეს, პარტიული კარიერის გასაკეთებლად, ცხადია, საბჭოური გზების არჩევაა საჭირო. თუმცა საშუალო თაობის ქართველი მწერლების მიერ უკვე გაკვალულია გზა, რომლითაც პიროვნებას შეუძლია წარმართოს შემოქმედებითი თვითგანვითარების ინდივიდუალური პროცესი ისე, რომ არც აშკარა დისიდენტი გახდეს და არც – კონფორმისტი, თან შინაგანი გამიჯვნის აქტს მუდმივად ახორციელებდეს, მისი ტექსტებიც მკითხველამდე აღწევდეს, თავი კი წარმოისახოს არა მარტო საბჭოური რეალობისგან განცალკევებულ, ნაციონალური იდენტობის მატარებელ პიროვნებად, არამედ თანადროული მსოფლიო კულტურის – არასაბჭოური, დასავლური კულტურის ნაწილად. თუმცა ეს უკვე გამორჩეული ინდივიდების არჩევანია, და იმისთვის, რომ ეს შეძლო, ცხადია, საჭიროა ნიჭი, ლიტერატურული ალღო, ეთიკური პოზიცია, თანმიმდევრული პიროვნულ-შემოქმედებითი ზრდის ნება. თამაზ ბაძაღუას ეს გამოსდის.

1980 წელს ის ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადიპლომო ნაშრომს წერს ოთარ ჭილაძის

რომანზე «გზაზე ერთი კაცი მიდიოდა». 1973 წელს გამოცემული ეს რომანი, ამავე ავტორის სხვა რომანებთან და რამდენიმე სხვა ავტორის ტექსტებთან ერთად, დღეს ქმნის თანამედროვე ქართული ლიტერატურის სახეს. ამ მრავალშრიან რომანში უკვე განხორციელებულია ოფიციალური საბჭოური კონტექსტის გარღვევის ამოცანა. აქ დომინირებს ინდივიდუალიზმიც და ქართული ნაციონალური იდენტიფიკაციის სურვილიც, ალეგორიზმი და ანტირუსული განწყობა, არგონავტების არქაული მითით ოპერირება ხდება თანამედროვე ანტიიმპერიული, ნაციონალური შინაარსის ფორმირების მიზნით, ჩანს 1910-1920-იანი წლების ქართული მოდერნიზმის გამოცდილების რეკონსტრუქციის სურვილი, მაგიური რეალიზმისადმი, ლათინური ამერიკის ბუმისადმი და, ზოგადად, დასავლური მწერლობისადმი ინტერესი; ვითარდება იმგვარი თხრობის ტექნიკა, რასაც პოსტმოდერნისტული შეიძლება ვუწოდოთ. ცხადია, ახალგაზრდა სტუდენტი, რომელიც სადიპლომოდ ნაშრომის თემად ამ რომანს ირჩევს, როგორც ჩანს, გაცნობიერებულად, ლოკალური კონტექსტის გარღვევის ამოცანას თავადაც ახორციელებს.

1982 წელს თამაზ ბაძალუა უკვე პირველ ლექსების წიგნს გამოსცემს. მის ლექსებში ძალიან ნათლად იკვეთება ინდივიდუალური სულიერი ძიებები და ყოფიერი სინამდვილიდან გაღწევის მცდელობები. საბჭოთა სისტემასთან ცხადი თუ შეფარული წინააღმდეგობა და ქართული ნაციონალური პრობლემატიკა აქ იმდენად ხშირად როდი გვხვდება, და არც კი ვიცი, მისი ერთი კონკრეტული ლექსის ინტერპრეტაცია ამ კუთხით გვაახლოებს თუ არა პოეტის ავთენტურ ჩანაფიქრთან, მაგრამ თუკი ვიზიარებთ იმ პოზიციას, რომ ტექსტებს დამოუკიდებელი გზა აქვთ, მაშინ მისი ეს ლექსი სწორედ

იმ ქართველებს შეიძლება დავუკავშიროთ, რომელთა სისხლიც საბჭოთა რეჟიმმა დაღვარა, იმ დამოუკიდებელ საქართველოზე, რომლის დროშაც გასაბჭოებისას დაეშვა: «მკვდრები ყვიროდნენ: / აი, ჩვენი სისხლი და ძვლები, / ჩვენი ხელები – ბნელი ნესტით ამწვანებული, / ჩვენი თვალები – ღია და მუნჯი, / მკვდრები ყვიროდნენ, – / აი, ჩვენი დროშების შუქი, / ჩვენი ძახილის თამამი ექო, / დაუძლეველი სისხლის ჩუხჩუხი, / მდინარეებად და ღრუბლებად აღმა წასული, / მკვდრები ყვიროდნენ / მაშინ / როცა ცოცხლები სდუმდნენ» (***) («მკვდრები ყვიროდნენ...»)).

საბჭოთა ნარატივი საქართველოს გასაბჭოებას და შემდგომ საბჭოურ სინამდვილეს საქართველოს დიალექტიკური ისტორიის მწვერვალად, ყველაზე ბედნიერ მოვლენად წარმოგვიდგენს. მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე რაიმე სხვაგვარი ხედვა საქართველოში იმდენად ტაბუდადებული და ცენზურირებულია, რომ მსგავსი სულისკვეთების ლექსები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, 1989-1990-წლებამდე საწერი მაგიდის უჯრაში ჩასადებად კი არ იწერება. მართალია, თამაზ ბაძალუას ეს ლექსი შეიძლება, თუნდაც, შუა საუკუნეების ქართველების მიერ ბრძოლებში დაღვრილ სისხლს დავუკავშიროთ, თუმცა ეს თემა საბჭოთა პერიოდის ქართულ პატრიოტულ პოეზიაში გამუდმებით ფიგურირებს, ისტორიის პათეტიზაცია ნებადართულია. მაშინ რატომღა იტყოდა პოეტი ასე მკაცრად, რომ მკვდრები ყვირიან, ცოცხლები კი სდუმან, რატომ დააკისრებდა ცოცხლებს ამ დუმილზე პასუხისმგებლობას?

1980-იანი წლების დასაწყისშივე თამაზ ბაძალუა იწყებს პიესების წერას, რომლებიც პოპულარობას მალევე იძენს

არაფორმალური და არაპათეტიკური განწყობების წყალობით და საქართველოს თეატრებში იდგმება. ამ პიესების ცენტრშია ადამიანი, რომელიც დემორალიზებულ მატერიალურ სამყაროში უეცრად დასვამს სულიერი რიგის კითხვებს. ლიტერატურისმცოდნე მაია ჯალიაშვილი პიესებში ერთი მხრივ ჩეხოვისეული რეალისტურ-რომანტიკული ტრადიციისა და, მეორე მხრივ, მეოცე საუკუნის აბსურდის დრამის ესთეტიკის კვალს ხედავს.

თამაზ ბაძალუა იწყებს მთარგმნელობით საქმიანობას და ეს მისი, როგორც პოეტის, ფორმირებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში, ადრეული შუა საუკუნეებიდან მომდინარე, ქრისტიანული თუ აღმოსავლური ლიტერატურის თარგმნის ძლიერი ტრადიცია მეცხრამეტე საუკუნეში გერმანელი რომანტიკოსების და შექსპირის თარგმნით, მეოცე საუკუნის 1910-იანი წლებიდან კი ევროპული მოდერნიზმის თარგმნით გრძელდება. თუმცა საბჭოთა პერიოდში მთარგმნელობითი საქმიანობა საბჭოური კულტურული პოლიტიკის ფარგლებში, საბჭოური ცენტრიდან რეგულირდება. რუსულ-საბჭოურ ცენტრში სათარგმნი ტექსტის არჩევა იმთავითვე იდეოლოგიზებული პრინციპით დგინდება და დასავლურ სამყაროსთან პოლიტიკურ მიმართებას ასახავს. დასავლურ ენებზე მე-20 საუკუნემდე შექმნილი მსოფლიო კლასიკისადმი პატივისცემა ცალსახად აღიარებულია და მისი თარგმნა ნებადართულია. მოდერნისტული ტექსტების თარგმნა სრულიად არ არის ნახალისებული. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ავტორი/ტექსტი კი რაიმე ნიშნით მისაღები უნდა იყოს საბჭოთა იდეოლოგიური პოზიციიდან. თუმცა 1970-იან წლებში როგორც რუსულ ცენტრში, ასევე საქართველოში დასავლური ტექსტების თარგმნა შესაძლებელი ხდება იმ

არგუმენტით, რომ რაც მიუღებელი არ არის, ის მისაღებია. მოსკოვში გამომავალი მთარგმნელობითი პროფილის ჟურნალის, «*Иностранная литература*»-ს ანალოგიით თბილისში მთარგმნელობითი კოლეგიის ჟურნალი «საუნჯე» გამოდის. ამ ჟურნალებით მკითხველისთვის თავისუფალი სამყაროს ლიტერატურასთან შეხება და თავისუფალი ესთეტიკური პოზიციის განვითარება ხდება შესაძლებელი.

ნაციონალურ რესპუბლიკებში კი, ნაციონალურ ენაზე მხოლოდ ის ავტორები, ის ტექსტები შეიძლება ითარგმნოს, რომლებიც რუსულად უკვე თარგმნილია. ამ დაუწერელ კანონს ქართველი მთარგმნელები ხანდახან არღვევენ, მაგალითად, ნიკო ყიასაშვილის მიერ თარგმნილი ჯეიმს ჯოისის ულისე ქართულად რუსულზე 10 წლით ადრე, 1983 წელს გამოიცემა წიგნად. ოთარ ნოდია, 1974 წელს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ცენტრის, ანუ მთარგმნელობითი კოლეგიის დამაარსებელი, მაკონტროლებლებს უმტკიცებს, რომ რადგან არ არსებობს წერილობითი კანონი, რომლის თანახმადაც ტექსტი ჯერ რუსულად უნდა იყოს თარგმნილი და მერე ქართულად, მისი მორჩილება სავალდებულო არ არის. კოლეგიაში დასავლური ლიტერატურული ტექსტები სათარგმნელად თავისუფალი ესთეტიკური პოზიციიდან შეირჩევა და მათი თარგმნა-პუბლიკაცია საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდება. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კულტურული გარემო, თავისდაუნებურად, მაღალი კულტურის მხარდამჭერი ხდება და გარკვეული სეგმენტის ელიტარული კულტურული არჩევანის განხორციელებას უწყობს ხელს.

თამაზ ბაძალუა მთარგმნელობით კოლეგიაში იწყებს მუშაობას. ის თარგმნის დედნიდან, იტალიურიდან და გერმანულიდან, თუმცა იმ დროს სავსებით მისაღები იქნებოდა ქართული თარგმანების შესრულება არა ორიგინალის ენიდან, არამედ რუსულიდან. თარგმანებში ნათლად ჩანს მისი ესთეტიკური პოზიცია და კულტურული არჩევანი. თარგმნის ფრანჩესკო პეტრარკას სონეტებს, მიქელანჯელო ბუონაროტის, ჯაკომო ლეოპარდის, ეუჯენიო მონტალეს, სალვადორე კვაზიმოდოს, პიერ პაოლო პაზოლინის, გიომ აპოლინერის, რაინერ მარია რილკეს ლექსებს. ქართველი პოეტის მაგალითზეც სრულიად ცალსახაა, თუ როგორ ეხმარება დიდი პოეტების თარგმნის პრაქტიკა მას საკუთარი ორიგინალური შემოქმედებითი სახის შექმნაში; ასევე ჩანს, თუ როგორ ეხმარება დასავლური ლიტერატურის თარგმნა ქართველ პოეტს, თავი წარმოიდგინოს მსოფლიო ლიტერატურული კონტექსტის ნაწილად.

გასაოცარია არა მხოლოდ ახალგაზრდა პოეტის, დრამატურგის და მთარგმნელის ნაყოფიერება და ოსტატობა, არამედ მისი მყარი ესთეტიკური პოზიცია, პიროვნული და კულტურული არჩევანის თავისუფლება, საბჭოურ კონტექსტთან, ან ქართულ რეალისტურ კულტურულ კონტექსტთან დაპირისპირების თანმიმდევრულობა – არა ცხადი ამბოხის, არამედ მშვიდი და პრინციპული შინაგანი წინააღმდეგობის სახელით. ვისაც ამ კონტექსტთან რაიმე შეხება ჰქონია, იცის ისიც, რომ მსგავსი წინააღმდეგობის გარეშე ამგვარი პოეტური პროდუქცია არ იქმნება. 1980-იან წლებში ბუნებრივი ჩანს, რომ ეთიკური პრინციპების მქონე ახალგაზრდა პოეტი არ დაემორჩილება საბჭოთა კონტექსტს – იმ დროისთვის საბჭოური ტექსტები მხოლოდ გარკვეული კარიერული და

მატერიალური ინტერესით თუ იქმნება. მაგრამ ამ დროის საქართველოში უფრო მეტი შინაგანი ნებისა და კულტურული პოზიციის გამოვლენას გულისხმობს ის, რომ პოეტი არ ექცევა არც დომინანტური რეალისტურ-პატრიოტული, კონვენციური პოეტური ტენდენციის გავლენის ქვეშ. მსგავსი პოეტური ტენდენცია ქართველი მოდერნისტების თაობამ ჯერ კიდევ 1930-იან წლების დამდეგს განავითარა, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ ოფიციალურად აკრძალა მოდერნისტული დაჯგუფებები და ესთეტიკური ინტერესები; ამ გზით ეს თაობა აგრესიულ სოცრეალისტურ ესთეტიკას დაუპირისპირდა. დაპირისპირება მოხდა მიმიკრიული სახით: საბჭოურის ნაცვლად, აქტუალური ნაციონალური შინაარსის მოთავსებით რეალისტური მეტრული ლექსის ფორმაში. დესტალინიზაციისას, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, პატრიოტულ-რეალისტური ტენდენცია კვლავ ასრულებს თავის ნაციონალურ ფუნქციას, თუმცა თანდათანობით ის ხდება ნორმა და, საბოლოოდ, კლიშე, რომელიც უმრავლესობისთვის არის გასაგები, მისაღები, ხოლო ამ ნორმის დარღვევა აღიქმება უცნაურობად. პოეტური ტექსტის ორგანიზების არჩევანი ამ ესთეტიკური კონფლიქტის ყველაზე აშკარა ნიშანია – მეტრული, კონვენციური ლექსით რეალისტურ-პატრიოტული ტრადიციული პოეზია იქმნება, ვერლიბრის, თავისუფალი ლექსის არჩევა კი სტანდარტისა და ტრადიციის ფარგლებიდან გასვლას და ალტერნატიული კულტურული პოზიციის გამოხატვას ნიშნავს. მართალია 1970-იან წლებში ბესიკ ხარანაულისა და ლია სტურუას მიერ თავისუფალი ლექსი და ინდივიდუალისტური პოეზია უკვე შემოტანილი იქნა დომინანტური ნაციონალური კულტურის არეალშიც, მაგრამ 1980-იანი წლების დასაწყისშიც ვერლიბრით წერას მაინც პროტესტად აღიქვამს არა მხოლოდ საბჭოური

ოფიციალური კულტურის მაკონტროლებელი მხარე, არამედ – ნაციონალური კულტურის ავტორიტეტული წარმომადგენლებიც და სოციუმიც. თამაზ ბაძაღუა წერს თავისუფალ და მეტრულ ლექსებსაც, და ამ ლექსებს წერს შინაგანი თავისუფლების სახელით. მისი მეგობარი, ლიტერატურისმცოდნე ვანო ამირხანაშვილი იხსენებს მის წინააღმდეგ მეტრულ გამოსვლებს საქართველოს მწერალთა კავშირშიც – საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1932 წელს დაარსებულ ერთადერთ ლეგალურ მწერალთა ორგანიზაციაში, სადაც გვერდიგვერდ აღმოჩნდა ყველა ქართველი მწერალი, და რომელსაც საბჭოური დრამატული ისტორიებიც ახსოვს.

თამაზ ბაძაღუას ლირიკული ტექსტები მართლაც არის თანმიმდევრული წინააღმდეგობა – არა მხოლოდ თავისუფალი ლექსის ფორმალური მახასიათებლების მხრივ, არამედ იმ შინაგანი საქმიანობის მხრივ, რასაც პოეტი ამ ლექსების მეშვეობით ეწევა. ეს ნამდვილად არის სულიერი საქმიანობა, დაპირისპირებული ნებისმიერ კოლექტიურ გარემოსთან, მატერიალისტური ღირებულებების მატარებელ ნებისმიერ სოციუმთან და ნებისმიერ რეჟიმთან. თამაზ ბაძაღუას ლექსები წმინდა პოეზიის ნიმუშებია. პოეტი თავის ლექსებში სვამს იმგვარ ეგზისტენციალურ კითხვებს, რომლებიც ქართველ მოდერნისტებს 1930-იან წლებში სისხლის ფასად დაუჭდათ და რომელთა დასმაც ქართულ პოეზიაში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც აკრძალულია. თუმცა 1980-იან წლებში, როცა აგრესია შენელებული და შეფარულია, ამ კითხვებს უკვე ეწინააღმდეგება არა უშუალოდ საბჭოური ნარატივი, არამედ – სწორედ რეალისტური კულტურისა და მატერიალისტური სოციუმის კონტექსტი. თამაზ ბაძაღუასთან ის აღინერება, როგორც: «ფაფუკი და მეტრული

წესრიგი, / რომელიც ცდილობს შეგინარჩუნოს / და შენს ნაბიჯებს ისაკუთრებს, ხარბად ისრუტავს» (***(«სანამ ჩამრთველი გაიჩხაკუნებს...»)). პოეტი აქვე ამბობს, რომ ამგვარ წესრიგს შეუძლია «აგამღვრიოს». ამიტომ მისი ლექსები გადარჩენაზეა: «თუ მოგვისწრო თოვლმა, მე ვიტყვი, / რომ გადარჩენა არასოდეს არ არის გვიან, რადგანაც როცა ვამბობ «თოვლი» – / მე ვგულისხმობ სიყვარულს» (***(«ქარით გიყურებ...»)). მატერიალური გარემოდან, «ოთხი კედლიდან» ფანჯარა რომ მაინც «ცაში გადის», პოეტმა იცის, და იცის ისიც, რომ გასასვლელის საპოვნელად უნდა ისწავლოს «სურვილებთან დამშვიდობება» (***(«ჩავძახი ჩემს თავს...»)). ზოგჯერ ყოფიერი გარემო და სულიერი ძიების გამომხატველი ტრადიციული მეტაფორები მის ლექსში ისევე კონტრასტულად თანაარსებობს, როგორც თანაარსებობენ ისინი ადამიანის ცხოვრებაში: «ჩვენ მივდივართ ვიწრო აღმართით. / რაღაც დიდზე ფიქრს გვაჩვენებს ნისლი»; მართალია, ეს ჩვეულებრივი პიკნიკია, და «ხეებქვეშ ყრია დამტვრეული ბოთლები, ძეხვის ნაჭრები», მაგრამ ნისლი მისტიურ გასასვლელს აჩენს, ის «გვაბრუნებს დაკარგულისკენ», «რაღაც სიღრმეში გვახედებს ნისლი»; ყოფიდან გამოსვლაც ბიბლიური გზაა: «ვინ გამოგვიყვანს ეგვიპტიდან»; და წყაროც სახარებისეული სიმბოლო ხდება: «სად არის წყარო, გეკითხები, სად არის წყარო?» (***(«ჩვენ მივდივართ ვიწრო აღმართით...»)).

თამაზ ბაძალუა პოეტურ ტექსტებში აღწევს განზოგადების იმგვარ ხარისხს, როცა ინდივიდის მიერ დახშული სივრციდან თავის დაღწევა და გადარჩენა არ შეეხება რომელიმე ერთ, ლოკალურ კონტექსტს – აქ უკვე საუბარია ნებისმიერი მატერიალური კონტექსტიდან უზოგადეს სულიერ სივრცეში გასვლის მცდელობებზე.

რასაკვირველია, პოეტის პირად გამოცდილებაში შემოსულ მატერიალურ კონტექსტს უფრო მეტი სისასტიკე უნახავს, კიდევ უფრო ძალადობრივი წარსული გამოუვლია, ახლა კი კიდევ უფრო გაყალბებულია, მაგრამ ვინ გაზომავს და შეადარებს ერთმანეთს პოეტების გარემოთა სინამდვილეს, მის სირთულეს?

შესაძლოა, ერთმანეთს ჰგავს პოეტების მიერ განცდილი ყოფიერი ტკივილი, მაგრამ საკუთარი მატერიალური რეალობიდან გასასვლელის ძიებას, როგორც ჩანს, პოეტი იქ, იმ ტოპოსში მიჰყავს, რომელსაც მისი ნაციონალური და კულტურული ტრადიცია დაახვედრებს. თამაზ ბაძალუასთვის ეს სწორედ მის მშობლიურ კუთხეში მდგარი მარტვილის მონასტერია. აქ ის იმ ადამიანების, იმ ბერების ზედროულ სულიერ გამოცდილებას შეიგრძნობს, რომლებიც სწორედ აქ ლოცულობდნენ: «სჯეროდათ იმათ, რომ განუწყვეტლივ / საკუთარ თავის ირგვლივ ტრიალი / იმ სპირალის ხვეულებია, / რომლის ბოლო ღვთის უძლეველ შუქში შეგვიყვანს» (*მარტვილის მონასტერი*). მართალია, ახლა აქ პოეტი მხოლოდ სიცარიელეს, სითეთრეს ხედავს და წმინდა მამები იქ არასოდეს უნახავს, თუმცა «მათი წმინდა ლიტურგიები» მაინც ახსენდება და ეს გახსენების პლატონისეულ აქტს მოგვაგონებს. ქართულ პოეზიაში მსგავსი განცდა ანა კალანდაძესთან გაჟღერდა. არც ამ პოეტი ქალის ლექსები იყო თანხმობაში საბჭოთა სინამდვილესთან, მაგრამ ტექსტის პოეტური ჰარმონიის მიღმა მისი რეალური შინაარსი ხშირად აღუქმელი რჩებოდა: ლექსი «ფიტარეთში» (1961) საბჭოთა დროს დაცარიელებულ ძველ ტაძარს გვიხატავს: ღვთის ტაძარში ბელურები ისადგურებენ და წმინდა სერობას მუდამ ესწრებიან; როცა მხრჩოლავი საცეცხლური მოაქვს ანგელოზს, ბელურები ჟივჟივს წყვეტენ. მისტიურ დონეზე

გრძელდება ის, რაც მატერიალურ დონეზე შეწყვეტილია. თამაზ ბაძაღუას ლექსშიც, მართალია, მარტვილის მონასტრის მატერიალური სივრცე დააცარიელა მატერიალურმა დრომ, მაგრამ სულიერ დრო-სივრცეში მაინც ცოცხალია აქ გადახდილი ლიტურგიების ხსოვნა, და ეს, ტრადიციის და მემკვიდრეობის ძალით, პოეტს მაინც დაანახებს ზედროულ ღვთიურ შუქს. თამაზ ბაძაღუას ამ ლექსიდან მართლაც ჩანს, თუ რას ნიშნავს პიროვნებისთვის საკუთარი ნაციონალური ტრადიცია, რომელსაც ქმნიან სულიერი განზომილების განჭვრეტის მცდელობისას საკუთარი წინაპრები.

მაგრამ პოეტის მიერ 1986 წელს იტალიაში მოგზაურობისას დაწერილი ლექსები – *მოსე; ტრევის შადრევანი; ვენეცია. სან მარკოს მოედანი; ვერონა. ჯულიეტას აივანი; ფლორენცია, განთიადი* – დაგვანახებს, რომ არსებობს საკაცობრიო გამოცდილება და ტოპოსები, რომლებიც კულტურასთან თანაზიარობის ძალით ინდივიდს უხსნის ზედროულობასთან შეხების შესაძლებლობებს და ის ამ კონკრეტული კულტურის მემკვიდრეც ხდება. მარტვილის მონასტერი და ფლორენციის ტაძარი თამაზ ბაძაღუას ლექსების სივრცეში ერთიანდება სწორედ სულიერ განზომილებაში კულტურათა ერთიანობის ლოგიკით. ამავე დროს, ეს ერთიანობა ზოგადქრისტიანულ კონტექსტში მოგვაქცევს და ამ კონტექსტისადმი საქართველოს კუთვნილებას კიდევ ერთხელ ცხადყოფს.

თამაზ ბაძაღუას ლექსები პიროვნების შინაგანი საქმიანობის, სამყაროსთან გრძნობისმიერი დამოკიდებულების, ღირებულებითი თვითგამორკვევის ამსახველი ლექსებია. რელიგიურ განზომილებას ეს ლექსები იძენს სწორედ იმდენად, რამდენადაც პოეტში ან მის გარემომცველ კულტურაში ცოცხლობს ხსოვნა

სულიერ-სარწმუნოებრივი გზისა, რომელიც გადაკეტილია, ან მიტოვებულია, ან აღსადგენია და რომლითაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია სულიერი ძიების პროცესს განსაზღვრავდა. ლექსი *აღსარება ქრისტეს ჯვარცმასთან* გვიჩვენებს, თუ როგორია მაძიებელი პოეტის განცდა მაშინ, როცა ის სიშორეს გრძნობს: «შენმა სიშორემ / ყველა საზღვარი და ნაპირი ჩამომიქცია / და კედლებიც ვერ აკავებენ / ჩემს მბურღავს მზერას, / რომელიც აალებული სულიდან იწყება» (*აღსარება ქრისტეს ჯვარცმასთან*).

მოხდა ისე, რომ ამ ლექსების დაწერიდან, საბჭოური იდეოლოგიური საზღვრების მოშლის შემდეგ, რამდენიმე წელიწადში, ქართულ პოეზიაში და მთელ საზოგადოებაში დაბრუნდა რელიგიური ნარატივი. თუმცა ეს მოხდა, როგორც სულ უფრო საგრძნობი ხდება, შინაგანი ჩაღრმავების და სულიერი აქტივობის გარეშე. ინდივიდუალურ ან კოლექტიურ დონეზე ბევრს როდი ჰქონდა გავლილი იმგვარი შინაგანი გზა, როგორიც თამაზ ბაძაღუას ლექსებშია ნაჩვენები.

თამაზ ბაძაღუას ტრაგიკული სიკვდილი მისი ლექსების მკითხველებს უბიძგებს, ეძიონ ლექსებში გაცხადებული წინასწარი განცდა. 1987 წელს 28 წლის პოეტი მეუღლესთან და მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად დაიღუპა. მათი ავტომობილი მდინარეში გადავარდა. ცხადია, სიკვდილ-სიცოცხლეზე, ან წყლის სტიქიაზე პოეტები, საზოგადოდ, წერენ. მაგრამ მსგავსი ლექსები სიტყვის, აზროვნების, ემოციების, სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობის, სიკვდილ-სიცოცხლის საზღვრის შესახებ კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს: «და შენი გრილი მუხლების ქვემოთ / განწირული წყლები ტირიან, / წყლები, რომლებმაც ერთმანეთში ვერ ჩაიძინეს» (*საღამოს ღოცვა*).

მაკო ჯანჯიბუხაშვილი – უმბერტო ეკოს უკანასკნელი გზავნილი

ვისაც უმბერტო ეკოს მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტები წაუკითხავს, იცის, რომ მისი ნაწერების ერთ-ერთი ღირსება მისი ინფორმატიულობაა ანუ ცოდნის მოწოდების პირდაპირი და იოლი გზა – მისი გაცნობის შემდეგ მდიდრდება მკითხველის არა მხოლოდ წარმოსახვითი სამყარო, არამედ რეალური, ისტორიული ფაქტების არსენალიც. ცნობილია მისი ენციკლოპედიური განათლება, სრულიად განსაკუთრებული და ფენომენალური მეხსიერება, რომლის წყალობითაც ის იყო რეალური ისტორიების ცოდნის ნამდვილი საუნჯე. მართალია, ჟანრის კანონი (პოსტმოდერნიზმს ვგულისხმობ) იმის უფლებასაც აძლევდა, რომ ფაქტები და წარმოსახვები სურვილის შესაბამისად აერდაერია ერთმანეთში, მაგრამ, ამის მიუხედავად, ე.წ. რეალური ისტორიები თავის მსუყე დოზას მაინც ინარჩუნებენ.

«საცდელ ნომერში» ეს ისტორიები მუსოლინის უკანასკნელ დღეებს და მის დახვრეტას ეხება, რასაც რომანის პერსონაჟი (რომანო ბრაგადოჩო) სხვადასხვა რეალური ფაქტებით (შესაძლოა, მისტიფიკაციებითაც) ავსებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ეპიზოდები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მოცემულ ტექსტში. ეს ამბები საინტერესოა, არა მხოლოდ როგორც კერძო შემთხვევა – ერთ-ერთი დიქტატორის მარცხის შემდგომი ისტორია – ასევე, როგორც ზოგადი სქემა, რომელიც უცნაური დამთხვევებით შეიძლება განმეორდეს სრულიად სხვა დროსა და სრულიად სხვა მმართველის ბედისწერაში.



დამარცხებული დუჩეს
სიკვდილისწინა თუ
დახვრეტისშემდგომი
«ცხოვრება» საინტერესო და
ყველაზე მსხვილი ამბავია ეკოს
უკანასკნელ რომანში, – როგორ
რჩება თითქმის სრულიად
მარტო დიქტატორი, ვინც ცოტა
ხნის წინ ქვეყანას
აზანზარებდა, როგორ
ცდილობს სამშვიდობოს
გასვლას, მაგრამ ყველა გზა
მოჭრილი აქვს, მხოლოდ
საყვარელი ქალი ეწვევა
დახვრეტის წინ, რომელსაც

მასთან ერთად ხვრეტენ. თუმცა, როგორც ეკოს პერსონაჟი
ირწმუნება, მუსოლინი იქ არ დაუხვრეტიათ, ეს მხოლოდ
მისი ორეული იყო, დიქტატორმა კი არგენტინას შეაფარა
თავი და კარგა დიდხანსაც იცოცხლა. ძნელი სათქმელია,
რა არის ამ მონათხრობში ფაქტი და რა – ფიქცია, თუმცა
ამბავი საინტერესოა და რამდენადმე დამაჯერებელიც.

ძალზე შთამბეჭდავი და საყურადღებოა დამარცხებული
დიქტატორის «პოლიტიკურ ფასზე» მსჯელობა
გამათავისუფლებელი ძალის კომიტეტში. დუჩე მათ
ხელშია და შეუძლიათ, ისე გამოიყენონ, როგორც
დასჭირდებათ. კომიტეტის ერთ-ერთი წევრი მიიჩნევს, რომ
დუჩე იქვე უნდა გაეფარჩაკებინათ, სასამართლო
პროცესისა და ბრტყელ-ბრტყელი ისტორიული ფრაზების
გარეშე, კომიტეტის წევრთა უმეტესობა კი გრძნობდა, რომ
ქვეყანას სასწრაფოდ სჭირდებოდა სიმბოლო,
კონკრეტული სიმბოლო, რათა ერწმუნა, რომ ოცნლეული

დასრულდა: დუჩეს გვამი. გარდა ამისა, მარტო ის კი არ აშინებდათ, რომ დუჩეს ბედს მოკავშირეები გადაწყვეტდნენ, არამედ ისიც, რომ თუ არ ეცოდინებოდათ, საბოლოოდ რა ბედი ეწია, მისი უხორცო, მაგრამ ზორბა ხატი სამუდამოდ ცოცხალი დარჩებოდა, ფრიდრიხ ბარბაროსას მსგავსად, რომელიც, გამოქვაბულში შემწყვდეული, წარსულის დასაბრუნებლად ნაირგვარ ფანტაზიას დღემდე აღვიძებს». ამ მოტივით გადაწყვეტენ დიქტატორის დახვრეტას და შეასრულებენ კიდევ, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ჟურნალისტი ბრაგადოჩო ეჭვობს, რომ ლორეტოს მოედანზე მუსოლინის ნაცვლად მისი ორეული დახვრიტეს.

მაგრამ ეკოს უკანასკნელი რომანი მუსოლინის არ ეძღვნება, ის მხოლოდ ამბის ერთ-ერთი პერსონაჟია, რომანის ერთ-ერთი გმირის ჟურნალისტური გამოძიების ობიექტი. თუმცა, ამ წიგნის მთავარი იდეა თანამედროვე ადამიანის სახიფათო ყოფაა, მისი მუდმივი შიში და ზაფრა, რომ ყველგან მიაგნებენ, მიწიდან ამოთხრიან და თუ დასჭირდათ, დღისით-მზისით ქუჩაშიც გაუსწორდებიან. რომანი, ძირითადად, თანამედროვე ცივილიზირებული ადამიანის დაუცველობაზე, მის უსუსურობაზე, ე.წ. სპეცსამსახურების ყოვლისშემძლეობაზე და მათგან გაქცევის სურვილზეც არის.

სათაური – «საცდელი ნომერი» ანუ იგივე «ნულოვანი ნომერი» (Numero Zero) მიგვანიშნებს პრესის ისტორიაში ცნობილ პრეცედენტს ე.წ. ნულოვანი ნომრის ანუ რომელიმე ცნობადი სახის დასაჟანტაჟებლად შექმნილ საგაზეთო ნომრებზე, რომელიც არასოდეს გამოვა, მაგრამ თავის «მისიას» შეასრულებს – სამიზნე ობიექტისგან მიიღოს აქტივები, რომელთაც მხოლოდ ასეთი შანტაჟით თუ ჩაიგდებს ხელში. წიგნიც ამგვარი გაზეთის რედაქციის

თანამშრომელთა ცხოვრებას, მათ განცდებს და ვნებებს ეხება, რა თქმა უნდა, მრავალ საგულისხმო ისტორიასთან ერთად. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ადამიანთა ყოფა ისეთივე ნაცრისფერი და უშინაარსოა, როგორც ის საქმე, რასაც ემსახურებიან. გაზეთის ყველა თანამშრომელი გაჭირვებული, რედაქტორის ხუშტურზე დამოკიდებული და დამამცირებლად უაზრო შრომის მსხვერპლია. სულ ერთია, ვის რისი ნიჭი აქვს, ბევრი აქვს წაკითხული თუ – ცოტა, მთავარია, საცდელი ნომრისთვის საჭირო მასალები დააგროვოს. ასე ხვდებიან ერთმანეთს მთავარი გმირი, 50 წლის კაცი – გვარად კოლონა და ახალგაზრდა, 30 წლის მაია ფრებია, ამავე გაზეთის თანამშრომელი. როგორც თავადვე აღნიშნავენ, ისინი არიან ორი ხელმოცარული ადამიანი, რომელთაც ერთმანეთი იპოვეს და თავიანთი მონოტონური, არაფრისმთქმელი სიცოცხლე ერთმანეთით შეივსეს. თუმცა, ე.წ. «საცდელი ნომრის» საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს, რაკი დუჩეს სიკვდილის გარემოებების გამომძიებელი ბრაგადოჩო ქუჩაში, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. ამ მკვლელობამ ყირაზე დააყენა გაზეთის საქმე და, რომ არა მაია ფრებია უშიშარი და შემტევი ხასიათი, ვინ იცის, შინიდან გარეთ ველარასოდეს გამოსულიყო დევნის მანიით დამფრთხალი დოქტორი კოლონა.

ეკოს ამ რომანში იმდენად განზოგადებულია პრესის ზოგადი ტენდენციები, რომ ნებისმიერ მკითხველს ეგონება, მისი ქვეყნის ამბებზე წერს, – ზუსტად იგივე პრობლემები, იგივე მიდგომები, იგივე სცენარები. რომანის პერსონაჟი ამბობს: «მამაჩემმა მიმაჩვია, რომ ახალი ამბები ბაჭაღლო ოქროდ არ მივიღო. გაზეთები ცრუობენ, ისტორიკოსები ცრუობენ, დღევანდელი ტელევიზია ცრუობს... ამერიკელები ნამდვილად იყვნენ მთვარეზე?»

შეუძლებელი როდია, ყველაფერი სტუდიაში მოეწყობოთ». მედიისადმი უნდობლობას თავისი რეალური საფუძველი აქვს, მას შეუძლია თავისი შესაძლებლობების ბოროტად გამოყენება – თვით ყველაზე ნაღდი ფაქტის იმგვარი დამახინჯება, ანდა, არარსებული ამბის ისეთი დამაჯერებლობით გადმოცემა, რომ ეჭვი ვერავინ შეიტანოს.

ანდა, ეს ტენდენცია – «ამბები კი არ ქმნის გაზეთს, არამედ, გაზეთი ქმნის ამბებს... ..ამბებს ჩვენ ვქმნით და უნდა ვიცოდეთ, როგორ ამოვაკითხვინოთ იგი პნკარებს შორის».

საინტერესო და კომიკური დიალოგი იმართება გაზეთის რედაქტორსა (ბატონ სიმეის) და თანამშრომელს, გვარად კამბრიას შორის, როდესაც ისინი მსჯელობენ, რა თემები შეარჩიონ გაზეთისთვის:

«თუ გავრცელდება აზრი, რომ გარემოს დაბინძურება არამართო ვეშაპს უქმნის საფრთხეს, არამედ, მაპატიეთ ტექნიკური ტერმინი, ჭუჭუსაც, ვფიქრობ, ყველანი ეკოლოგიის დამცველები გახდებიან», რაზეც სიმეი პასუხობს: «ეს ტერორიზმი იქნებოდა. თქვენ გინდათ, ეჭვქვეშ დააყენოთ გაზსადენი, ნავთობი, ჩვენი მეტალურგიული მრეწველობა? «მწვანეთა» გაზეთი კი არ ვართ. მკითხველს გული უნდა გავუმაგროთ, განა უნდა შევაშფოთოთ».

ძალზე სახალისო თავია, სადაც თანამშრომლები გაზეთში დასაბეჭდ ანეკდოტებს ყვებიან: «რატომ მოასწრო იულიუს კეისარმა, ეთქვა: «Tu queque Brute» – «შენც, ბრუტუს?» იმიტომ, რომ ვინც ბოლო ხანჯალი ჩასცა, ბრუტუსი იყო და არა – სციპიონ აფრიკელი»; «რატომ მოიგონეს ვისკი შოტლანდიაში? – იმიტომ, რომ იაპონიაში რომ მოეგონებინათ, საკე იქნებოდა და სოლით ვერ

დავლევდით»; «რატომ არის ღმერთი უსრულქმნილესი არსება? იმიტომ, რომ არასრულქმნილი რომ ყოფილიყო, ჩემი ბიძაშვილი გუსტავო იქნებოდა» და ა.შ.

უკვე აღვნიშნეთ, რომ რომანი პრესის და მედიის ზოგად ტენდენციებზე მოგვითხრობს, იმდენად ზოგადზე, რომ ყველა ქვეყნის ჟურნალისტიკას მოუხდება. აბსოლუტურად რეალისტურია ის სარკაზმი, რაზეც რედაქტორი სიმეი ლაპარაკობს: «როგორც წესი, ნამდვილი გაზეთისთვისაც ყველაზე ფრთხილი გამოსავალი გრძნობებზე თამაშია, შეგიძლია, ნახვიდე და ნათესავები გამოკითხო. თუ მიაქცევთ ყურადღებას, სწორედ ასე იქცევიათ ტელევიზიები, როდესაც დედას მიადგებიან, რომლის ათი წლის შვილი მუავათი სავსე კასრში გაადნეს: «ქალბატონო, რა იგრძენით თქვენი შვილის სიკვდილის გამო?» ხალხს თვალები უწყლიანდება და ყველა კმაყოფილია. ერთი კარგი გერმანული სიტყვაა – Schadenfreude – სხვისი მწუხარებით ტკბობა. ეს გრძნობაა, რომელსაც გაზეთმა პატივი უნდა სცეს და ხელი შეუწყოს». დამერწმუნებით, ქართველ მკითხველს არაერთი მსგავსი სიუჟეტი გაახსენდება ჩვენი ტელერეპორტაჟებიდან.

საგულისხმოა ასევე, ჩვენთვის ახლობელი და ნიშანდობლივი ეპიზოდი:

«პედერასტების თემა ყოველთვის იზიდავს მკითხველს – ამბობს სიმეი.

– პედერასტებს აღარ ამბობენ, გეის ეძახიან – გაბედა მაიამ.

– ვიცი, ვიცი, ჩემო მშვენიერო, – შეეპასუხა გაღიზიანებული სიმეი, – მაგრამ ჩვენი მკითხველი ისევ პედერასტს ეძახის, ან, ყოველ შემთხვევაში, გულში მაინც, რადგან ეს სიტყვა


უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს. ვიცი, რომ ზანგის მაგივრად ფერადკანიანს ამბობენ, ბრმის მაგივრად კი უსინათლოს, მაგრამ ზანგი ზანგია და ბრმას თვალები დავსებულები აქვს, საწყალს. პედერასტების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ისევე, როგორც ზანგების საწინააღმდეგო, საკუთარ სახლში თუ დაეტევიან» – ეს უკანასკნელი «მიდგომა» აქამდე ჩვენი «კოპირაითი» მეგონა, არადა, ევროპის ცენტრალურ ქვეყანაშიც ასე ესმით ანიშნული საკითხი. როგორც ჩანს, კლიშეების ნგრევის ხანა არც ისე დიდი ხნის დამდგარია.

ასეთივე «მშობლიური» რელიგიური თემა გვხვდება წიგნში: «სააგენტოს ახალი ამბავია, კიდევ ერთი ღვთისმშობლის ხატი ატირდა სამხრეთის სოფელში». «ხალხს სასწაული სჭირდება და არა მაღალფარდოვანი სკეპტიციზმი. სასწაულის მოყოლა არ ნიშნავს, რომ გაზეთსაც სჯერა ამისა. აღვნიშნავთ ფაქტს ან ვიტყვით, რომ ვიღაცამ ნახა ეს. ამის იქით, ხატი მართლა ტირის თუ არა, ჩვენი საქმე არ არის».

უნდა აღინიშნოს – მიუხედავად რომანის მთავარი სულისკვეთებისა, რომ თანამედროვე ადამიანი ტოტალური დაკვირვების და დევნის ობიექტია, თავის უკანასკნელ მხატვრულ ტექსტში ეკომ მაინც დატოვა იმედი, რომ, თუნდაც, ორი ხელმოცარული ადამიანი მაინც იპოვის ერთმანეთს და შედარებით უფრო ასატანს გახდის ცხოვრებას, რადგან მარტოობისთვის განწირულებს მხოლოდ ეს მოჩვენებითი და დროებითი კომუნიკაცია აძლევს იმედს. ამდენად, უმბერტო ეკოს «საცდელი ნომერი» მაინც ოპტიმისტური რომანია, რომელიც მთავარ გმირს ათქმევინებს – «ცხოვრება ასატანია, საკმარისია, დასჯერდე. ხვალაც გათენდება ახალი დღე (როგორც სკარლეთ ო'ჰარა ამბობდა)». იმასაც შევნიშნავთ, რომ

სკარლეთ ო'ჰარას მოხსენიება ამ კონტექსტში სრულიად ირონიული ე.წ. პოსტმოდერნისტული ჟესტია, მიუხედავად იმისა, რომ ამ საშიში კონსპიროლოგიის თუ ცრუ-გაზეთის მონაწილე ჟურნალისტების ყოფა არათუ მსუბუქი, არამედ, გაცილებით საშიში, სახიფათო და ყოველგვარ რომანტიკას მოკლებული ნიშნით არის დაღდასმული.

უნდა აღინიშნოს ქართული თარგმანის ღირსებაც. ტექსტი შესანიშნავად არის გამართული, ფაქტობრივად, ენობრივი ჩავარდნების გარეშე, ვერ იპოვით ბუნდოვან აზრს, ყველაფერი ნათლად და გასაგებად არის გადმოქართულებული, რისთვისაც დიდი მადლობა ეკუთვნის მთარგმნელს, დარეჯან კიკოლიაშვილს.



დაბოლოს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენც ისევე, როგორც მთელი თანამედროვე ლიტერატურული სამყარო, უმბერტო ეკოს მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერების ათვისების სერიოზულ ხანაში ვცხოვრობთ – ითარგმნა და გამოიცა წერილების და მოხსენებების კრებული «მტრის ხატის შექმნა», რომანები «პრადის სასაფლაო» და «ფუკოს ქანქარა», რამდენიმე წლის წინ – «ვარდის სახელი» – და მისი უკანასკნელი რომანის

ასე სწრაფად გამოჩენა ჩვენს სივრცეში მისასაღმებელი და მნიშვნელოვანი ფაქტია. მთელი ეს ინტელექტუალური სიმდიდრე კი გამომცემლობა «დიოგენემ» შესთავაზა

ქართველ მკითხველს და ფასდაუდებელი წვლილი
შეიტანა უმბერტო ეკოს გაცნობის საქმეში.

ლევან გელაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ და სამაგიდო თამაშების კულტურა საქართველოში

გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური და კულტურული ეკლექტიკა ახალი სახელოვნებო დარგის ფორმირებისთვის სათანადო გარემოს ქმნის. ტექსტის ტექნოლოგიური მოხმარების ჩარჩო გაფართოვდა. ლიტერატურულ თამაშში ტექსტი, როგორც საქციელი, იმპულსური პროცესების განმსაზღვრელი გახდა. თანამედროვე ციფრულ ტექსტში ავტორის ფუნქციის დევალვირება ძალიან ჰგავს პირველსაწყისთან მიბრუნებას. ძველად, ხელნაწერების ხანაში, პრიორიტეტული იყო უფრო ტექსტის შენახვა-ინტერპრეტაცია და დროში გადაცემა, ვიდრე ტექსტის ავტორის ინსტიტუტიზაცია. გადამწერი თანაავტორად თვლიდა თავს და ხშირად ცვლიდა ტექსტს თავის შეხედულების მიხედვით. მაგალითად, ერთი გადამწერი წერს: «ამას შინა სიტყუაი განგრძელდების არამე შემოკლებულად-რე მნებავს უწყებაი თქვენი». ზოგი გადამწერი წახალისებულიც კი იყო თავის პოეტური და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო. «ვეფხისტყაოსნის» გადამწერი ნანუჩა (მანუჩარ ციციშვილი) XVII საუკუნის I ნახევრის ქართველი პოეტი, თავის თანამედროვეებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მამუკა თავქარაშვილი «ტკბილი სიტყვების მხმობელს» უწოდებდა. არჩილ მეფე აღნიშნავდა, ნანუჩას ბევრი რამ «ჩაურევიაო». ამ ნანუჩამ თურმე საკუთარი ინიციატივით 11 სტროფი დაუმატა «ავთანდილის ანდერძს».

ინტერპოლატორები საუკუნეების განმავლობაში ინტერაქტიულ კავშირს ამყარებდნენ ტექსტთან, ეპოქების შესაბამისად გარდაქმნიდნენ მას და პოემის ტექსტუალურ კონტექსტს ახალი კულტურული კოდებით ტვირთავდნენ. ზოგი ჩამატება ისე შეისისხლხორცა პოემამ, რომ ტექსტის დამდგენი კომისიისთვის დღემდე უცნობია, რა დაწერა ნაყალბევი ტაეპის ნაცვლად რუსთველმა. ასეთია ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტაეპი: «ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა» (მესხი მელექსე რუსთაველის მიბაძვით ვწერო).

პარადოქსია, მაგრამ გუტენბერგის გამოგონება, შრიფტის ჩამოსასხმელი საბეჭდი დაბგები ე. წ. «კოპი პეისტის» პრინციპით მუშაობდნენ და ასოების იგივე თანმიმდევრობას ბეჭდავდნენ, რამაც ავტორი ტექსტს მჭიდროდ დაუკავშირა, ვიდრე ეს ხელნაწერთა გადამწერების დროს იყო, რომელნიც უნებურად ან შეგნებულად ცვლიდნენ ტექსტის ქსოვილს და მის ავტორს. საუკუნეების შემდეგ სწორედ ამ «კოპი პეისტის» პრინციპის კომპიუტერულ სივრცეში გადანაცვლებამ და ინდივიდუალურ დონემდე დახვეწამ, ავტორი ჩამოაშორა ტექსტს და მისი გავრცელება და ინტერპრეტაცია სწრაფი ცვლილების მქონე მოვლენად აქცია. ინტერნეტში დაწერილი ტექსტი (ციფრული ლიტერატურული ორგანიზმი) კოპირდება და ვრცელდება, მაგრამ ხშირად ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტი იცვლება სხვადასხვა მომხმარებლის მიერ.

ლიტერატურამ გუტენბერგიდან დაიწყო მანქანური ცივილიზაციის გამოყენება. შრიფტის დამამზადებელი დაბგების შექმნა, ზოგადად მანქანური ტექნოლოგიების ჩართულობა ლიტერატურაში ნელ-ნელა შემოიპარა. სიტყვაკაზმული მწერლობა ქალაქის გარეშე თითქოს

ვერავის წარმოგვიდგენია, მაგრამ მანქანური ტექნოლოგია სწორედ უქალაქო მწერლობის ჰორიზონტებს გვისახავს. არალინეარული თხრობის და ტრადიციული ტექსტუალური კონტექსტის დარღვევის უნარ-ჩვევები გამომუშავდა კომპიუტერის შექმნამდე ე. წ. ლიტერატურული დაფის თამაშების დროს, რომელიც მულტიმედიური ბელეტრისტიკის ერთ-ერთ წინაპრად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც გენეალოგიური მართვის ლიტერატურულ შრეში შეღწევის საშუალება. დაფის თამაშები დამოუკიდებლად, საწერი ტექნოლოგიების პარალელურად ვითარდებოდა. «ვეფხისტყაოსანი» ყველა ეპოქაში აქტუალური იყო. პოემის ზეპირად ცოდნის და კითხვის ტრადიცია, გაგრძელებათა გაგრძელებები, რომელიც ცალკე აღებული, პოემას ბევრად აღემატება. «ხალხური ვეფხისტყაოსანი», ავთანდილობა თუ შერმადინობა – ეს ყველაფერი ხალხის კულტურულ-სოციალურ ცხოვრებაში «ვეფხისტყაოსნის» ინტერაქტიულ-თამაშობრივ მონაწილეობას გამოხატავდა. «ვეფხისტყაოსანი» იყო ჰიპერტექსტი, ე. წ. «სუპერ გუგლი», რომელშიც საუკუნეების განმავლობაში ადამიანები პასუხებს მათთვის საჭირო კითხვებზე პოულობდნენ: როგორ უნდა მეგობრობა, სიყვარული, რა არის ერთგულება. არ არსებობს საკითხი, რომელიც პოემაში არ იყოს მოცემული. პოემა არა მხოლოდ ლიტერატურულ, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აყალიბებდა გემოვნებას, მსოფლმხედველობას და რთულ ვითარებაში ზოგჯერ კომუნიკაციისა და მიმოწერის ყველაზე საიმედო საშუალებაც იყო. ომის დროს, ცენზურის პირობებში, მიმოწერისას დახმარებისთვის წერილის დასაშიფრად ხშირად პოემის ტექსტს მიმართავდნენ.

«ვეფხისტყაოსნის» მზითევში გატანება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტრადიცია იყო, როგორც უძვირფასესი განძის ჩუქება. აკაკი წერეთელი იხსენებს, ერთმა რაინდმა არგვეთის თავადს ქალი სთხოვა და თურმე სასიძო დაიწუნეს, იმიტომ რომ არ ჰქონდა «ვეფხისტყაოსანი». საინტერესოა, რომ ერთ ქართულ ხალხურ ლექსში «ვეფხისტყაოსნის» პატრონი უკან იბრუნებს პოემას და არა ქალს:

*«ქალი მყავდა მშვენიერი,
თავმორთული კაოსანი,
გავათხოვე, გავატანე
ჩემი ვეფხისტყაოსანი.
წაეკითხათ, ვერ გაეგოთ,
თურმე იყვნენ ვიროსანი,
ისევ უკან დავიბრუნე
ჩემი ვეფხისტყაოსანი.»*

პოემის ტექსტს ვხვდებით არამხოლოდ ხელნაწერებში, არამედ ვანის ქვაბის კედლებსა («ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა, თვალნი ვერ გადასწვდებიან») და სხვა ძეგლებზეც, წიგნის არშიების მინაწერებზე. XIX საუკუნეში ერთი-ერთი მაღაზიის მეპატრონეს კანფეტები ისეთ ქალაქში გაუხვევია, რომლებზეც რუსთველის აფორიზმები ყოფილა დაბეჭდილი.

პოემის პირველი სამაგიდო თამაშებიც ამ პერიოდში გამოჩნდა. საქართველოში პირველი ასეთი ლიტერატურული თამაში ილია ჭავჭავაძის დროს დაიბეჭდა. 1892 წელს 24 ივნისს გაზეთ «ივერიის» #131-ში გამოქვეყნებული იყო ვრცელი ინფორმაციული ცნობა, რომ ოზურგეთიდან მიუღიათ კ. თავართქილაძის მიერ დაბეჭდილი ლოტო, რომელიც ეფუძნებოდა პოემის

აფორიზმებს. იქვე ახლდა ვრცელი განმარტება თამაშის წესების შესახებ. დასასრულს ავტორი ასკვნია, რომ ეს თამაში დაეხმარებოდა მკითხველს «ვეფხისტყაოსნის» ზეპირად შესწავლაში. ამ პერიოდში გავრცელებული იყო «ვეფხისტყაოსნის» და სხვა ლიტერატურული თამაშების შექმნა, რომელსაც ილია ჭავჭავაძეც ხელს უწყობდა. ლიტერატურული დაფის თამაშები ინტერაქტიული მოვლენაა, სადაც ტექსტთან ერთად ფსევდოგრაფიკული დეკორაცია და მკითხველის მაქსიმალური ჩართულობა წამყვანი სათამაშო სტრატეგიაა.

1938 წელს გამომცემლობა «ტექნიკა და შრომამ» გამოსცა ალექსანდრე ინაშვილის მიერ შედგენილი «ვეფხისტყაოსნის» და სხვა მწერლების ნაწარმოებებიდან შემდგარი ლოტო. სათამაშო ლოტო შედგებოდა ე. წ. ქარდების, წიგნაკისა (თამაშის წესები) და მუყაოს ფირფიტებისგან. თითქმის ანალოგიურ პრინციპს ემყარებოდა 1986 წელს გამოცემული სახალისო ლოტო: «გონებანი გონიერსა» (გამომცემლობა განათლება, შემდგენელი ხოდაშნელი). ეს თამაში ემყარებოდა 1951 წლის საიუბილეო გამოცემას (სარედაქციო კოლეგია: ბარამიძე, კეკელიძე, შანიძე). თამაშში 110 აფორიზმი გამოყენებული, რომელიც 24 ქარდზეა განლაგებული.

მეოცე საუკუნეში დროთა ფორმაციის შედეგად, საჭირო გახდა პოემის ხალხთან ურთიერთობის ახალი ინტერაქტიული ფორმა. «ვეფხისტყაოსნის» ლოტო, რომელიც ილიას დროინდელი ლოტოს ანალოგი იყო სწორედ ასეთი მოვლენას წარმოადგენდა. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი პოპულარობისა, დღეს თანამედროვე სამყაროში მაინც საჭიროა «ვეფხისტყაოსნის» პოპულარიზაცია და თანამედროვე ინტერაქტიულ გარემოში დაბრუნება. სამაგიდო თამაშები ტექსტის

სიღრმისეულად გაგების და გათავისების ძალიან კარგი საშუალებაა მთელ მსოფლიოში. ლიტერატურული სამაგიდო თამაში უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, რადგან უშუალოდ რუსთველისეულ სიტყვიერ სამყაროში ამოგზაურებს მოთამაშეს და მისი ბუნებრივი ნაწილი ხდება. ტექსტის შეცნობისათვის აუცილებელია მკითხველის იდენტიფიკაცია მის რომელიმე გმირთან ან მთლიანად ამბავთან. ამ მხრივ დაფის თამაშებს დიდი შესაძლებლობები გააჩნია. გრაფიკულ-გამომსახველობითი და ტექსტური მხარე ახალი სინთეზური ვარიაციებით არის წარმოდგენილი. თამაშობ, ესე იგი მონაწილეობ ამბავში – მოგზაურობ ხელშესახებ სიტყვიერ გარემოში და აფორიზმებით იხსნება იმ სამყაროს კარი, რომელშიც ორგანულ ნაწილად იგრძნობ თავს.

თავის მხრივ, სამაგიდო თამაშებმაც, ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, განიცადეს განვითარებისა და ევოლუციის საფეხურები. თუმცა თამაშის ალგორითმი თითქმის უცვლელი დარჩა. სამაგიდო თამაშების ისტორიის მკვლევარი, დევიდ პარლეთი მიიჩნევს, რომ ყველა სამაგიდო თამაშს ერთი ძირი აქვს, რომ ყველაზე თანამედროვე თამაშის ფესვები პრეისტორიულ ხანაში უნდა ვეძებოთ. უძველეს დროში სამაგიდო თამაშები ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ის ძირითადად ელიტისთვის განკუთვნილ დიპლომატიურ საჩუქარს წარმოადგენდა და მათი დროსტარების საშუალება იყო. ელიტარულმა სამაგიდო თამაშებმა რომაულ ლეგიონებთან ერთად ჰპოვა გავრცელება. ამ ტიპის თამაშები სავარაუდოდ IV ათასწლეულის შუა ხანებში გაჩნდა. ერთ-ერთი უძველესი თამაშია «სენატი», მისი ერთ-ერთი ნიმუში ტუტანხამონის აკლდამაში აღმოაჩინეს. ის

წარმოადგენს ბაღეს, რომელიც სამ რიგად განლაგებული ოცდაათი კვადრატისგან შედგება. ამ თამაშის წესები დღემდე საიდუმლოს წარმოადგენს. ეგვიპტეში არსებობდა თამაში «მეჰენი» ლომისა და ბურთის ფორმის ფიგურებით. ერთ-ერთ უძველეს თამაშად ითვლება ასევე ბრიტანეთში, ექიმის სამარხში ახ. წ. 40-50-იანი წლებით დათარიღებული თამაში, რომელიც წარმოადგენს დაფას 26 ფიგურით. სამაგიდო თამაშები მართალია რომაელთა დამპყრობლური ომების პარალელურად გავრცელდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ ადგილობრივი კულტურის ნიშნები შეითვისეს.

სამაგიდო თამაშები, მარულას ტიპის იქნება ის, თუ «თამაში როლების გაცვლით» – ემყარება შექმნილ სამყაროს ან სამყაროებს, რომელსაც მკაცრად განერილი თავისი კანონები აქვს. მწერლობისგან მომდინარე ასეთი თამაშები ავტორის ლიტერატურულ სამყაროს ეფუძნება. მაგალითად, არსებობს «დანაშაული და სასჯელის» თამაში, «შერლოკ ჰოლმსის» თამაში, ლავკრაფტის ლიტერატურული სამყაროების თამაში. ასეთი ტიპის სამაგიდო თამაშებში მოთამაშეები ავტორისგან დადგენილ სამყაროს წესებს ემორჩილებიან. ჰიპერლიტერატურაში გავრცელებული მიმართულება «adventure» ქალაქის მწერლობაში უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე კომპიუტერული სისტემები დაიბადებოდა. პირველი ცდები 1940-1970 წლებში იყო. 1950 წელს ფსიქოლოგმა სკონერმა გამოთქვა აზრი, შეექმნათ ინტერაქტიული ლიტერატურული თამაშები სტუდენტებისთვის, განათლების მიღების მიზნით. 1960 წელს იღვა მოტივირებული იყო ლიტერატურული ექსპერიმენტებით. მსგავსი პრაქტიკა დღეს უკვე აპრობირებული საშუალებაა, მაგალითად არსებობს შერლოკ ჰოლმსის თამაში «221b

Baker Street Detective», რომელიც წიგნზე არანაკლებ პოპულარულია.

როგორც აღვნიშნეთ, დაფის თამაშების მსგავსი ნიმუშები პრეისტორიული ხანიდან არის შემორჩენილი. ის ყოველ დროში ადამიანის სოციალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ განსაკუთრებული აღმავლობის პერიოდი მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება. Monopoly, Scrabble Risk Settlers of Catan, Ticket to Ride, Apples to Apples და სხვა ამ ტიპის თამაშები, რაც მთელ მსოფლიოში უაღრესად მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა და დღემდე რამდენიმე ასეულ ინტელექტუალურ თამაშის სერიას აერთიანებს. ის ბავშვებისთვის ერთ-ერთი საყვარელი ინტელექტუალური აქტივობაა. დაფის თამაშების წარმატება იმანაც განაპირობა, რომ ის აბსოლუტურად ყველა სფეროს აერთიანებს: კინოს, ლიტერატურას, ანიმაციას, სპორტს, კოსმოსს და სხვა. ის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია, კომიქსების და ვიდეოთამაშების გვერდით კომერციულ ინტელექტუალურ-გასართობ ინდუსტრიულ სტრუქტურაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში XIX საუკუნეში სამაგიდო თამაშები პოპულარული იყო, ეს ხაზი საბჭოთა ხანაში მინიმალურად განვითარდა. დღესაც თანამედროვე დაფის თამაშების კულტურა თითქმის არ არსებობს. სალამოს მეგობრების წრეში გატარება და დაფის თამაშის კოლექტიური თამაში, როგორც წესი, იშვიათობაა.

თანამედროვე სწავლების მეთოდები ბავშვზეა მორგებული, რათა მოსწავლეებისთვის სწავლა გახდეს სასიამოვნო აღმოჩენების პროცესი. დაფის თამაში სწორედ ამ სპეციფიკის ინტერაქტიული მეთოდია. გარდა ამისა, დაფის თამაშები არის სოციალური დისკურსის

მოვლენა, განსხვავებით ვიდეოთამაშებისგან, რომელიც ასოციალურია. დაფის თამაში, უპირველეს ყოვლისა, არის ურთიერთობა თამაშის სხვა წევრებთან. თამაშობ, ესე იგი, იძენ ახალ მეგობრებს.



ლევან გელაშვილი სათამაშო "ვეფხისტყაოსანთან"

ნოვა
ტორუ
ლი
გამო
ცემაა
ჩემ
მიერ
მომზ
ადებ
ული,
სულ
ახლა
ხან
გამო
სული
«ვეფ
ხისტ
ყაოს
ნის»
პირვ
ელი
ფერა

დი ილუსტრირებული სამაგიდო თამაში. პროექტი განხორციელდა ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ილუსტრაციების ავტორია მხატვარი ნინო გელაშვილი. გამოცემა რამდენიმე სკოლაში, მწერლის სახლში,

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, ნორჩ
ჰუმანიტართა სკოლაში და სხვა საბავშვო სეგმენტთან
წარვადგინეთ და ჩამოვაყალიბეთ ლიტერატურული
სამაგიდო თამაშების კლუბი. სამაგიდო თამაში
ლიტერატურულ რუკას წარმოადგენს და ის მართონულ
პრინციპზეა დამყარებული. თამაშში მონაწილეობს 30
აფორიზმი. თუ მოთამაშეს სურს სხვა აფორიზმები
გამოიყენოს, გამოცემას მოჰყვება სარებერვო აფორიზმები
და გამოსაჭრელი ბარათები. ნებისმიერ მოთამაშეს
შეუძლია, მისთვის საინტერესო აფორიზმები ან ტაეპები
დაამატოს თამაშს ბარათების სახით და
გაამრავალფეროვნოს ის.

6. ვიზიტი

ნანა გოგოლაშვილი

ოლივიე როლენი თბილისში

2004 წელს საქართველო ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრ-დამკვირვებელი ქვეყანა გახდა და სიხარულით უნდა აღინიშნოს, რომ ამ თარიღისადმი მიძღვნილ ფრაკოფონიის დღესასწაულს, რომელიც ყოველი წლის მარტის თვეში აღინიშნება, სულ უფრო და უფრო მეტი მონაწილე უერთდება. საფრანგეთის საელჩოსა და ფრანგული ინსტიტუტის ინიციატივით მთელი თვის განმავლობაში არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება იმართება. მე კი, თქვენი მონა-მორჩილი და თავგამოდებული ფრანკოფილი, ყოველ 20 მარტს, საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავად სწორედაც რომ საოცნებო საჩუქარს გამოვკრავ ხოლმე ხელს: როგორც წესი, აუცილებლად ვეცნობი ამ დღესასწაულზე საგანგებოდ მოწვეულ ფრანგ მწერალს და როგორც აქტიური მკითხველი და მსმენელი განსაკუთრებულ საიუბილეო მოლოცვებს, ფოტოებსა და ამბორებსაც ვიტოვებ. ანკა ვინსდების (რუმინული წარმოშობის ფრანგულენოვანი მწერალი), ჟან რუოს, ფილიპ ბესონის, დავიდ ფონკინოსისა და ფრედერიკ ბეგბედერის მერე საქართველოს სტუმარი ოლივიე როლენია. გუშინწინ მწერალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა, გუშინ კი გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმს ეწვია. ამჯერად მწერალს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული ალექსანდრ დიუმას სახელობის ფრაგული მედიათეკა მასპინძლობს «ყავა და ლიტერატურის» ფარგლებში.

ქართველი მკითხველი მას ჯერ არ იცნობს. თითო-ორროლას, ისიც ფრანგულის მცოდნეს თუ ექნება წაკითხული მისი რომანები. ჯერ კიდევ სტამბის სუნი უდის მის «მეტეოროლოგსაც», რომელიც ცისანა ბიბლიეიშვილმა საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში ფრანგული ინსტიტუტის ხელშეწყობით გადმოაქართულა. ქართულად მოვასწარი მისი წაკითხვა. ფრანგულ ტექსტს კი ინტერნეტში გავეცანი ნაწყვეტების სახით. ორიგინალის ენაზე გამოცემული წიგნი ბიბლიოთეკიდან გატანილი დამხვდა. ორი კვირაა მის ორ რომანს, «ქალაქის ვეფხვს» და «ლომებზე მონადირეს» დედანში ვეტორდიალები. პერეკისეული სტილი თვალშისაცემია. სიტყვებით თამაშს სხვა ფრანგული სჭირდება...



ავტორი რაღაცნაირად უშუალოდ, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე შემოგვიერთდა. მსახიობს უფრო ჰგავს, ვიდრე მწერალს. წარმოსადგეგია და მაცდური ღიმილის პატრონი. ჯეინ ბირკინის რჩეული სხვაგვარი ვერც წარმომედგინა (სერჟ გინზბურგი სულ სხვა მოვლენა იყო)... ამაზე ქვემოთ...

მედიათეკის დირექტორი, ქალბატონი თამარ ხოსრუაშვილი, რომელიც ყოველთვის წარმდგენის,

თარჯიმნის და ზოგადად მასპინძლის როლს დიდი ხალისითა და პროფესიული ოსტატობით ითავსებს ხოლმე, აშკარად ვერ არის ფორმაში. გვარიანად გაციებულია.

ამიტომ სტუმარს ამჯერად საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი და ფრანკოფილთა დიდი მეგობარი ჟან-ივ ლავუარი წარმოგვიდგენს. შემდეგ კი მწერალს მისი რომანის, «მეტეოროლოგის» ქართულ ენაზე მთარგმნელს აცნობს.

– ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ თქვენ შესანიშნავად გაართვით თავი ტექსტს – მიმართავს ბატონი ჟან-ივი ქალბატონ ცისანას...

– გმადლობთ, ბატონო ჟან-ივ! მოგეხსენებათ, ამ ტრაგიკულ ისტორიას ჩვენი თაობა კარგად იცნობს დისიდენტთა ჩანაწერებიდან, ხოლო მეტეოროლოგთა ტერმინოლოგიის დასაზუსტებლად სპეციალისტებიც დავიხმარე...

* * *

მწერალი საფრანგეთში დაიბადა, მაგრამ ბავშვობის წლები, მშობლების საქმიანობიდან გამომდინარე, სენეგალში გაატარა. პროფესიით კლასიკური ლიტერატურის და ფილოსოფიის სპეციალისტია, რაც ერთგვარად იჩენს თავს მის ნაწერებშიც. შემოქმედების მთავარი ხაზი კი მისი ახალგაზრდობისდროინდელი პოლიტიკური არჩევანია. 1968 -1973 წლებში ის «მემარცხენე პროლეტართა» მათეორიული ორგანიზაციის აქტიური წევრია და «ახალ სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობას» ხელმძღვანელობს. მას იმ პერიოდში ძალიან სჯერა ოქტომბრის რევოლუციის შესაძლებლობების, რაც ასახვას ჰპოვებს მის თითქმის ავტობიოგრაფიულ რომანში «ქალაქის ვეფხვი». მისი ნაწერების სწორად აღსაქმელად აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი აქტიური ჟურნალისტური საქმიანობაც. 1970-იანი წლების ბოლოს ის მუშაობს გამომცემლობა «Seuil»-ში (ზღურბლი) მკითხველთა საბჭოს წევრად, პარალელურად წერს

რეპორტაჟებს სხვადასხვა გაზეთების: «ლიბერასიონის», «ნუველ ობსერვატორისა» და «ლე მონდისათვის» არგენტინიდან, კოლუმბიიდან, პოლონეთიდან, ავსტრალიიდან და სხვა ცხელი წერტილებიდან. შემოვლილი აქვს მთელი მსოფლიო და განსაკუთრებით კარგად იცნობს საბჭოთა რუსეთს. რუსეთთან მას 30 წლის მეგობრობა აკავშირებს და განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს იქ გატარებულ წლებს. სწორედ აქედან გამომდინარე გაჩნდა კითხვებიც:

– «მეტეოროლოგში» გულაგის ბიბლიოთეკის აღწერისას ერთგან წერთ, რომ «ფრანგული ენა რუსეთში ჯერ კიდევ დიდ ენად ითვლება». ვერ მეტყვით, რას გულისხმობდით ამაში? იმას, რომ ინგლისურმა ვერ განდევნა რუსული ენა თუ რუსებს ფრანგული ზოგადად დიდ ენად მიაჩნიათ? რატომ დააყენეთ ფრანგული ენის სიდიადე თუ სიდიდე ეჭვქვეშ?

– რუსებს უყვართ ფრანგული ლიტერატურაო – მიპასუხა.

– ჩვენც არანაკლებ გვიყვარს... დამასწრო ქალბატონმა ცისანამ, მე კი დავამატე – ფრანგული ენა არის და მუდამ იქნება დიდ ენათა შორის-მეთქი. არ ვიცი რა იფიქრა, მაგრამ მადლობა კი გულწრფელი გამოუვიდა.

– ბატონო ოლივიე, როგორც ყოფილი აქტიური პოლიტიკოსი, ხომ ვერ მეტყვით, რითია გამოწვეული დასავლეთ ევროპის სიმპათია რუსეთთან მიმართებაში და რატომ არ მოსწონს იგი აღმოსავლეთ ევროპას? ხომ არ გეჩვენებათ, რომ ვოლტერის ცნობილი ფრაზა «კანდიდიდან» – «ყველამ თავის ბაღს მიხედოს» (არადა, ჩვენ, ქართველებსაც გვაქვს ამ ფრაზის ანალოგი...) ძალაშია?

– მე, როგორც მწერალს, მიყვარს და პატივს ვცემ რუსულ კულტურას და რუს ხალხს, მათთან 30-წლიანი მეგობრობა მაკავშირებს და გულწრფელად ვწუხვარ მათ ყოველ წარუმატებლობას. მათი პოლიტიკის მიმართ ჩემი დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულება ჩემს რომანებში მაქვს გამოტანილი. ისე, – მიმართა მან ბატონ ჟან ივს, – «მეტეოროლოგს» რომანიც არ ეთქმის, ისეთი სკრუპულოზულობით მაქვს აღწერილი ყველა დეტალი, თარიღი და საათებიც კი.

– რუსეთთან 30-წლიანი მეგობრობის ფონზე ერთი ლოგიკური კითხვაც გაჩნდა: ქალები და «ვოდკა»?

– მე უცოლო გახლავართ და არ დაგიმაღავთ, ორმა ქალმა დამამახსოვრა თავი, რაც შეეხება არაყს, ცხადია, მასაც თავისი დანიშნულება ჰქონდა (კითხვას საერთო მხიარულება მოყვა.)

ერთ-ერთმა მსმენელმა მას მეგობარ ქალზე – ჯეინ ბირკინზეც ჰკითხა მორიდებით, ბატონი ჟან-ივიც წამოეშველა, მაგრამ მწერალმა ამ საკითხზე დუმილი ამჯობინა. დამაინტრიგა.

ჯეინ ბირკინი 49 წლის ასაკშიც ბავშვია...

ამონაწერი ანა ჰადრიენის ინტერვიუდან:

«ამ მომხიბვლელ, მარად ნინველური სილუეტის და უშრეტეი ენერჯიის მქონე ქალს დრო ვერაფერს აკლებს. ის არასდროს მალავს ასაკს და 49 წლის ასაკშიც ბავშვით გულუბრყვილოა. 1995 წელს, სერჟ გინზბურგის გარდაცვალებით დამწუხრებული და მისი ჯაკ დუალონთან სასიყვარულო ურთიერთობის მოულოდნელად შეწყვეტით დამძიმებული ჯეინი სარაევოში მიემგზავრება საქველმოქმედო კონცერტებით, ომით დაზარალებული

ხალხის სანუგეშებლად. და, აი აქ, ბომბების წვიმაში ხვდება ფრანგ მწერალს, ოლივიე როლენს, რომელიც იგივე მისიით გახლავთ ჩასული სარაევოში. მომხიბვლელმა და გაჭირვებულთა მიმართ დიდსულოვნებით გამორჩეულმა მამაკაცმა მაშინვე მიიქცია ჯეინის ყურადღება. ახალი ბედნიერება კარს მოსდგომოდა და უარის თქმას არ აპირებდა. მეტსახელად «ვეფხვიც» კი შეარქვა ამ ღონიერ და გაბედულ მამაკაცს. მოგვიანებით ის ოლივიეს სთხოვს საერთო შვილის გაჩენაზე თანხმობას, მაგრამ ოლივიე მამობას არ თანხმდება. ჯეინს კი უკვე სამი ქალიშვილი ჰყავს, სამი სხვადასხვა ქმრისგან და ორგზის ბებიაცაა. თუმცა, დარწმუნებულია, რომ სწორედ ეს აქცევს მას ისევ ბედნიერ ქალად. სამწუხაროდ, ოლივიემ მამობა არ ისურვა... «თავს ერთ ჩვეულებრივ საყვარელ კატად ვგრძნობ, – შესჩივლებს იგი ერთ-ერთ ინტერვიუერს ქალების ჟურნალიდან – რა აზრი აქვს ისეთ სიყვარულს, ნაყოფი თუ არ მოჰყვა». მართალია, ბეგბედერისეული სამი წლის რეკორდი გააუმჯობესეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სიყვარულმა მხოლოდ ხუთი წელი გასტანა და 2000 წელს მათი გზები სამუდამოდ გაიყარა. «მართალია ოლივიემ ბავშვი არ მაჩუქა, მაგრამ მან თავისი დიდი სამეგობრო წრე დამიტოვა, რაც დიდი შენაძენია ჩემთვის» – იტყვის ჯეინი.

მწერალი

წერა გვიან დაიწყო. დაახლოებით 36 წლისამ. ამ პერიოდს ის ცოტა დანანებით იხსენებს: «ბიჭი აღარ მეთქმოდა, არადა ჯერ ისევ ლექსიკური მარაგის დაგროვებით ვიყავი გატაცებული და იშვიათი სიტყვების მანიპულირებით ვცდილობდი ტექსტების შედგენას (არცთუ უსაფუძვლო გამოდგა ჩემი ეჭვი ულიპოელთა^[10] გავლენის შესახებ). მახსოვს, საკუთარ თავსაც კი დავცინე ერთ-ერთ წერილში –



«ზურმუხტოვანი ბრწყინვალეების» ძიებაში ჩემი პირველი ოთხი წიგნი იუმორის დეფიციტს შეენირა-მეთქი. რომანთან კი პოლიტიკურმა საქმიანობამ მიიყვანა. «სწორედ ამ გზით ვცდილობდი თავი დამეღწია აზრთა პოლიტიკური ტყვეობისაგან. არა, ისე არ გამიგოთ, რომ მე მძულს პოლიტიკა, უბრალოდ, ამ გზით მინდოდა თავი

დამეღწია მანიქეიზმისათვის^[11], რაც თანმდევი პროცესია ზოგადად პოლიტიკის. ამ გაორებაში დიდ საშიშროებას ვხედავდი. მახსენდება ფლობერის მიერ ლუიზ კოლესადმი მიწერილი წერილიდან ერთი ფრაზა: «კაცობრიობის ყველაზე დიდი მტერი დასკვნების გაკეთების მცდელობებით გატაცებაა.» ეს კი, მოგეხსენებათ, ყველაზე მეტად პოლიტიკას ახასიათებს. ნამდვილი მწერლობა პრობლემებს სვამს და გაორებაც უსაფრთხოა პოლიტიკისაგან განსხვავებით.»

ოლივიე როლანი ბევრ ენაზე თარგმნილი მწერალია. მას ეკუთვნის ოცამდე რომანი, რომელთა შორის გამორჩეულია «მსოფლიო აღმოჩენა» (1993), «პორტი სუდანი» (1994, ფემინას პრიზი), «ქალაქის ვეფხვი» (2002, ფრანგული კულტურის პრიზი) და «მეტეოროლოგი» (2014, პრიზი «სტილისთვის»). ბოლო რომანის თემა სტალინური რეჟიმის მსხვერპლთა გახსენებაა, მაგრამ მწერალი სკრუპულოზური დოკუმენტაციის გამხატვრულებით დამაჯერებლობას და სიმძაფრეს სძენს იმ ავადსახსენებელ პერიოდს. რომანის შექმნის იდეა კი

სოლოვკებში ჩასულ მწერალს იმ ბარათების ნახვის შემდეგ გაუჩნდა, რომელთაც რომანის მთავარი გმირი ალექსეი ფიოდოსოვიჩი ვანგენგეიმი ტყვეობიდან უგზავნის თავის 4 წლის ქალიშვილს. წერილებით მამა ცდილობს შვილის აღზრდა-განათლებაში პატიმრობიდან მიიღოს მონაწილეობა და სჯერა, რომ მას ისეთ დროში მოუწევს ცხოვრება, რომლისთვისაც პარტია თავგამოდებით იბრძვის. «ბოლომდე მეგონა, რომ მივაგნებდი ისეთ წერილს, რომელშიც ეს განსწავლული კაცი კომუნიზმის უტოპიას აღიარებდა, მაგრამ ამოდ, – გვეუბნება მწერალი – ის 1934 წელს დახვრიტეს, სადღაც ტყის პირას...»

საყურადღებოა რომანის დასასრული, სადაც ერთ-ერთი საბჭოთა ინჟინერი ესაუბრება პატიმარ მარგოლენს: «დღეს, – ამბობს მარგოლენი, – ზუსტად ვიცი, რასაც განვიცდი საბჭოთა კავშირის მიმართ: შიშს. ამ ქვეყანაში ჩასვლამდე ადამიანების არასოდეს მშინებია, მაგრამ სსრკ-მ ადამიანების შიში მასწავლა». ფრაზა, რომელსაც ეხმიანება ნადეჟდა მანდელშტამის ფრაზა: «იმათგან რაც ოდესმე გვისწავლია, ყველაზე საფუძვლიანი და ძლიერი არის შიში [...]. შიშმა არივ-დარია ყველაფერი, რაც ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებას შეადგენს». ჩვენ სულაც არ შეგვიწუხებია თავი ამ სხვადასხვაგვარად არეკლილი უზარმაზარი შიშით, შიშით, რომელიც გადავიტანეთ, რომელსაც შევეჯახეთ, დავძლიეთ ასი ათასობით მზერაში. დღეს სამართლიანად ვტყუბთ განგაშს იმ საშიშროების გამო, რომ რუსეთში ხელახლა არ დატრიალდეს არაადამიანურობა, მაგრამ ჩვენს განგაშს აზრი ექნებოდა, ყურადღება რომ მიგვექცია იმისთვის, რაც ჰუმანურია ამ ქვეყნის ისტორიაში და ეს ჰუმანურობა უპირატესად მსხვერპლთა ჰუმანურობაა».

ცამდე მართალი ბრძანდებით ბატონო როლენ, მაგრამ მთელ დუნიაზე არ მეგულება ერი, რომელიც ისე გაგებით შეხვედროდა საბჭოურ ჰუმანურ შიშებს, როგორც ქართველი ერი, მაგრამ ჩვენი, სულ ახლახან აწიოკებული მსხვერპლის ჰუმანურობა ჩვენს შიშებს ვერა და არ ანელებს... თუმცა, ოდესმე, ჩვენ რომ ყველას გვინდა, ისეთი რუსეთის ხილვისას იქნებ შევძლოთ კიდევ ამ მსხვერპლის ჰუმანურობაზე წერა და საუბარი.

7. ახალი თარგმანები

ალისტერ კროული

წმინდა რუსეთის გული

(ინგლისურიდან თარგმნა დავით ჩიხლაძემ)

მე-20 საუკუნის ყველაზე სახელგანთქმულმა ინგლისელმა ოკულტიზტმა ალისტერ კროულიმ (1875-1947) ვრცელი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა და, შეიძლება ითქვას, რომ მთელ თანამედროვე დასავლურ კულტურას ახალი სულიერი დასაყრდენი შეუქმნა, რაზედაც ის დღემდე ახერხებს არსებობას. მართალია ამ ტექსტებიდან უმეტეს ნაწილს მაგიური და სპეციალური რიტუალური ტრაქტატები იკავებს, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახალგაზრდა გნოსტიკოსი საკუთარ მოღვაწეობას როგორც პოეტი, ისე იწყებდა. მისი ყველა ნაწარმოები მაღალი ლიტერატურული ესთეტიზმით, ღრმა სახეობრიობით, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი აღმაფრენითა და აღუზიების რთული სტრუქტურით გამოირჩევა. ალისტერ კროული რუსეთს პირველად 1910 წელს ეწვია და პეტერბურგი მოინახულა. 1913 წელს კროული უკვე მოსკოვს სტუმრობს და სწორედ მაშინ აღმოაჩენს რუსეთს და საკუთარ მთავარ რიტუალურ სახელმძღვანელოს, «გნოსტიკურ მესას» წერს. «წმინდა რუსეთის გული» ასევე მოსკოვში ყოფნისას დაიწერა. როგორც ამ ნაწარმოების, ასევე ზოგადად ალისტერ კროულის უჩვეულო პოეტური განჭვრეტის ძალაში მკითხველს ის ერთადერთი ფრაზაც დაარწმუნებს, რუსეთში «მუმიფიცირებული რწმენის სიცოცხლისუნარიანობას» რომ ეხება, თანაც ლენინის გარდაცვალებამდე და მავზოლუმის აგებამდე ათი წლით ადრე. შეულამაზებელი ხედვა სინამდვილისა – როდესაც ეს ძველ ინგლისურზე მოსაუბრე დენდი, ერთდროულად

უძღები შვილიც და განდევნილიც, გასული საუკუნის დასაწყისის პეტერბურგს რუსულ ქალაქად ვერც კი აღიქვამდა, სწორედ მისი ევროპული მანერულობის გამო – შეიძლება დღესაც გამოსადეგი აღმოჩნდეს ზედმეტად გართულებული, ხან კი ზერელე კულტურული კონტექსტების გასაგებად.

*მოსკოვის თავზე მხოლოდ კრემლია,
კრემლის თავზე კი – სასუფეველი.*

რუსული ანდაზა

I

ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული და ბრწყინვალე აღმწერელნი ფონ მოლტკე და თეოფილ გოტიე ერთნაირად აღტაცებულან ამ გასაოცარი ქალაქის ხილვისას. და როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ნატურალიზმისაკენ მიდრეკილი სტრატეგის გონება უფრო ზუსტ გამოხატულებებს პოულობს, ვიდრე გონება სიტყვის ოსტატისა.

ნეტარი ბასილის ტაძრის აღწერისას გოტიე ლამის ფოტოგრაფიულ სიზუსტეს აღწევს: «თვალშეუდგამი მარჯანი, კოლოსალური კრისტალური წარმონაქმნი, ამობრუნებული გროტი სტალაქტიტებისა».

მხედართმთავარი კი მთელ ქალაქს ერთადერთ მარტივსა და სიმართლის მთქმელ ფრაზაში აქცევს: «თითქოსდა ერთ-ერთ ისეთ ქალაქში აღმოჩენილხართ, მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფი რომ შეიძლება იყოს და ცხადში კი არასოდეს უარსებია».

იმედს ვიტოვებთ, რომ მრავალმა ჩვენგანმა – კერძოდ, ლორდმა დანსენიმ თუ ბატონმა საიმმა ასეთი წარმოსახვითი ქალაქები ოდესღაც მართლაც



მოინახულეს. რაც უფრო მეტს
ვმოგზაურობდით მსოფლიოს
გარშემო, მით უფრო
გვიძლიერდებოდა
დაუკმაყოფილებლობის
გრძნობა. დელი, აგრა,
ბენარესი, რომი, ლონდონი,
კაირო, ნეაპოლი,

ანურადჰაპურა, ვენეცია, სტოკჰოლმი – ამ ქალაქებიდან
მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, ასე თუ ისე მეორე პლანზე
გადაინაცვლა იმ გაოცების ფონზე, რაც კრემლის დიადი
აღმოსავლეთის კედლის ნახვისას განვიცადე წითელ
აგურში გამოჭრილი სათოფურებით, რომელთაც ჯერ
კათედრალების გუმბათები, ხოლო შემდეგ, შორეულ
წერტილში, «მაცხოვარის კარიბჭე» აგვირგვინებს, ბოლოს
კი ნეტარი ბასილის ენითალუნერელ კათედრალს
ესაზღვრება: «აი, გაცხადდნენ თრიაქით მოგვრილი
ზმანებანი». არცერთი პოეტის წარმოსახვას – ქვინსის,
ლადლოუს თუ ბოდლერის კალამს არ შეუქმნია რაიმე
ისეთი ფანტასტიკური და მშვენიერი, რაც მოსკოვის მშვიდ
სინამდვილეს გააჩნია. ის დაუგეგმავად გაჩნდა და არც
არანაირ «ხელოვნების კანონებს» არ ემორჩილება.
ღმერთივით თვითნებურია და ამდენადვე უტყუარი.
ადამიანის გონების მიერ არ არის შექმნილი: ის იმ გონებამ
შექმნა, რომელიც ელემენტარული მათემატიკის
დოგმებისგანაც კი თავისუფალია.

ეს წარმოსახვის თამაშია, რკინასა და ქვაში
განსხეულებული. სწორედ ის აბსურდია, ტერტულიანეს
რომ სწამდა. ის სილამაზის სტიქიაა და შეშლილი პოეტის
ოცნებანი სასუფევლის შესახებ. ის დასცინის ადამიანის
გონებას და არცერთ სკოლასა თუ პერიოდს არ

მიეკუთვნება. შეუძლებელია მისი მიბაძვა და მიმსგავსება, რადგან ყველაზე დიდი ხელოვანის გონებასაც კი საკუთარი ზღვარი და აზროვნების კალაპოტი გააჩნია. მოსკოვი ის მოულოდნელობაა, რომელიც ყოველთვის შემთხვევით ხდება. დიახ, შემთხვევით: კრემლიც შემთხვევითია და მთელი ქალაქიც. არანაირი გეოგრაფიული საფუძველი არ არსებობდა იმისთვის, რომ ის სწორედ ამ ადგილას წარმოქმნილიყო. არც ხელშემწყობი რაიმე ბუნებრივი პირობები იყო. აქ ერთი პატარა მდინარეა, მდინარე ჰარლემის, ანდა ლონდონის ხიდის ქვეშ მოქცეული ტემზის ნახევარი სიგანისა თუ იქნება და ერთი ბორცვი, რომელიც სიმაღლით მორნინგსაიდისა თუ ლუდგეიტის ბორცვს ნამდვილად არ აღემატება. ერთ რომელიმე ნათელ დღეს მოექცეცით ივანე დიადის თავზე და იქიდან თქვენს ირგვლივ ჰორიზონტზე მხოლოდ უსასრულო დაბლობები გადაიშლება, თუკი ერთადერთ პატარა შემადგენელს არ მიაქცევთ ყურადღებას, საიდანაც ნაპოლეონმა პირველად დაინახა მოსკოვი. აქ არც ვებუვია, არც ცისფერი ყურე ანდა თავანუელი პოზილიპო. არც რომის შვიდი ბორცვია – საერთოდ არაფერია: მაღალი მთა იქნება თუ დიდი მდინარე. მოკლედ, ქალაქს არანაირი გამაგრება არა აქვს – გარშემო მხოლოდლა ცაა. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, სწორედ ამ ადგილას გაჩნდა ეს წარმოუდგენელი დიადი ქმნილება უმაღლესი ჯადოსნური გონებისა. ის «ბარბაროსულ სახელთა შელოცვის» მოულოდნელ კრისტალიზაციას წარმოადგენს, რის შესახებაც ზარატუსტრა მოგვითხრობდა. ტიტანთა ყვავილობაა და ღმერთის სასჯელია – ლოთის ცოლი მარილის სვეტად რომ გადააქცია გოლიათთა ქალაქის გარყვნილებათა წარხოცვის ბოლოს. რადგანაც, მსგავსად ბახუსის კვერთხისა, ვაზის დაწნული ყლორტები რომ

აგვირგვინებს, კრემლის ყოველი მონაკვეთი ფანტაზიაა ერთ რომელიმე თემაზე და მათ წინაშე თვით მზეც კი უბრალო იმიტაციად მოჩანს. ის ცხოვრების უფალია, მომნიჭებელია სიცოცხლისა, მწყალობელი, ერთადერთი, ექსტაზის მომგვრელი, დანაპირებთა აღმსრულებელი, დამნახველი უხილავისა, ღმერთის დანიშნული მმართველი და მსაჯული, მამაკაცურობის ძალა, ბედის დამმორჩილებელი – აი, ეს ყველაფერი უკვდავყოფილა ამ გასაოცარ უდაბნოში.

ნეტარი ბასილის ეკლესია (და რატომ არ შეიძლება, რომ ბასილისკოს ეკლესია ვუწოდოთ?) – ეს ხომ პლატონისეული ერთისა და მრავალის წინააღმდეგობის გადანყვეტაა. ფერთ, ფორმითა და ერთმანეთთან შეხამებებით ორ მსგავს გუმბათს ვერ აღმოაჩენთ. ყოველი მათგანი ნათლად ადასტურებს, რომ ნამდვილი ერთიანობა სიმრავლეში არსებული ერთიანობაა და ყოველი მათგანი ზეიმია ფორმისა და შინაარსის.

მასში როზენკროიცერთა საიდუმლო გაცხადებულა; მასშია ალქიმიკოსთა პრობლემა ამოხსნილი; მასში წრეში ჩაწერილი კვადრატია; მასში არის გაორმაგებული კუბი; მასში არის უძრავ ქვაში არსებული მუდმივი მოძრაობა; მასში არის უცვლელი ცვალებადობა და ცვალებადი უცვლელობა; მასში არის ჰერმესის მიერ ჩადებული ქრისტეს ქვაკუთხედი და ბეჭედი ჰირამ-აბიფისა, ტაძარს რომ აგვირგვინებს.

ივლისის სავსემთვარეობაზე ჩრდილოეთის ციალის ყინულოვანი ოცნების უწყვეტ კაშკაშს მივჩერებივარ, უცბად მდიდარ და დამუხტულ სიჩუმეს ბგერა არღვევს. შეუდარებელი სილამაზე მოსკოვის ზარებისა! მსოფლიოში არ არსებობს სხვა ზარები, ოდნავ მაინც რომ მათ



შეედარონ. ისინი მუსიკას
ქმნიან. ეს რომელიმე მოტივის
პრიმიტიული მიბაძვა არ არის
ანდა რომელიმე ჰანგის
გამეორება. ეს მელოდიები
თვით ამ ზარებს ეკუთვნით და
ისინი სმენისათვის ისევე
მშვენიერია, როგორც თვითონ
ქალაქია თვალისათვის
დასანახად. ისინი
არქიტექტურის ამ სასწაულთან
თანხმიერნი გაიმეორებენ
დიად სამუშაოს, რაც ფრაზის

ფანტაზიაში გამოკვეთილა და როგორც ნიმფები
ეალერსებიან ბახუსს, პატარა ზარებიც დიდ ზარებს
აჰყოლიან და შეხმიანებიან.

ეს ყველაფერი წარმოუდგენელი და გამოგნებელია;
ცნობიერებას ექსტაზი ეუფლება; ადამიანი ნაწილად
გადაქცეულა – იმ ნაწილად, რომელიც ქოროს მთლიანი
კოლოსის შემადგენელია. საზღვრები აღარ დარჩა; დრო,
სივრცე და ეგოს სხვადასხვა მდგომარეობები
მარადისობის უფსკრულში ჩანთქმულან თვით ეგოსვე
თანხლებით – იმ დაუნაწევრებელსა და დროის მიღმა
მყოფ მომენტში გაუჩინარებულან, სამყარო რომ ჰქვია.

II

ეკლესიებში ოქროს უსაზღვრო ფუფუნებას
დაუსადგურებია. ყველა ეს ეკლესია, გარდა მაცხოვრის
ტაძრისა – რომელიც მხოლოდღა თანამედროვე
ევროპიზებულ ეკლესიას წარმოადგენს – იმდენად
არაპროპორციულია სიმაღლისა და სიგანის

დამოკიდებულებათა თვალსაზრისით, რომ შეიძლება იმ აზრმაც კი გაგიელვოთ, რომელიმე სადისტი ღმერთის საწამებელ საკანში ხომ არ აღმოჩენილხართ. ზემოთ თავზარდამცემი ხატები განფენილან – გველეშაპებისა და გველების, რომლებიც წმინდანებს სანსლავენ; მერე მათი ღმერთები მოჩანან, მღვდლებივით რომ მოუშვიათ წვერი, ბოლოს კი მათი ეშმაკნი – სტეპების მხედართა მსგავსად ისრებითა და შუბებით აღჭურვილნი, მათ წინაპრებს თავზარს რომ სცემდნენ.

ფრესკების ხელოვნებაში ახალი არაფერია, ისინი პრიმიტივიზმს მოგვაგონებენ. ეს წონასწორობის მიმართ გამოვლენილი უმაღლესი ხარისხის ბარბაროსული გულგრილობაა, რომელიც ოქროს ოქროზე ჰფენს. ხატებში მხოლოდ სახეები, ხელის მტევნები და ტერფებია დაუფარავი. დანარჩენ ნაწილს სულ ანაფორები იკავებს, რომლებიც ოქროთი თუ მოოქროებული ვერცხლითაა მოოჭვილი და მარგალიტითა და სხვა ძვირფასი ქვებით უხვადაა მოქარგული. სახეები და ხელები მკაფიოდ არ ჩანს და საქმეს ვერც კარგი განათება გამოასწორებს. ადამიანს თავიდან შეიძლება არ მოეწონოს ოქროს ეს რღვეულები. შემდეგ კი თავს ანებებს კრიტიკას და თაყვანს სცემს მათ. მთლიანობა გიჟყრობთ და სხვას არაფერს მნიშვნელობა აღარა აქვს. ადამიანი პოზიტიური ძალის წინაშე დგას და უშუალო მიმართებაში იმყოფება მასთან. მთელი კულტურული ბალასტი ბორტს მიღმაა მოსროლილი. რეალობა და საწყისი სინამდვილე, რომელიც ყველა კანონს იმორჩილებს, ეუფლება ადამიანს. აქ ასი მეფის სარკოფაგია განლაგებული: ბრინჯაოთი ოდნავ დაფენილი სპილენძი, სახელები და თარიღები მაღალი რელიეფითაა გამოყვანილი – წმინდა რუსეთის ყველაზე უბრალო ორნამენტით. რომანოვების სარკოფაგის თავზე

აღმაფრთოვანებული ბაღდახინია, ოქროთი მოქარგული. ერთ მხარეს ძღვევამოსილი დროშებია, ოქროში ჩასმული ხატები და წმ. მიქაელის საკურთხეველი – ძღვევამოსილისა და შემადრწუნებლის, გველს რომ კლავს; დიახ, ეს ხომ მთავარანგელოზის ეკლესიაა. იატაკი მენამული პორფირისგანაა, ფილები მოუსწორებელი და უხეშია, რომელთაც ოსტატის ხელი არ მიჰკარებიათ, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში მილიონობით ღვთისმოშიშთა ფეხქვეშ გაპრიალებულა.

შედით მიღების ეკლესიაში. იქ ნახავთ ფრესკას იონასი, რომელზედაც მისი განდევნაა ასახული ნინევიაში ქადაგებამდე. დერეფნის გავლით პირდაპირ ნახევრადჩაბნელებული საკურთხევლისაკენ მიემართებით და იქ ნახატებზე უმცირესი დეტალებიც აღუბეჭდავთ, რომელთა შემჩნევა სინათლეშიც კი შეუძლებელია – და სწორედ აქ ეზიარება ადამიანი იმ მარადიულ ჭეშმარიტებას, რომ უხილაობა სულაც არ წარმოადგენს დაბრკოლებას ნახატის გასაგებად! კიდევ მოშორებით, ერთ მოწყენილ სათავსოში ოქროსა და ვერცხლისაგან აგებული კიდობანი დგას ნახევრად გადახდილი სახურავით, რათა ყველამ დაინახოს წმინდანთა უძველესი ძვლები: ხელი, ფეხი, ისევ ძვალი, რომელთა ღვთისმოსაობა იმ ოქროს დაფითაა აღნიშნული, ისინი რომ შემოუქარგავთ.

ყველა სათავსოში ხალხის ძალზე დიდ რაოდენობას მოუყრია თავი, უმეტესობა ქალები არიან და ცოტანიც კაცები, იჩოქებენ და უსასრულოდ იწერენ პირჭვარს, რიგრიგობით კოცნიან წმინდა ნაწილთა მოჩარჩოებას და ამით ადასტურებენ მუმიფიცირებული რწმენის სიცოცხლისუნარიანობას – რწმენისა, რომელიც ელიფას ლევის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფოტიუსის შემდეგ

აღარავისთვის მიუნიჭებია მჭევრმეტყველების შთაგონება. მღვდლები ყველაზე საძულველ ფენას წარმოადგენენ ხალხში. კულტმსახური ხელ-ფეხს უბოჭავენ რწმენას ათასგვარი შებლუდვით, რომლებიც რომის იმპერიის დროინდელ ფორმალობებზე ასჯერ უფრო მკაცრია: და მაინც აქ ნამდვილად ანთია და გადმოედინება სიცოცხლე და ყოველგვარი ურთიერთგამომრიცხავი წინააღმდეგობები დაძლეულია.



საიდუმლოს სათავე თვითონ რუს ადამიანშია საძებნი. ის ბუნებით წმინდანი და მოწამეა, ფსიქოლოგიის ნამდვილი ხელოვანია. მრავალმა ადამიანმა კარგად უნყის, რომ ყველაზე ჩვეულებრივი და რიგითი რუსი ადამიანი სექსუალურ კავშირს სერიოზულ სამეცნიერო ექსპერიმენტად მიიჩნევს და პიროვნული თავსებადობის უმცირეს დეტალებსაც კი მთელი

დაბეჯითებით სწავლობს. ის არასოდეს გამოამჟღავნებს ენთუზიაზმს, თუკი ეს სასცენო მოქმედების რემარკით არ იქნება განსაზღვრული. იგივე პრინციპია გადატანილი რელიგიაშიც. ადამიანები მაშინ იწერენ პირჯვარს, როდესაც ამის სურვილი გაუჩნდებათ ან მუხლს იყრიან და ამის კანონებს ვერსად ნახავთ. ყოველი ადამიანი ბატონ-პატრონია საკუთარი წეს-ჩვეულებისა, რომელიც არანაირ კავშირში არაა მისი მოყვასის წეს-ჩვეულებასთან. ყველა იმას ცდილობს, რომ თავი რელიგიურ ექსტაზში ჩაიგდოს.

თუ ამას მიაღწევს, მაშინ მიიჩნევს, რომ ეკლესიაში იყო. თუ არადა – არა.

რუსს ტანჯვა იმგვარად ესმის, რომ თითქოს მასზე მხოლოდ დაკვირვება შეიძლება, მაგრამ არა მისი შეგრძნება. ის საკუთარი ხვედრის სიმძიმეს ღმერთის ექსპერიმენტად განიხილავს ადამიანთან. მიზანი ყველაფერია, საშუალებები კი არაფრად მიიჩნევა. ამიტომაც აქვთ ასეთი მომთმენი, იმედიანი და ძალღის ერთგულების ხასიათის მქონე თვალები და ფერმკრთალი ლოყების მოციალე მშვენიერება. აქედან გონების ის განსაკუთრებული წყობაც გამომდინარეობს, როდესაც სევდაში სიხარულის წყაროსაც პოულობენ, ხოლო სიხარულში კი – სევდის. აქედან მომდინარეობს ტანჯვის ხანგრძლივად დათმენის უნარი და ასევე ცეცხლოვანება, სიფაქიზე და გამხეცებაც. ოქროს შუაღედის პოვნა უკიდურესობათა დაშრეტის გზით მიიღწევა. ეს დაოსიზმის ჩინური ფილოსოფიის ნამდვილი პრაქტიკაც არის და ამავე დროს მისი მთავარი წესის უარყოფასაც წარმოადგენს, რომ თითქოსდა არაფრის კეთებით ყველაფერის მიღწევა მართლაც შეიძლებოდა.

III

ლოცვისას და ლოთური დებოშის დროს რუსი დიდად შესაგონარი სანახაობაა. ის იმიტომ სვამს, რომ დათვრეს და ბუდას მსგავსად მტკივნეულად განიცდის ცხოვრების სასრულობას, თუმცა, რუსისთვის ცვლილება დარდის წყაროა, ბუდასთვის კი თვით ცვლილებაშია დარდის წამალი. საბოლოოდ, მთელი მისი მხიარულება იმ სურვილს გამომხატველია, რომ მკვდარი იყოს, ანდა შეშლილი მაინც; ის ცდილობს სძლიოს მტერს – ცხოვრებას, როგორც ის არის და ისეთ მდგომარეობაში

ჩადგეს, სადაც მისი პირობები მეტად აღარ ჩაითრევს და აღარც დაემუქრება.

ჩვენი ამაღლებული მზერისთვის მისი მეთოდი ძალზე ბავშვურად მოჩანს, რადგანაც ჩვენ რენესანსის ქარცეცხლი და ასობით სხვა საგანმანათლებლო კრიზისი გამოვიარეთ, მაშინ როდესაც რუსეთი – მიუწვდომელი გამონაკლისი – «მდუმარე წყაროდ და დალუქულ შადრევნად» რჩებოდა. მაგრამ ჩვენს ყველა სიამოვნებას, გარკვეულწილად, პრიმიტიული ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს და ადამიანს, რომელიც ცხვრის კატლეტისგან იღებს სიამოვნებას, სულაც არ შეშურდება იმის, ვისაც გულისამრევად ნათითხნი, დახვეწილი სასუსნავი იზიდავს. რუსეთში აუცილებელი ელემენტარული საგნები ყოველთვის ხელმისაწვდომია და მის ხელოვნებასა და ცხოვრებაში შეცდომებიც კი ღირსებად და მომხიბვლელობად ქცეულა. ოცი წლის ველური გოგონა ყოველთვის მშვენიერია, მიუხედავად ჩაშავებული კბილებისა, მოსვირინგებული სახისა, თეძოებზე შემოხვეული დაცლილი მასრებისა და ცხვირში გაყრილი თევზის ფხის სამკაულისა. ჩვენი ცივილიზაცია კი პუარეს ტანსაცმელში გამოპრანჭულ კუდიანს თუ მოგვაგონებს.

ეს ყველაფერი მოსკოვია, წმინდა რუსეთის გული, რომლის გვირგვინიც კრემლია. მას ვერ შეადარებ ვარშავას, რომელიც გადაჭედილია ანგარებიანი ებრაელებითა და კათოლიკეებით, ანდა პეტერბურგს, ყალბი პარიზულობის გამო მისი სულ უფრო და უფრო მზარდი ხრწნის ხარისხით. თვით პარიზიც, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდღა საცოდავი სანახაობაა; თუკი მასთან პირადი და განსაკუთრებული გრძნობა არ გაკავშირებთ, მაშინ ხელოვანთა წრეს უნდა დაუკავშირდეთ, რათა მონმარტრის

კომერციულ ფუსფუსს, არეულ-დარეულ ბულვარებსა და მეორეხარისხოვან, უგემოვნო მონუმენტებს როგორმე გაექცეთ. რუსეთის ყველაზე ცუდმა ელემენტებმა კი პარიზის ყველაზე ცუდი ელემენტები შეითვისა.

პარიზი ის მითიური კირკეა, ვინც რუსები ღორებად გადააქცია.

პოლიტიკური კუთხით, რუსის გავლენამ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა. აზიასთან მიმართებაში მისი «სოციალური შეთანხმების» იდეა იმდენად უგერგილო აღმოჩნდა, როგორც, ვთქვათ, სამურაის მოწითალო სხეულზე სერთუკი და იისფერი შარვალი იქნებოდა. პუშკინი, ეროვნული პოეტი, სხვა არაფერია, თუ არა ბაირონის ექო. ის იმ დროს ცხოვრობდა, როდესაც რუსეთმა ევროპა აღმოაჩინა და მას შემდეგ აღარც არაფერი აღმოუჩენია. ის, რაც ჩვენ რუსულ ლიტერატურაში ყველაზე მეტად მოგვწონს, სინამდვილეში ყველაზე ნაკლებად უნდა მოგვწონდეს. მაგრამ ადამიანისთვის ბუნებრივია ნაცნობი საგნებისაკენ სწრაფვა. ტოლსტოის დასავლურ დეკორს არ უნდა ვაღმერთებდეთ – ნამდვილი რუსული ხასიათის გამოხატულება ხომ შეშლილი იდეებია სიღარიბის, სინმინდისა და არაძალადობის. როდესაც ამ შეხედულებებს ნაციონალური განსჯები შეერევა, ისინი ფრანგული ხდება და სინმინდის ამაღლებული სიგიჟე ნეომალთუსიანობაში დეგრადირდება, რომელიც იმდენადვე მხდალია თეორიით, რამდენადაც ამაზრზენია პრაქტიკაში.

ნაღდი რუსი ამბობს, «დართეთ ნება ღმერთს, რომ ჭეშმარიტი იყოს, ხოლო ადამიანს – იყოს მატყუარა»: ეს მისი საკუთარი ხმაა სულიწმიდისა და მას სულაც არ აინტერესებს სხვა პირობითობები. «თუ შენი ხელი

გაცდუნებს, მოიკვეთე და გადააგდე», თქვა ქრისტემ და რუსეთმა დაუყოვნებლივ შექმნა სექტა, ისეთივე უმანკო, როგორიც ქალღმერთ კიბელეს საჭურისი მღვდელი გალი და კიბელეს სხვა გაკრეჭილი მღვდლები, ატისის ძმანი და წამებულნი. თუმცა აქ «საზოგადოების ინტერესებზე» თუ რაიმე მსგავსზე არაა საუბარი. «ანარქიის ნიღაბში» შელიმ იწინასწარმეტყველა კიდევ ტოლსტოის არაძალადობა, როდესაც ლაშქრობის იმგვარი გეგმა შემოგვთავაზა, სადაც მთავარი ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ თანახმა ხარ, არტილერიამ მოგცელოს, ოღონდაც ამ გზით მაინც შეძლო დამეგობრება ნაღმის მტყორცნელებთან. შორეულ გათვლაში ეს მართლაც სრულყოფილ და პრაქტიკულ გეგმას წარმოადგენს.

და თუ არა ჩემი ეს გადაწყვეტილება, რომ ამ წერილში პოლიტიკას არ შევხებოდი, ამის დასადასტურებლად ზოგიერთი კონკრეტული მაგალითის მოყვანაც შეიძლებოდა.

ამ მონუმენტთა შორის ნეტარი ბასილის ტაძარი უდავოდ ყველაზე აღმატებულია. თვალშისაცემია მისი მსგავსება დანარჩენ ტაძრებთან და, ამავე დროს, მათგან სრული გამორჩეულობაც; პარადოქსია, რომ დარღვევები აბსოლუტურია, მაგრამ ერთიანობა მიიღწევა. ივანე მრისხანემ ბრძანება გასცა, თვალები დაეთხარათ არქიტექტორისათვის, რათა მას მსგავსი შედეგის აგება სხვა იმპერატორისთვის აღარ შეძლებოდა.

რამდენად უძლურია სიტყვები დანახულის გადმოსაცემად! თვით პოეზიაც მხოლოდ შთაბეჭდილების გადმოცემას ახერხებს, მაგრამ უშუალოდ ამ შთაბეჭდილებათა წყაროსთან კი ვერაფრით მივა ახლოს.

ევგენი ევტუშენკო

ლექსები

(რუსულიდან თარგმნა ვასილ გულეურმა)

ცისფერი ყარსალის მონოლოგი ალასკის ცხოველთფერმაში

აქ, ცხოველების რუხ ფერმაში, მე ვარ ცისფერი, მაგრამ ფერით ვარ განწირული, რომ უნდა მომკლან. მავთულბადეში მშვიდად ყოფნა ვერ შევიფერე, არ გამოდგება სანუგეშოდ, ცისფერი რომ ვარ.

ბენვს ვიგლეჯ ტანზე. მძვინვარე ვარ და ულმობელი, ჩემს თავს ჩემგანვე გაშმაგებით ვიძრობ, ვიცილებ, მაგრამ ცისფერი, მოციაგე შუქად მთოველი, მუხანათურად ტყავის მიღმა ისევ ციმციმებს.

და ვყმუი, ვყმუი გამყინავად, არ ჩანს გამგონი, როგორც განკითხვის დღის საყვირი, ბენვაბურძგნილი, ვარსკვლავებს შევთხოვ, თავისუფლად ყოფნა მარგუნონ ან სამუდამოდ შემეცვალოს ბენვი კუთვნილი.

გავლით ყოფნისას ჩაიწერა ერთმა ბატონმა მაგნიტოფონზე ეს ყმუილი. მიამიტია! მასაც შეეძლო რომ ეყმუვლა, მაგრამ რატომღაც, არ ჩერდებიან ამ ფერმაში, ისე მიდიან.

დაბლა ვეცემი, სიმწრით ვფხოჭნი იატაკს მიწის, ვუცდი იმ საათს, ვიდრე მეც ამ მიწად ვიქცევი. სევდით შევყურებ ჩემს მშობლიურ დახაუს, ვიცი – არ გავიქცევი, არასოდეს არ გავიქცევი.

ერთხელ, როდესაც მყრალი თევზით კარგად დავნაყრდი, ვნახე, კარს რაბა აუხსნიათ და დარჩენიათ, უცებ ვისკუპე ვარსკვლავიან ცისკენ, გავლადდი უდარდებლობით, ახალბედას როგორც სჩვევია.

თვალეებში თეთრად ციმციმებდა მთვარის კარატი.
მივხვდი, როდესაც დამყურებდა ზეცა ზემოდან,
თურმე არ არის დამსხვრეული ათას კვადრატად,
გალიაში მყოფს შიგნიდან რომ მეჩვენებოდა.

ყირაზე ვიდექ. ვეხლებოდი ხეებს ხშირად და
ვლაზლანდარობდი. ის ვიყავი, ნამდვილად რაც ვარ.
და თოვლს, თავზე რომ მეყრებოდა, არ ეშინოდა,
რომ ასეთივე ცისფერია, სითეთრის ნაცვლად.

მაგრამ დამქანცეს ქარბუქებმა დაუნდობარმა.
ეს სიხარული მიუჩვეველს მალე უქრება.
გვერდით არ იყო არც სატრფო და არც მეგობარი.
ტყვეობის შვილი – ვერ ეჩვევა თავისუფლებას.

ვინც გალიაში ჩაისახა – გალიას დარდობს,
თავზარი დამცა, როცა მივხვდი, ვერ გადავრჩები,
რომ მიყვარს ჩემი გისოსები, სადაც ვარ მარტო,
რომ მიყვარს ფერმა ცხოველების – სამშობლო ჩემი.

და მე დავბრუნდი, საცოდავი და მოქანცული,
მაგრამ როდესაც გალიაში აღმოვჩნდი ისევ,
წყენამ შეცვალა დამნაშავის გრძნობა განცდილი
და სიყვარული სიძულვილად გადაიქცა მყისვე.

თუმცა, ფერმაში, უნდა ითქვას, ცვლილებებია.
ადრე მარტივად, ტომარაში ახრჩობდნენ ხელით.
ახლა სიკვდილის სულ ახალი მეთოდებია –
თანამედროვედ, უფრო სუფთად – დენით და, ხელად.

შევყურებ მომვლელ ესკიმოს ქალს. ალერსიანად
მიახლოვდება მისი ხელი, მე მშვიდად ვსუნთქავ,
ქეჩოზე დამფხანს, განა მელის მისგან ზიანი,
ანგელოზებრივ თვალეებში კი – ნაღველი უდგას.

ის მიხსნის ყველა სენისაგან, დღისით თუ ღამით
იზრუნებს ჩემზე, ვერც შიმშილი მომიღებს ბოლოს,
მაგრამ ვიცი, რომ როცა ჩემი დადგება ჟამი,
დამალალატებს, როგორც ჯერ არს – ბოლოს და ბოლოს.

პირში ჩამირჭობს, ცრემლების ღვრით, ელექტროსადენს,
ყალბი ჩურჩულით, რომ სიკვდილი გამიადვილოს...
ჰუმანურობა გმართებთ, მომვლელს ნუ ჰკიდებთ ამდენს!
ცხოველთფერმაში ჯალათისაც გქონდეთ ადგილი!

ვით ჩემს წინაპარს, გულუბრყვილოდ ცხოვრება მსურდა,
მაგრამ მე ვიშვი ტყვეობაში. ასე არ ხდება.

ვინც მკვებავს – იმას ვუერთგულო ბოლომდე უნდა.

ვინც მეფერება – ბოლოს მისი მსხვერპლი გავხდები.



კაცი ორმოცის გახდება ოდეს

კაცი ორმოცის გახდება ოდეს,
დროა, კითხვაზე პასუხი ჰქონდეს:
დაჩაჩანაკდა სული? –
პასუხი ჰქონდეს გარდასულ წლებზე,
რძის თითოეულ, პატარა წვეთზე,
ყოველ ნამცეცხე პურის.

კაცი ორმოცის გახდება ოდეს,
არ საჭიროებს შეღავათს ოდენ
საკუთარ თავთან, ღმერთთან.
ცრემლები ყველა, ისე ვით ერთი,
მელნის ამაოდ დაღვრილი წვეთი,
მისი გვერდიდან წვეთავს.

კაცი ორმოცის გახდება ოდეს,
დროა აკრძალვა უნესდებოდეს
სიამოვნების წყურვილს:
რადგანაც, ხორცი თუ არა სძლიე,
ნელ-ნელა ხრავს და ბობოქრობს ძლიერ –
გაღევა ძალუძს სულის.

სხეულიც, უნდა ითქვას, რომ, ბასტა,
დანერწყვილი ხარ როდესაც ასგან,
როგორც ცრუ-ქრისტე, ლოშნით.
ერთი რომანი, მეორე... თვალებს
შეაჩვევ ბურუსს და შიშველ ქალებს –
როგორც აბანოს ორთქლში.

მიზანს მკაფიოდ ამჩნევდა თვალი.
ორმოცამდე ხარ ცხოვრებით მთვრალი,
ნაბახუსევი – ორმოცს.

თავი დამძიმდა. ვერაფერს მიხვდი.
ახალსახლობას თითქოსდა იხდი –
ჩაყუდებული ორმოს.

უნდა წაავლო ხელი შენს იღბალს,
ვიდრე გადახვალ ორმოცის მიღმა
ბაზრობაზე ვართ, რომ ვთქვათ,
ორმოცისა კი ბაზრობას ვტოვებთ,
ფეხით მივდივართ, ცარიელ ტომრით.
გაგვეურდეს – ვტირით, მოვთქვამთ.

კაცი ორმოცის გახდება ოდეს,
თავს რჩევა მისცეს, უნდა ესმოდეს:
შორს ბაზრობისგან ამ დროს.
არ მოატყუებ – ვერ ყიდი, ხვდები.
მოატყუებ და – ვაჭარი ხდები.
ვერ ცვლი გაყიდვის კანონს.

საზიზღრობაა, რომ იწყებ ხარხარს,
აღვირით ხელში, ჩარჩთან რომ დგახარ,
გაუმაძღართან, ძუნწთან.
ორგვარი არის სირცხვილის გრძნობა:
როცა შენ თავად ვაჭრობ და როცა
შენით ვაჭრობენ ურცხვად.

კაცი ორმოცის გახდება ოდეს,
ცხოვრებას რუხი ფერები მოსავს,
ნუ იღუშები ასე –
სისვი ცხენი ხარ ტანზე ხალებით,
გასაყიდად ნუ მიეკარები
ნურც ერთ ხალს მაგ შენს ტყავზე.

კაცი ორმოცის გახდება ოდეს,
თუკი ნათელი არ შერეოდეს

ბაზრობის ფერთა გამას.
წინ გაქვს ყოველი – ჯერ მოიცადე.
კომედიაში ბედი ნუ სცადე
და ნურც ჩაგითრევს დრამა!

კაცი ორმოცის გახდება ოდეს,
ან დაცემაა, ან ყვავილობდეს –
ამას კაცი წყვეტს თვითონ.
სიკვდილს თავისი მოუვა ვადა,
რომ გაიხარო, სიკვდილის გარდა,
ხელს რა შეგიშლის ვითომ.



*** * * (თოვლი კი მოდის, მოდის და მღერის...)**

თოვლი კი მოდის, მოდის და მღერის,
და ირგვლივ ყველა რაღაცას ელის...
ამ სიმშვიდეში, თოვას რომ ახლავს,
მსურს, ხმამაღლა ვთქვა ახლა:

«ჩემო ძვირფასო და ერთადერთო,
შეხედე თოვლის ფიფქს ჩემთან ერთად –
წმინდას, მსგავსს, რაზეც მე ვდუმვარ დიდხანს,
და რაზეც მინდა გითხრა».

ეს სიყვარული ვინ მიძღვნა, აბა?
ნამდვილად, თოვლის კეთილმა პაპამ.
შენ გვერდით, გარეთ მზირალი ყოვლის,
მადლობელი ვარ თოვლის.

თოვლი კი მოდის, დაათოვს ყველას,
ირგვლივ ყოველი ციმციმებს, ელავს.
ჩემთან რომ ხარ და მე შენით ვცხოვრობ,
მადლობას გიხდი, თოვლო.

* * * (მე ვარ საფულე...)

მე ვარ საფულე.
ვაგდივარ გზაზე.
ვაგდივარ მარტო, არვინ მეხება.
ვერ მამჩნევთ, ხალხო.
გვერდით და თავზე
მიდი-მოდიან თქვენი ფეხები.
რაო, ნუთუ თქვენ
ვერაფერს ხვდებით?!
რაო, ღვთის მადლმა,
საით ხრით თვალებს?!
მტვერს
აყენებენ თქვენი ფეხები,
ზედ მედება
და თქვენგანვე
მმაღავს.
კარგად იყურეთ.
თუ მამჩნევთ მარტოს,
მოგცემთ,
ძვირფასი რაც გამაჩნია.
ძებნას ამაოდ დაუნყებთ პატრონს –
მინაზე ყოფნა თავად ვარჩიე.
არ იფიქროთ,
რომ გასწევენ ძაფს და
დაბრეცილ ღობის იქით სიცილით
ვინმე ნინაჩკა ამოყოფს თავს და
ხმამალლა იტყვის:
«რა გავაცურეთ!»
არ შეუშინდეთ დამცინავ სიცილს
და არც ფანჯრიდან მომზირალ სახეს...

მე ნამდვილი ვარ.
არ მინდა ფიცი.
რა არის ჩემში, თქვენ მხოლოდ ნახეთ!
ერთს ვშიშობ,
მწყინს და ვერაფერს ვშველი:
ახლა, სულ მალე,
დღისით და მზისით,
ის ვერ შემამჩნევს,
მე ვისაც ველი
და საკუთრება
გავხდები სხვისი.

*** * * (ამხანაგს ვმარხავ. ის მოკვდა გუშინ...)**

ამხანაგს ვმარხავ. ის მოკვდა გუშინ.
ამ საიდუმლოს ვინახავ გულში.
სხვებისთვის ჯერაც ცოცხალი გახლავთ,
სხვებისთვის ცოლის გვერდზეა ახლა.
სხვებისთვის მასთან ვმეგობრობ ჯერაც,
და რესტორანშიც ერთად ვართ, სჯერათ.
არა, არავის არ ვეტყვი მართაღს,
არავის –
რომ მე ვმეგობრობ მკვდართან.
ვსაუბრობ განა სპეტაკთან ისევ,
არარაობა ბინძური მისმენს.
გულწრფელობასაც ნილაბად ირჩევს –
არარაობას უპყრია სირჩა.
შემინდუ,
რომ არ გაგინებ ახლა,
არ გლანძღავ,
უხმოდ, უსიტყვოდ გმარხავ,
რა ხდება, იქნებ ვიღაცამ მითხრას?
რაც ვცოცხლობ, სულაც არ არის დიდხანს,
არავინ მოკვდა, მაგრამ ეს რას ჰგავს,
ამდენ ამხანაგს როგორღა ვკარგავ.

ალა

ერთი პოეტის სამარესთან,
საყოველთაო აურზაური რომელსაც სძულდა,
მე არ მინახავს იმ დღეს ერთი
სულიერიც – თვითონ ლარას აჩრდილი თუნდაც.
მაგრამ როდესაც ახლოს მიველ,
გარდაუვალი რუსული გუბე გადავიარე,
ვიხილე ძალზე ცნობილი და,
ამავე დროს ყველასათვის შეუცნობი ადამიანი.

პატარა სკამზე ჩუმად იჯდა ვიღაც კი არა,
პუგაჩოვა –
მარტოსული, ჩაფიქრებული,
ჩვეულებრივი თავსაფარით შემობურვილი,
არანაირი სამკაული, არც სახეზე რამე მონასმი,
გახევებული, თითქოს ცნობილ ქალბატონში იმალებოდა
გოგო-მოზარდი,
არ დაცემულა
მოთქმით მუხლზე სამარის ბორცვთან,
მაგრამ ოდნავ უთრთოდა ბაგე,
ალავლენდა თითქოსდა ლოცვას.

ერთხელ კი ვნახე,
ბანკეტზე რომ ხუხავდა არაყს.
ჩაებლაუჭა ვიღაცის კოფთას:
«ჰა, მომყიდი ამ შმოტკას, არა?»
როგორ ერწყმოდა მასში ერთმანეთს –
ვულგარულობა, საბრძოლო ვნება
და მასთან ერთად –
პასტერნაკის იდუმალი მადლიერება.

ერთ არსებაში სტენკაცა და სპარსელი ქალიც.
გენიალობა ნიაგარას უხამსი ძალით.

სანთელი პასტერნაკისეული,
ბევრი ნამწვით, ბევრი ნაღვენთით.
როგორც პლებსების ეკატერინე დიდი, ისიც
ფავორიტებს იცვლის ხალისით,
თუმც უხილავი სკიპტრა უპყრია,
რაოდენია ბრწყინვალეობა მასში ხალასი.

ყოველი ხალხი ძალიან ჰგავს
თავისივე კერპებს მეტწილად.
აუხდენელი ოცნებების ფანტაზიებით
საკუთარი თავისაგან გამოძერწილებს.
იცი, ვის ჰგავხარ, შენ, რუსეთო?
პუგაჩოვას.
იდევს ისევ
სხვების მხრებიდან შენზე იზომავ, როგორც ახალ
ტანსაცმელს, ისე.
მაგრამ მარქსიზმი ვერ მოგერგო,
კაპიტალიზმიც
რუსეთს ვერაფრით მოერგება, ვთქვათ პირუთვნელად.
ჩვენთვის არაა ეს შმოტკები.
უსარგებლოა, ავიჯაჯოთ სხვისი კუთვნილი.
ახლა მსოფლიო კონკურსებზე
არაფერი ესაქმება რუსეთს, არც ალას.
თუკი პირველზე ვერ გავედით, არვინ გვაცალა,
სულაც არ ნიშნავს,
რომ დავიღუპეთ.
ჭუჭყში ვბუქსაობთ,
მაგრამ თუ სულის ერთი კუთხე სუფთაა ისევ,
ჯერ არა უშავს,
«ძველი საათი ისევ მუშაობს...»

დაცემულებს საკუთარი ხორხოცის ხმებში
არ დაგვიკარგავს ჯერ ყველაფერი,
სიმღერა მხოლოდ მას შეუძლია,
ვინც სამარესთან მდუმარედ ზის, სამარის ფერი.
მიყვარს რუსეთი,
როგორც მეშახტეს თავისი შახტა,
მეტადაც კი ჩაქცევის შემდეგ.
მიყვარს ძვირფასი მსახიობები,
რაც არ უნდა მწარე იყოს,
მარცხის დროსაც, ვერ აღწევენ როდესაც შედეგს.
მე შენ მიყვარხარ, რუსო პიაფ,
ყაჩაღანა-ბუღბული ხარ, სიამაყეს ვერაფრით მაღავ.
პოეტის საფლავს მდუმარედ რომ მისჩერებიხარ,
თითქოსდა უკვე აღკვეცილხარ მონაზვნად, ალა.

*** * * (ეს რა ხდება ჩემს თავს...)**

ბელა ახმადულინას

ეს რა ხდება ჩემს თავს, მანვეს გულზე ლოდი:
ძველი მეგობარი ჩემთან აღარ მოდის;
უამრავი ვილაც ფაციფუცობს ირგვლივ,
ვინ არ მოდის, მაგრამ არ ჩანს მხოლოდ იგი.
თავად ისიც
სხვებთან მიდი-მოდის ახლა,
კარგად ხვდება ამას, ვიცი, ისიც ნაღვლობს,
ჩვენს წყენას და დავას ვერ ვუძებნით მიზეზს,
და ორივეს გვტანჯავს, დღე დღეს ასე მისდევს.
ეს რა ხდება ჩემს თავს, მანვეს გულზე ლოდი:
ის კი არა, ჩემთან სულ სხვა ვილაც მოდის;
დამალაგებს მხრებზე თავის ხელებს უხმოდ,
ჩემს თავს ართმევს სხვას და ქურდობს ასე ურცხვად.
მან კი –
ღვთის გულისთვის, იქნებ ვინმემ მითხრათ,
ვის დააყრდნოს მხრებზე ხელ-მკლავები თვისი?
ის,
მომპარეს ვისაც, აღარ უნდა კითხვა,
შურისგების მიზნით მოიპარავს ისიც.
საპასუხო ნაბიჯს არ გადადგამს წამსვე,
საკუთარ თავს ბრძოლას გაუმართავს უხმოდ,
შეუცნობლად მერე მოიქცევა ასე,
ამოიღებს თვალში მისთვის ვილაც უცხოს.
ო, რამდენი
მტკივნეული,
უმიზნო და
უსარგებლო კავშირია ამქვეყნად,

მეგობრობა უმიზნო!
სად გავექცე, სად გავაღწევ უმისოდ?
ო, ვიღაცა
რომ მოხვიდეთ,
დაარღვიოთ სრულებით,
უცხო პირთა ერთობა და
დაშორება
ახლობელი სულების!

[1] ამ ბრძოლაში 1954 წელს ფრანგული არმია საბოლოოდ დამარცხდა ვიეტნამელებთან ბრძოლაში.

[2] რეიმონდ ჩენდლერი (1888-1959). იყო ბრიტანელ-ამერიკელი დეტექტივების მწერალი და მრავალი სცენარის ავტორი.

[3] იმაჟიზმი — პოეტური მიმდინარეობა, რომელიც 1912 წელს ჩამოყალიბდა. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა შორის იყვენ ეზრა პაუნდი, ემი ლოუელი და სხვა პოეტები, რომელთა მიზანი იყო, პოეტურ ნაწარმოებში ზუსტი ვიზუალური იმიჯის (სახის, ხატის) მეშვეობით, გამონათქვამის სიცხადის მიღწევა. ადრე ეს ტერმინი ხშირად იხმარებოდა მისი ფრანგული ფორმით – Imagisme.

[4] Edith Heal უილიამ კარლოს უილიამსის ბიოგრაფი.

[5] აბოტი და კოსტელო – იუმორისტული წყვილი 1940-1950-იან წლებში.

[6] Moonrise Kingdom – კინოფილმი, რეჟისორი უეს ანდერსონი, 2012.

[7] ალექსანდრ ჰამილტონი (Alexander Hamilton) (11 იანვარი, 1755 ან 1757 — 12 ივლისი, 1804) — ამერიკელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, იურისტი და სამხედრო პირი. ჰამილტონის დამსახურებაა ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება, ის იყო ფინანსთა მინისტრი, მან ჩამოაყალიბა პირველი ამერიკული ბანკი, სახალხო კრედიტი და საფონდო ბირჟა. საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების თომას ჯეფერსონისა და ჯეიმზ მედისონისაგან დასაცავად, ჰამილტონმა დააარსა პირველი პოლიტიკური პარტია – ფედერალისტთა პარტია).

[8] Fort Knox – ბანკი ამერიკაში.

[9] პეიოტლი – ჰალუცინოგენი.

[10] ულიპო – Ou-Li-Po (Uvroid de Littérature Potentielle) – პოტენციური ლიტერატურის სახელოსნო, რომელიც აერთიანებს მწერლებსა და მათემატიკოსებს. დააარსეს 1960 წლის 25 ნოემბერს მათემატიკოსმა ფრანსუა ლე ლიონემ და მწერალმა რეიმონ კენომ. მათი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ჟორჟ პერეკი. ამ სახელოსნოს დევიზი ახალ-ახალი შესაძლებლობებისა და ფორმების გამოგონებაა ლიტერატურაში.

[11] მანიქეიზმი – რელიგიური მიმდინარეობა მე-3 საუკუნის ახლო აღმოსავლეთში. ქრისტიანობისა და მაზდეანობის ნაზავი. მწერალი ერთგვარ გაორებას გულისხმობს.